

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2023, №8

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2023, №8

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2023, №8

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2023, №8

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი
ქეთევან შენგელია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 298 20 75;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების
დეპარტამენტის მხარდაჭერით

საძიებელი

1. ნასყიდობა	
ნიეთობრივად უნაკლო ნივთი	4
ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ	15
ნასყიდობა გადახდის განვადებით	25
2. ქირავნობა	
ნივთით სარგებლობისათვის გადასახდელი ქირის ანაზღაურება	40
3. იჯარა	
ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაბრუნებისას	46
4. სესხი	
სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა	58
5. ნარდობა	
ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება	71
ხელშეკრულებაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო	86
საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის	114
6. დაზღვევა	
სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება	126
დაზღვევის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას	131
7. საბანკო მომსახურება	
საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა	157

1. ნასყიდობა

ნივთოპრივად უნაკლო ნივთი

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-699-2020

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: ფულადი ვალდებულების შესრულება, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა

აღწერილობითი ნაწილი:

1. ქ. თბილისში, ..., კორპუს №4ა-ში (შემდგომში ტექსტში მოხსენიებული, როგორც „სადავო მისამართი“) მდებარე 229,50 კვ.მ უძრავი ქონება საკუთრების უფლებით ეკუთვნოდა ს. შ-ს.

2. ს. შ-ის ძმა არის ა. შ-ვი.

3. 2012 წლის 18 მაისს ა. შ-ვს (შემდგომში „გამყიდველი“ ან „მოსარჩელე“), როგორც ს. შ-ის მინდობილ პირსა და ო. დ-ას (შემდგომში „მყიდველი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება გადახდის განვადებით (შემდგომში „ხელშეკრულება“ ან „ნასყიდობის ხელშეკრულება“), რომლის საფუძველზე, გამყიდველმა მყიდველს მიჰყიდა სადავო მისამართზე მდებარე ფართიდან, 229.50 კვ.მ-დან 105 კვ.მ. ხელშეკრულების თანახმად, ნასყიდობის საგნის სრული ღირებულება შეადგენდა 88 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში. გარიგებაში მიეთითა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებისთანავე, მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა ნასყიდობის თანხის ნაწილი, 20 000 აშშ დოლარი, ხოლო მყიდველმა იკისრა ვალდებულება ნასყიდობის საგნის ღირებულების ნაწილი, 40 000 აშშ დოლარი გადაეხადა 2012 წლის 27 აგვისტომდე, ხოლო იმავე წლის 27 დეკემბრამდე – დარჩენილი თანხა – 28 000 აშშ დოლარი (რითაც დაიფარებოდა ნასყიდობის თანხა).

4. ნასყიდობის ხელშეკრულება საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა 2012 წლის 23 მაისს.

5. ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში მყიდველმა გამყიდ-

ველს გადაუხადა 74 000 აშშ დოლარი, გადასახდელი დარჩა 14 000 აშშ დოლარი.

6. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2013 წლის 26 დეკემბრის ამონაწერის თანახმად, სადავო მისამართზე, მე-10 სართულზე მდებარე მშენებარე ბინა №8-ის მესაკუთრეები არიან მყიდველი და ვ. ლ-ძე (შემდგომში „მოპასუხე“). მყიდველის საკუთრებაა 229,5 კვ.მ.-დან 105 კვ.მ., ხოლო მოპასუხის საკუთრებაა 229,5 კვ.მ.-დან, 124,5 კვ.მ.

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 9 ივლისის №003528514 დასკვნის თანახმად, სადავო მისამართზე, მე-10 სართულზე მდებარე მშენებარე ფართში, მყიდველის მიერ მითითებული ბინა აზომვითი სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემებით შეადგენს 226,44 კვ.მ-ს. ამავე ექსპერტიზის ბიუროს 2014 წლის 30 ივლისის წერილის თანახმად, სადავო მისამართზე მყიდველს ფაქტობრივად დაკავებული აქვს 92,61 კვ.მ, ხოლო მოპასუხეს – 133,83 კვ.მ..

8. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2014 წლის 13 ნოემბრის წერილში აღნიშნულია, რომ ამავე წლის 30 ივლისის დასკვნის შედგენისას ექსპერტმა აზომა მყიდველის მფლობელობაში არსებული ფართის ნაწილი, ხოლო მის მფლობელობაში არსებული 11.17 კვ.მ., რაც შპს „პ. ...“ მიერ შედგენილ გეგმაზე აღნიშნულია ნითელი ფერით, დასკვნაში გათვალისწინებული არ არის.

9. საჯარო რეესტრში დაცული დოკუმენტის შესაბამისად სადავო მისამართზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის მე-10 სართულზე (ბინა №8) არსებული ფართების ჯამი შეადგენს 243.3 კვ.მ-ს (151.10 კვ.მ – საცხოვრებელი, 72.5 – დამხმარე, 19.7 – საზაფხულო), რაც 13.8 კვ.მ-ით აღემატება ამავე დოკუმენტში აღნიშნული №8 ბინის საერთო ფართობს – 229.5 კვ.მ-ს.

10. მყიდველის მფლობელობაში არსებული 11.17 კვ.მ ფართი, სადაც განთავსებულია სამზარეულო, საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ საკუთრებად და, თავდაპირველად, ეს ფართი განკუთვნილი იყო ნაგავგამტარის მოსაწყობად, თუმცა, მოგვიანებით, საცხოვრებელ სახლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების განსათავსებელი ბუნკერების გაუქმებასთან დაკავშირებით, ამ ფართმა თავისი დანიშნულება დაკარგა.

11. შპს „პ-ის“ მიერ 2011 წელს მომზადებული გეგმის მიხედვით, მყიდველის მიერ დაკავებულ 11.17 კვ.მ ფართთან დაკავშირება შესაძლებელია მხოლოდ მისივე კუთვნილი ბინის მეშვეობით, სხვაგვარად ამ ფართთან დაკავშირება შეუძლებელია მისი მდებარეობის გამო, რამდენადაც მას ესაზღვრება ლიფტის შახტა და სადარბაზოს კიბე;

12. სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კ. ზ-ვის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედევობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის უფროსის 2014 წლის 13 ნოემბრის წერილში მითითებულია, რომ დანართზე წითელი ფერით აღნიშნული ფართის (11.17 კვ.მ) აზომვაზე მყიდველმა განაცხადა უარი, რის გამოც, იგი არ არის გათვალისწინებული და დატანილი №003528514 საექსპერტო დასკვნაში.

13. გამყიდველის სასარჩელო მოთხოვნა

13.1. გამყიდველმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მყიდველის მიმართ და მოითხოვა 14 000 აშშ დოლარის მისთვის გადახდის დაკისრება.

13.2. მოსარჩელის განცხადებით, მყიდველმა სრულად არ შეასრულა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – მას გადასახდელი დარჩა თანხის ნაწილი, 14 000 აშშ დოლარი.

14. მყიდველის პოზიცია

14.1. მყიდველმა წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შესრულებული აქვს სრულად და არ არსებობს თანხის მისთვის დაკისრების საფუძველი.

15. მყიდველის სასარჩელო მოთხოვნა

15.1. მყიდველმა სარჩელი აღძრა ვ. ლ-ძის მიმართ მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ და განმარტა, რომ სადავო მისამართზე მდებარე №8 ბინაში მას დაკავებული აქვს 92.61 კვ.მ ფართი ნაცვლად ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული 105 კვ.მ-სა, ხოლო მოპასუხეს – 133.83 კვ.მ ფართი, რომელიც მოიცავს მყიდველის კუთვნილ 9.33 კვ.მ ფართს.

16. მოპასუხის პოზიცია

16.1. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით მყიდველის სარჩელი არ ცნო.

17. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

17.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით გამყიდველის სარჩელი მყიდველის მიმართ თანხის დაკისრების შესახებ დაკმაყოფილდა სრულად; მყიდველს გამყიდველის სასარგებლოდ დაეკისრა 14 000 აშშ დოლარის გადახდა; მყიდველის სარჩელი მოპასუხის მიმართ უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

18. მყიდველის სააპელაციო საჩივარი

18.1. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მყიდველმა და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწ-

ყვეტილების გაუქმება.

19. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

19.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინებით მყიდველის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

19.2. სააპელაციო პალატამ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესზე მითითებით აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, შესაფასებელი იყო მყიდველის პრეტენზიის საფუძვლიანობა – გადაეცა თუ არა მას ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ფართზე ნაკლები ფართის ბინა, რაც მას ნასყიდობის ფასის შემცირების შესაძლებლობას აძლევდა.

19.3. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-12 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. სააპელაციო პალატამ, ასევე, დაადგინა, რომ მყიდველის მფლობელობაში არსებული 11.17 კვ.მ ფართი, სადაც ამჟამად განთავსებულია სამზარეულო, საჯარო რეესტრში არ არის რეგისტრირებული ინდივიდუალურ საკუთრებად და, თავდაპირველად, ეს ფართი განკუთვნილი იყო ნაგავგამტარის მოსაწყობად, თუმცა, მოგვიანებით, საცხოვრებელ სახლებში საყოფაცხოვრებო ნარჩენების განსათავსებელი ბუნკერების გაუქმებასთან დაკავშირებით, ამ ფართმა თავისი დანიშნულება დაკარგა.

19.4. სასამართლომ მიუთითა საქმეში არსებულ სადავო მისამართზე განთავსებული ბინის გეგმაზე, რომლის მიხედვით, მყიდველის მიერ დაკავებულ 11.17 კვ.მ ფართთან დაკავშირება შეუძლებელია მისი მდებარეობის გამო, რადგან მას ესაზღვრება ლიფტის შახტა და სადარბაზოს კიბე. ამრიგად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდეც სადავო 11.17 კვ.მ ფართი გამყიდველის კუთვნილ 229.5 კვ.მ-თან ერთად შეადგენდა ერთიან სივრცეს, რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ ბინის მეშვეობით.

19.5. ამასთან, ვინაიდან საცხოვრებელი კორპუსის თითოეულ სართულზე გათვალისწინებულია მხოლოდ ერთი საცხოვრებელი ბინის არსებობა, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ფართი გამიზნული იყო მხოლოდ ამავე ბინის დამხმარე სათავსოდ. ამრიგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ფართების გამიჯვნა მოხდა მხარეთა შეთანხმებით და მყიდველს გადაეცა შეთანხმებით განსაზღვრული ფართი.

19.6. სასამართლოს მოსაზრებით, იმ გარემოების დამტკიცების ვალდებულება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ 105 კვ.მ ფართში არ შედიოდა სადავო 11.17 კვ.მ ფართი, ეკისრებოდა მყიდველს,

რომელმაც სათანადო მტკიცებულებათა წარდგენით ვერ დაადასტურა იგი.

19.7. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 487-ე, 488-ე, 492-ე მუხლებით და დაასკვნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად დააკისრა მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი შეუსრულებელი ვალდებულების – დარჩენილი ნასყიდობის თანხის, 14 000 აშშ დოლარის გადახდა.

19.8. რაც შეეხება მყიდველის მოთხოვნას მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან სადავო ფართის გამოთხოვის შესახებ, სააპელაციო სასამართლომ ამ ნაწილშიც გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოსარჩელის პრეტენზიის გაზიარების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

19.9. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ გამყიდველსა და მოპასუხეს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა სადავო მისამართზე მდებარე ბინაში დარჩენილ 124.50 კვ.მ ფართზე და ნასყიდობის საგნის გადაცემის მომენტისთვის ფართი უკვე გამოიჯნული იყო. სააპელაციო პალატამ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ისიც, რომ მოპასუხის ფაქტობრივ მფლობელობაშია 133 კვ.მ ფართი. ვინაიდან სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან, სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაშიც, თუ დადგინდებოდა, რომ ადგილი ჰქონდა გამყიდველის მხრიდან ნაკლიან შესრულებას, ეს გარემოება შესაძლოა გამხდარიყო გამყიდველისთვის სამოქალაქო კოდექსის 491-ე-493-ე მუხლებით გათვალისწინებული მოთხოვნების წარდგენის წინაპირობა და არა მოპასუხისთვის გადაცემული ფართის მოსარჩელის სასარგებლოდ გამოთხოვის საფუძველი.

20. მყიდველის საკასაციო საჩივარი

20.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მყიდველმა, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

20.2. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მყიდველს გადაეცა ნივთობრივად უნაკლო ნივთი. სინამდვილეში კი, მყიდველისთვის ფაქტობრივად გადაცემული ფართი ნაცვლად 105 კვ.მ-ისა 92.61 კვ.მ-ია (რაც ასევე დასტურდება საექსპერტო დასკვნით), ხოლო სასამართლოს მიერ მითითებული 11.71 კვ.მ ფართი არა კასატორის მფლობელობაში, არამედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ გადაცემული საერთო საკუთრების ნაწილია. შესაბამისად, ცხადია, რომ ფაქტობრივად გადაცე-

მულ და ხელშეკრულებით შეთანხმებულ ფართს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის გამო, არ შეიძლება უძრავი ნივთი ჩაითვალოს ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლის არმქონედ.

20.3. სასამართლო უსაფუძვლოდ იშველიებს საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფციას, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, უარყოფილია იმ ფაქტით, რაზეც სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მიუთითებს.

21. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

21.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 2 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო ამავე პალატის 2021 წლის 20 იანვრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად დარჩეს სააპელაციო სასამართლოს განჩინება.

22. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია ემყარება იმას, რომ მისთვის მიყიდული უძრავი ნივთი სასამართლომ არასწორად მიიჩნია ნაკლის არმქონედ და უსაფუძვლოდ არ დაადგინა ის გარემოება, რომ მყიდველს რეალურად გადაეცა უფრო ნაკლები ფართი, ვიდრე ნასყიდობის ხელშეკრულებაში იყო მითითებული.

23. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული პრეტენზიის შემოწმებამდე განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოითქანოს

შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტორზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს (იხ. სუსგ №ას-848-814-2016, 2016 წლის 28 დეკემბერი).

24. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებიდან.

25. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

25.1. 2012 წლის 18 მაისს მყიდველსა და გამყიდველს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კასატორმა შეიძინა ქ. თბილისში, ... მდებარე 105 კვ.მ უძრავი ქონება 88 000 აშშ დოლარად;

25.2. ხელშეკრულების თანახმად, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის თანხის ეტაპობრივად, 2012 წლის 27 დეკემბრამდე, გადახდაზე;

26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულება არის კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. იგი ორმხრივ მავალდებულებელი გარიგებაა, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, გამყიდველის ვალდებულებაში – გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო, მეორე მხრივ, მყიდველის ვალდებულებაში – გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ქონება.

27. საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის საგნის ღირებულების ნაწილი – 74 000 აშშ დოლარი, დარჩენილი 14 000 აშშ დოლარი მას არ გადაუხდია, რის გამოც გამყიდველმა წინამდებარე სარჩელით მომართა სასამართლოს.

28. გამყიდველის მიერ თანხის გადახდის მოთხოვნით აღძრული სარჩელისაგან თავის დასაცავად, მყიდველმა მიუთითა უძრავი ქონების ნაკლზე და განმარტა, რომ ვინაიდან ნაცვლად ნასყიდობის ხელშეკრულებაში მითითებული 105 კვ.მ-ისა, მას გადაეცა 92.61 კვ.მ ფართი, თავისუფლდებოდა დარჩენილი ვალდებულების (თანხის გადახდის) შესრულებისაგან.

29. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფ-

ლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამავე კოდექსის 488.2 მუხლის მიხედვით, ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასაცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე. ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევა კი მყიდველს წარმოუშობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე-492-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნაკლის გამოსწორების, ფასის შემცირების ან ხელშეკრულების მოშლის უფლებას.

30. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო პროცესი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს ეკისრებათ ფაქტების მითითებისა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის ვალდებულება, რომლის შეუსრულებლობა მხარეებისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. ეს დანაწესი განმტკიცებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლში, ხოლო ამავე კოდექსის 102-ე მუხლით, მხარეს ეკისრება როგორც ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების ტვირთი, რაც სათანადო მტკიცებულებების წარდგენით უნდა განახორციელოს. გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მეცამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მონმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

31. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინაალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის). მხარეთა მიერ წარმოდ-

გენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხე-
ბოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს და-
ვასთან. იმავდროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებო-
დეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-
3 ნაწილი].

32. მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკ-
რულებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობას
მყიდველი უკავშირებს გამყიდველის მხრიდან ხელშეკრულების პი-
რობების დარღვევას (ნაკლიანი ნივთის გადაცემას), სწორედ მას
(მყიდველს) ეკისრება მითითებული გარემოების (ნივთის ნაკლის)
დადასტურების მოვალეობა.

33. აღსანიშნავია, რომ საკუთარი პოზიციის დასაბუთებას კა-
სატორი (მყიდველი) საქმეში მის მიერვე წარდგენილ საექსპერტო
დასკვნაზე მითითებით ცდილობს და აცხადებს, რომ როგორც ლ.
სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული
ბიუროს 2014 წლის 9 ივლისის №003528514 დასკვნაშია აღნიშნუ-
ლი, იგი (მყიდველი) ფაქტობრივად ფლობს 92.61 კვ.მ ფართს მა-
შინ, როდესაც შეძენილი აქვს 105 კვ.მ.

34. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის ზემო-
აღნიშნულ პრეტენზიას და მიუთითებს №003528514 საექსპერტო
დასკვნის, ასევე კ. ზ-ვის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგო-
ბის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის უფროსის 2014 წლის 30
ივლისის წერილის შინაარსზე, რომლითაც ირკვევა, რომ სადავო
მისამართზე მყიდველის მითითებით ჩატარდა აზომვითი სამუშა-
ოები და მიღებული მონაცემებით ექსპერტიზამ დაადგინა შემდე-
გი: ქ. თბილისში, ... მდებარე №8 ბინის საერთო ფართი შეადგენს
226.44 კვ.მ-ს, საიდანაც მყიდველის მიერ ფაქტობრივად დაკავე-
ბული ფართია 92.61 კვ.მ, ხოლო მოპასუხისა (ვ. ლ-ძის) – 133.83 კვ.
დასკვნას ერთვის ბინის აზომვითი ნახაზი, რომელშიც არ ფიქსირ-
დება სადავო 11.17 კვ.მ ფართი.

35. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმეში არ-
სებულ სსიპ ლ. სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტი-
ზის ეროვნული ბიუროს კ. ზ-ვის სამშენებლო მექანიკის, სეისმო-
მედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრის უფროსის 2014
წლის 13 ნოემბრის წერილის შინაარსსაც, რომლითაც პასუხია გა-
ცემული კითხვებზე, თუ რატომ არ არის ასახული საექსპერტო დას-
კვნაზე დართულ რუკაზე სადავო 11.17 კვ.მ ფართი და რატომ არის
არასრულად აზომილი მყიდველის მიერ დაკავებული ფართი. წე-
რილში მითითებულია, რომ ექსპერტის მიერ აზომვითი სამუშაოე-
ბის ჩატარებისას აღნიშნული ფართის (11.17 კვ.მ ფართის) აზომვა-
ზე მყიდველმა განაცხადა უარი, რის გამოც, არ არის გათვალისწი-

ნებული იგი დასკვნასა და მასზე დართულ დანართში. ამრიგად, მითითებული დოკუმენტების ურთიერთშეჯერებით, საკასაციო სასამართლო ასკვნის, რომ 2014 წლის 9 ივლისის საექსპერტო დასკვნის შედგენისას ექსპერტის წინაშე დასმულ შეკითხვას სრულყოფილი პასუხი ვერ გაეცა თავად მყიდველის ბრალით, რომელმაც ხელი შეუშალა გამოსაკვლევი ობიექტის აზომვითი ნახაზის სრულყოფილად შედგენას. ამრიგად, კასატორის მითითება ზემოაღნიშნულ საექსპერტო დასკვნაზე ვერ გამოდგება ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული უძრავი ნივთის ნაკლის დამადასტურებელ სარწმუნო და რელევანტურ მტკიცებულებად.

36. საკასაციო პალატა კასატორის ვერც იმ პოზიციას გაიზიარებს, რომ წარდგენილი საექსპერტო დასკვნა აქარწყლებს საჯარო რეესტრის ამონაწერის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას (ე.ი. რეესტრის ჩანაწერები ითვლება სწორად, ვიდრე არ დამტკიცდება მათი უზუსტობა), რომლის მიხედვითაც, საჯარო რეესტრის ამონაწერში მყიდველი 105 კვ.მ ფართის მესაკუთრედაა მითითებული. საკასაციო სასამართლო, კიდევ ერთხელ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იმ პირობებში, როდესაც საქმის მასალებით დადასტურებულია საექსპერტო დასკვნის შედგენისას ექსპერტისთვის მყიდველის მხრიდან ხელშეშლის ფაქტი, მითითებულ დასკვნაზე აპელირება ვერ გამოდგება კასატორის ზემოაღნიშნული პრეტენზიის გაზიარებისა და სარჩელის უარყოფის საკმარის საფუძვლად.

37. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას იმის შესახებ, რომ სადავო ფართი არა მისი, არამედ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის მიერ გადაცემული საერთო საკუთრების ნაწილია, საკასაციო სასამართლო ვერც აღნიშნულს გაიზიარებს და მიუთითებს, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება მოცემული ფართის საერთო სარგებლობაში არსებობის ფაქტი. პირიქით, როგორც წარდგენილი მტკიცებულებები და თავად მყიდველის განმარტებები ცხადყოფს, სადავო 11.17 კვ.მ მყიდველის ინდივიდუალურ მფლობელობაშია და ამ ფართში მას მონყობილი აქვს სამზარეულო. აღნიშნული გარემოების გამაქარწყლებელი რაიმე სახის მტკიცებულება კი მას არცერთი ინსტანციის სასამართლოში არ წარუდგენია.

38. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბა-

მის დასაბუთებას.

39. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორს არ წარმოუდგენია იმგვარი დასაბუთებული და დასაშვები საკასაციო პრეტენზია, რაც გასაჩივრებული განჩინებით დამდგარი შედეგის გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის შესაძლებლობას მისცემდა სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია, რაც მისი ძალაში დატოვებისა და საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველია.

40. ვინაიდან საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, არ არსებობს კასატორის მიერ გაღებული ხარჯის მხარეთა შორის განაწილების სსსკ-ის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები და აღნიშნული ხარჯი უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ო. დ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელი დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 25 ივლისის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-956-2020

3 ნოემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მიქაბერიძე,
მ. ერემაძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარ-
მოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღა-
ურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს.ც.ნ-ის“ (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც საზოგადოება ან შპს) პარტნიორებმა გ. გ-ამ (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მოწინააღმდეგე მხარე ან გამყიდველი) და ა. შ-ვამ 2016 წლის 10 მაისს პარტნიორთა კრება-ზე მოსარჩელის კუთვნილი 50%-იანი წილის მოპასუხისთვის მი-ყიდვის გადაწყვეტილება მიიღეს.

2. 2016 წლის 10 მაისს მხარეებს შორის წილის ნასყიდობის შესა-ხებ ხელშეკრულება დაიდო და მოსარჩელემ საზოგადოების 50%-იანი წილი მოპასუხეს – 300 000 აშშ დოლარად მიჰყიდა, ეს უკანას-კნელი საზოგადოების 100%-იანი წილის მესაკუთრედ დარეგის-ტრირდა (იხ, ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო (არაკომერ-ციული) იურიდიული პირების რეესტრიდან).

2.1. მყიდველს 100 000 აშშ დოლარი 2016 წლის 16 მაისამდე, 100 000 აშშ დოლარი იმავე წლის 29 ივნისამდე, ხოლო 100 000 აშშ დო-ლარი 2016 წლის 16 აგვისტომდე უნდა გადაეხადა.

3. შეთანხმების საფუძველზე, მყიდველმა გამყიდველს ნასყი-დობის ფასის ნაწილი – 100 000 აშშ დოლარი აუნაზღაურა.

4. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-ტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 29 მაისის №003661919 დას-კვნით (შემდგომი ტექსტში მოხსენიებული, როგორც, ექსპერტი-ზის დასკვნა), იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მისაღები 200 000 აშშ დოლარი მოხმარდებოდა 2012 წლის 2 თებერვალსა და 2015 წლის 11 აგვისტოს გარიგებების თანახმად, კერძო პირების-გან სესხად აღებული 190 000 აშშ დოლარისა და მასზე დარიცხული

ყოველთვიური საპროცენტო სარგებლის დაფარვას, მოსარჩელეს კერძო პირების სასარგებლოდ საპროცენტო სარგებელი და პირგა-სამტებლო, 208 129 აშშ დოლარი, აღარ დაერიცხებოდა, შესაბამი-სად, აღნიშნული დაშვების შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხა – 208 129 აშშ დოლარია.

5. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარ-ჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ ნასყიდობის ხელშეკრულე-ბით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაუ-რების მოთხოვნით.

6. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

7. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს წილის ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის – 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარისა და ზიანის – 208 129 აშშ დო-ლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა დაეკისრა მოსარჩელის სა-სარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად „სამართლებ-რივი ურთიერთობის შესახებ მინსკის 1993 წლის 22 იანვრის კონ-ვენცია“ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე და 408-ე მუხლები გამოიყენა.

8. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვე-ტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩე-ლის უარყოფა მოითხოვა.

9. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 28 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

10. საკასაციო საჩივრით მოპასუხემ გასაჩივრებული გან-ჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩე-ლის უარყოფა მოითხოვა.

10.1 კასატორის მტკიცებით, მოსარჩელემ, მისი დირექტორო-ბის პერიოდში უკანონოდ მიითვისა საზოგადოების კუთვნილი – 978 479.19 ლარი, რაც ნასყიდობის გაფორმებისას მისთვის ცნობი-ლი არ ყოფილა, სწორედ ამის გამო დააკავა ნასყიდობის საფასუ-რის ნაწილი – 200 000 აშშ დოლარი.

10.2. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, საექვო წარმომავ-ლობის სესხის ხელშეკრულებების საფუძველზე არ შეიძლება და-ეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2021 წლის 7 ოქტომ-ბრის განჩინებით, სსსკ-ის 391.5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახ-მად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებუ-ლია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებელია, შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

12. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ გამართლებულია.

13. იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურდა, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ფულადი ვალდებულების შესრულება და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 477-ე (ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლებას ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება, შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია, აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების ვალდებულებელი გარემოება) და 412-ე (ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს) მუხლებიდან გამომდინარეობს.

14. დადგენილია, რომ მხარეთა შორის ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობა ნასყიდობის (სსკ-ის 477-ე მუხლი) ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, რომლის საფუძველზეც მყიდველ/მოპასუხე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებული იყო, გადაეხადა მოსარჩელისათვის/გამყიდველისათვის ნასყიდობის საფასური. საქმის მასალებით უტყუარადაა დადგენილი, რომ მყიდველმა ეს ვალდებულება ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, მოსარჩელეს – 100 000 აშშ დოლარი აუნაზღაურა. ამდენად, კასატორის ჯამური დავალიანება – 200 000 აშშ დოლარია.

15. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილება-

შია დადგენილი, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს.

სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე, რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისის სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელი წინაპირობებია.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი ნაწილში (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს (იხ. სუსგები: №ას-15-29-1443-2012; №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

16. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე ნასყიდობის საზღაურის დაკისრებას მოითხოვს და განმარტავს, რომ მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულია ნაწილობრივ შეასრულა, კერძოდ, მხოლოდ – 100 000 აშშ დოლარი აუნაზღაურა. მოსარჩელის მითითების საპირისპიროდ, კასატორი/მოპასუხე განმარტავს, რომ მოსარჩელემ ნაკლიანი ნასყიდობის საგანი გადასცა, კერძოდ, მისი დირექტორობის პერიოდში უკანონოდ მიითვისა საზოგადოების კუთვნილი – 978 479.19 ლარი, რაც ნასყიდობის გაფორმებისას მისთვის ცნობილი არ ყოფილა.

17. კასატორის ამ მითითებას საკასაციო სასამართლო უარყოფს და მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ზოგადი პრინციპის გათვალისწინებით განმარტავს, რომ ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე დავისას გამოიყენება სსსკ-ის 102-ე მუხლით განსაზღვრული სტანდარტი, როდესაც ფაქტის მიმითებელი მხარე, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე, ვალდებულია, წარადგინოს განკუთვნილი მტკიცებულებები.

განსახილველ შემთხვევაში, ვითარებას ცვლის ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა სპეციფიკურობა – ხელშემკვრელ მხარეებად გვევლინებიან მენარმეები, რომელთა მიმართ კანონი, განსხვავებით სამოქალაქო ბრუნვის ჩვეულებრივი სუბიექტებისაგან, წინდახედულობის უფრო მაღალი სტანდარტია დადგენილი. ამგვარი მიდგომა ემსახურება სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, შესაბამისად, მტკიცების ზოგადპროცესუალური სტანდარტისაგან განსხვავებით, მატერიალური კანონმდებლობა ადგენს, რომ თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება (სსკ-ის 495.1 მუხლი).

ამდენად, მენარმეთა შორის ნასყიდობის საგნის ნივთობრივი ნაკლის თაობაზე წარმოშობილი დავისას არაჯეროვანი შესრულების მტკიცება ეკისრება შემძენს, რომელიც კანონით განსაზღვრული წინდახედულობის დარღვევის შემთხვევაში კარგავს შედავების უფლებას. უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო კანონმდებლობის ქვაკუთხედს ურთიერთობის მონაწილეთა კეთილსინდისიერება წარმოადგენს და იმ შემთხვევაში, თუკი დადგინდა, რომ მენარმე გამყიდველი ნივთის ნაკლის გამო დუმდა, იგი სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილით ვერ დაიცავს თავს (სსკ-ის 495.2 მუხლი), თუმცა, ნიშანდობლივია, რომ საქმის მასალებით არ დასტურდება ნორმის წინაპირობების არსებობა – საქონლის ნივთობრივი ნაკლი, რომლის თაობაზეც განზრახ დუმდა გამყიდველი (მდრ. სუსგ. №ას-373-347-2017, 27.10.2017წ).

18. მოცემულ შემთხვევაში დადგენილია, რომ მყიდველმა/კასატორმა მიიღო ნასყიდობის საგანი, ამასთან, მტკიცებულება, რომელიც ნივთის ნაკლის გამო, შედავებას დაადასტურებდა საქმეში არ წარდგენილა და შესაბამისად, კასატორის ეს პრეტენზია დაუსაბუთებელია.

19. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა ვერ დაასაბუთა გამყიდველის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვანი შეს-

რულება, კერძოდ ნაკლის მქონე ნასყიდობის საგნის გადაცემა, რისი გათვალისწინებითაც შემძენი ვალდებულია, სსკ-ის 477.2 მუხლის შესაბამისად, გადაუხადოს მოსარჩელეს ნასყიდობის საფასურის აუნაზღაურებელი ნაწილი – 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

20. კასატორი გასაჩივრებულ განჩინებას ზიანის ანაზღაურების დაკისრების თვალსაზრისითაც უმართებულოდ მიიჩნევს.

21. კასატორის არგუმენტის მხედველობაში მიღებით, საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს განმარტოს, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევისათვის, ზიანის ანაზღაურების დაკისრების ზოგად ნორმას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 394.1 მუხლი წარმოადგენს, რომელიც კრედიტორს მოვალის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას ანიჭებს.

დასახელებული ნორმის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ამასთან, საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408.1 და 412-ე მუხლებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით განმარტავს, რომ დასახელებული ნორმების ძირითადი შინაარსი მდგომარეობს იმაში, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარიყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

22. განსახილველ შემთხვევაში, ზიანის ანაზღაურების ნაწილში სარჩელის წარუმატებლობას მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობების არასაკმარისობა და უსაფუძვლობა განაპირობებს, კერძოდ:

23. მოსარჩელეს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოეშვა მხოლოდ სათანადო და დეტალური დასაბუთების პირობებში. საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელის სტადიაზე, მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მხარემ წარადგინა ექსპერტიზის დასკვნა სადაც აღნიშნულია: იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელის მიერ მისაღები 200 000 აშშ დოლარი მოხმარდებოდა კერძო პირებისგან, 2012 წლის 2 თებერვალსა და 2015 წლის 11 აგვისტოს სესხის ხელშეკრულების თანახმად აღებული 190 000 აშშ დოლარისა და მასზე დარიცხული ყოველთვიური საპ-

როცენტო სარგებლის დაფარვას, მოსარჩელეს კერძო პირების სა-სარგებლოდ საპროცენტო სარგებელი და პირგასამტეხლო – 208 129 აშშ დოლარი, აღარ დაერიცხებოდა, შესაბამისად, აღნიშნული დაშვების შემთხვევაში, ზედმეტად გადახდილი თანხა – 208 129 აშშ დოლარია.

24. საქმის მასალებით არ დასტურდება, რომ მოპასუხისთვის ცნობილი იყო ნასყიდობის საფასურის გადაუხდელობის უარყოფითი შედეგები. ზიანის დაკისრებისთვის აუცილებელი გარემოების დასადასტურებლად ასევე ვერ მიიჩნევა მოსარჩელის მარტოოდენ ზეპირსიტყვიერი მითითება, რომ მოპასუხისთვის გ. გ-ას მძიმე ფინანსური მდგომარეობა ცნობილი იყო და მოსარჩელე საზოგადოების წილს არსებული ფინანსური ვალდებულებების დაფარვის მიზნით ასხვისებდა.

25. საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს ექსპერტიზის დასკვნის კვლევით ნაწილსაც რომლის მიხედვით: ექსპერტიზაზე წარდგენილ იქნა მოსარჩელესა და შ. ს-ს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი გამსესხებელი ან მესამე პირი) შორის 2012 წლის 2 თებერვალს, გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი სესხის ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით: სესხის თანხა – 120 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 2% თვეში, სესხის დაბრუნების ვადა – 2017 წლის 2 თებერვალი (ხუთი წელი);

26. კ. გ-სა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე გამსესხებელი ან მესამე პირი) და მოსარჩელეს შორის 2015 წლის 11 აგვისტოს გაფორმებული სესხის ხელშეკრულება (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე სესხის ხელშეკრულება) შემდეგი პირობებით: სესხის თანხა – 70 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 1.8% თვეში, სესხის დაბრუნების ვადა – 2019 წლის 11 აგვისტო (ოთხი წელი);

27. ექსპერტიზაზე ასევე წარდგენილ იქნა მოსარჩელესა და გამსესხებლებს შორის 2019 წლის 22 და 28 მაისის ნოტარიულად დამოწმებული შეთანხმებები, 2012 წლის 2 თებერვლისა და 2015 წლის 11 აგვისტოს მარტივი ფორმით შედგენილ სესხის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით, რომლის თანახმად, პირველ სესხთან მიმართებით გადასახდელი ძირითადი თანხაა – 120 000 აშშ დოლარი, სარგებელი – 57 600 აშშ დოლარი, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ გადასახდელი პროცენტი – 66 800 აშშ დოლარი, ხოლო პირგასამტეხლო – 102 280 აშშ დოლარია.

მეორე სესხთან მიმართებით, გადასახდელია ძირითადი თანხა – 70 000 აშშ დოლარი, ასანაზღაურებელი სარგებელი კი, 11340 აშშ დოლარია.

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასება სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს. მტკიცებულებათა შეფასება ეფუძნება შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას და არა – სასამართლოს სუბიექტურ მოსაზრებებს. სასამართლო ობიექტურ საწყისებზე მტკიცებულებათა ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის შედეგად ადგენს მათ იურიდიულ ძალას, კერძოდ, განსაზღვრავს, თუ რა გარემოების დადგენა ან პირიქით, უარყოფაა შესაძლებელი. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება მტკიცებულებათა შეფასება მათი უტყუარობის თვალსაზრისით, რისთვისაც საჭიროა ამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი შემოწმება, მათი დაპირისპირება საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან. მტკიცებულებათა შეფასებას კი პროცედურულად მოჰყვება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა.

სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აიხსოს გადაწყვეტილებაში (სსსკ-ის 105-ე მუხლი).

29. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ზიანის ანაზღაურების თაობაზე ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა არ ეფუძნება საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ ექსპერტიზისთვის წარდგენილი მტკიცებულებებიდან 2012 წლის 02 თებერვლის და 2015 წლის 11 აგვისტოს გარიგებები, რომლითაც მოპასუხის მტკიცებით სესხის სახით სოლიდური მოცულობის თანხები აქვს მიღებული სანოტარო წესით დამოწმებული არაა.

ამავდროულად, იმავე მხარეებს შორის სანოტარო წესითაა დამოწმებული 2019 წლის 22 და 28 მაისის ორი შეთანხმება, რომლითაც მხარეებმა დამატებით განსაზღვრეს სესხის ძირითადი ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებანი.

საკასაციო პალატა ხაზს უსვამს, რომ ნოტარიულად დამოწმებული ხელშეკრულების არსებობის პირობებში უტყუარადაა შესაძლებელი დადგინდეს გარიგების გაფორმების რეალური თარიღი, რომლის შეცვლა მხარეებს შემდეგ აღარ შეუძლიათ.

ამასთან არასანოტარო ფორმით შედგენილი ხელშეკრულების

წარმოდგენისას და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მთლიანად ამ მტკიცებულებაზეა დამოკიდებული მხარისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საკითხი, გარიგების რეალობა და/ან სესხის ხელშეკრულების კონკრეტულ თარიღში შედგენა სხვა გარემოებებითაც უნდა იყოს დადასტურებული. ამდენად, მხოლოდ მტკიცებულებათა ერთობლიობით შეიძლება უტყუარად გაქარწყლდეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ არასანოტარო ფორმით შედგენილი მტკიცებულება მოგვიანებითაა შექმნილი და მისი წარმოდგენის მიზანია, მხარისთვის დასაკისრებელი ზიანის რეალობის დასაბუთება ან გაზრდა.

შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებების შედგენის თარიღის უტყუარად დადგენის შეუძლებლობის პირობებში ამავე მტკიცებულებების საქმის სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში და კრიტიკულად შეფასებისას მათი შინაარსის რეალობა და ზოგადად ხელშეკრულებაში დასახელებულ მხარეთა შორის სესხის ურთიერთობის არსებობა ეჭვქვეშ დგება.

30. წინამდებარე განჩინების 29-ე პუნქტში განვითარებული მსჯელობა, ასევე ის უმნიშვნელოვანესი გარემოება, რომ ა. შ-ვასითვის ნასყიდობის საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის უარყოფითი შედეგები გარიგების გაფორმებისას არ იყო ცნობილი, მოსარჩელის მოთხოვნას ზიანის ანაზღაურების ნაწილში სრულად აცლის საფუძველს და სასარჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ 200 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ანაზღაურების ნაწილში.

31. სსსკ-ის 53-ე მუხლის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მაშინ ამ მუხლში აღნიშნული თანხა მოსარჩელეს მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნის იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არაუმეტეს დავის საგნის ღირებულების 4 პროცენტისა, ხოლო არაქონებრივი დავის შემთხვევაში – განსახილველი საქმის მნიშვნელობისა და სირთულის გათვალისწინებით, 2 000 ლარამდე ოდენობით.

31.1. აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარ-

ჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

31.2. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოითხოვდა მოპასუხისათვის მის სასარგებლოდ 200 000 აშშ დოლარისა და 208 129 აშშ დოლარის დაკისრებას, ე.ი. დაეის საგნის (სარჩელის) ფასია 408 129 აშშ დოლარი. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით მოსარჩელეს აუნაზღაურდა 200 000 აშშ დოლარი, რაც დაეის საგნის ფასის 49%-ს შეადგენს და საპროცესო ხარჯებიც მხარეებს შორის ანალოგიური პროპორციით უნდა განაწილდეს.

31.3. მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს განეული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების, სათანადო პროპორციული ოდენობის – 4509.27 ლარის ანაზღაურება. ხოლო მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი 11 000 (5000+6000) ლარიდან, სათანადო პროპორციული ოდენობის – 5610 ლარის ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 408-ე, 411-ე მუხ-ლებით და

გ ა დ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა:

1. ა. შ-ვას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 28 ივლისის განჩინება და მიღებული იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. გ. გ-ას სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
4. ა. შ-ვას გ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს – 200 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა;
5. სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხისთვის 208 129 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;
6. ა. შ-ვას გ. გ-ას სასარგებლოდ დაეკისროს განეული სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების, სათანადო პროპორციული ოდენობის – 4509.27 ლარის ანაზღაურება;
7. გ. გ-ას ა. შ-ვის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის

მიერ სააპელაციო და უზენაეს სასამართლოებში სახელმწიფო ბა-
ჟის სახით გადახდილი 11 000 (5000+6000) ლარიდან, სათანადო
პროპორციული ოდენობის – 5610 ლარის ანაზღაურება;

8. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ნასყიდობა გადახდის განვადებით

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-661-2020

26 თებერვალი, 2021 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ზ. ძლიერიშვილი**

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

**1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ-
ვლები:**

1.1. რ. ჭ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი)
სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ს-ის“ (შემდგომში – მოპასუ-
ხე, მოწინააღმდეგე მხარე ან კომპანია) მიმართ 500 000 აშშ დოლა-
რის მოპასუხისათვის დაკისრების მოთხოვნით.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს:

2017 წლის 25 ოქტომბერს ა. ს-სა და მოსარჩელეს შორის გა-
ფორმდა გადახდის განვადების უფლებით ნასყიდობის ხელშეკრუ-
ლება. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზ-
რუნველსაყოფად ასევე დაიდო იპოთეკის ხელშეკრულება, რომ-
ლის საგანს წარმოადგენდა ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანა-
პიროზე, 300 არაგველის მიმდებარედ არსებული 5501 კვ.მ მიწის
ნაკვეთი (ს/კ №... და ს/კ №...) და მასთან დაკავშირებული სასტუმ-
რო ტურისტული კომპლექსის არქიტექტურული პროექტი. 2018
წლის 6 თებერვალს აღნიშნული უძრავი ქონება ა. ს-ის მიერ შეტა-
ნილ იქნა მისი 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნეუ-
ლი კომპანიის – შპს „ს-ის“ (ს/კ №...) სანესდებო კაპიტალში. ხელ-
შეკრულების საერთო საფასური განისაზღვრა 1 400 000 აშშ დო-

ლარით, საიდანაც მყიდველმა გადაიხადა 900 000 აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი ნაწილის გადახდას არ აპირებს იმ მიზეზით, რომ გამყიდველს არ შეუსრულებია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებანი, კერძოდ: ხელშეკრულების 1.2 პუნქტის თანახმად, გამყიდველმა იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში მყიდველისთვის წარედგინა მშენებლობის ნებართვა, რომლითაც გაიზრდებოდა შენობის სართულიანობა სამი სართულიდან ოთხ სართულამდე; 1.3. პუნქტის თანახმად, უნდა უზრუნველყო სასტუმროს ტერიტორიაზე სამგზავრო ლიფტის მოწყობის პროექტისა და შესაბამისი მშენებლობის ნებართვის გადაცემა 2018 წლის 30 ივლისამდე.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით მშენებლობის ნებართვის მოპოვებისათვის პირველი ეტაპია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა და სპეციალური ზონალური შეთანხმება (საჭიროების შემთხვევაში). ორივე პროექტი უნდა განხორციელდეს ქ. თბილისში, 300 არაგველების მიმდებარედ არსებულ 4005 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...). აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1515 განკარგულების შესაბამისად, გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება სასტუმროს (ტურისტული კომპლექსის) განთავსების მიზნით, ხოლო სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგინდა სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 26 ივნისის №1330281 გადაწყვეტილებით (რომელშიც ცვლილება შევიდა 2016 წლის 10 მაისის №2572377 ბრძანებით). ქ. თბილისის მერიისა და მისი სამსახურების გადაწყვეტილებების შედეგად შეუძლებელი გახდა მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება. მერიის ურბანულმა სამსახურმა თბილისის მერის ბრძანებით დაიწყო ზონალური შეთანხმების კანონიერების, ხოლო, არქიტექტურის სამსახურმა – იმ აქტების კანონიერების შემოწმება, რომელთა საფუძველზეც შეთანხმდა მიწის სამშენებლოდ გამოყენების პირობები, არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა (რაც წარმოადგენდა ხელშეკრულების საგანს). მერიის სამსახურებმა გააუქმეს, როგორც მიწის ნაკვეთზე დამტკიცებული ზონალური შეთანხმება, ასევე მასზე გაცემული მშენებლობის ნებართვა. ადმინისტრაციული აქტები გასაჩივრებულია და მიმდინარეობს შესაბამისი წარმოებები. ზემოაღნიშნული საკითხის გადაწყვეტამდე, ბათილად არის ცნობილი და აღარ არსებობს სასტუმრო-ტურისტული კომპლექსის დამტკიცებული არქიტექტურული პროექტები და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, დროებით შეუძლებელია მშენებლობის მეორე სტადიაზე (კორექტირებული პროექტის შეთანხმება და მშენებ-

ლობის ნებართვის გაცემა) გადასვლა და 2017 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 1.2 და 1.3 პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2018 წლის 15 მაისის №406781/103 წერილში მოპასუხემ აღნიშნა, რომ გამყიდველის მიერ არ მოხდა ხელშეკრულების 1.2. და 1.3. პუნქტებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დათქმულ ვადაში, რის გამოც, მოსარჩელეს ეცნობა, რომ ა. შ-მა გააუქმა მის მიერ გაცემული მინდობილობა. კომპანიამ მოითხოვა პროექტზე საავტორო უფლებების გადაცემა და ნასყიდობის ფასის განსაზღვრა უკვე გადახდილი თანხის ოდენობით.

2017 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 2.1.5.3. პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ მყიდველი არ უზრუნველყოფს გამყიდველზე ან მის მიერ მითითებულ პირზე (ხელშეკრულების 1.2. და 1.3. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებისათვის საჭირო) სათანადო წესით გაფორმებული მინდობილობის გაცემას, მაშინ ნასყიდობის ფასი განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების 2.1. პუნქტის შესაბამისად (1 400 000 აშშ დოლარი), რომელსაც მყიდველი გადაიხდის წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში. იქედან გამომდინარე, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ გამოცემული ადმინისტრაციული აქტები ზეგავლენას ახდენს ხელშეკრულების ცალკეული დებულებების აღსრულებაზე, მხარეები იმყოფებიან ფორს-მაჟორულ მდგომარეობაში. ამასთან, მოპასუხემ 2018 წლის 15 მაისის წერილით ხელშეკრულებით დადგენილ ვადაზე ადრე დააფიქსირა პოზიცია, რომ იგი დამოუკიდებლად აწარმოებდა საქმეს ადმინისტრაციულ ორგანოებთან, შესაბამისად, ამოქმედდა 2017 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 2.1.5.3. პუნქტი და მოპასუხე ვალდებულია გადაიხადოს 500 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ 2017 წლის 25 ოქტომბერს ა. ს-სა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა არა მხოლოდ ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, 300 არაგველის მიმდებარედ არსებული 5501 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ №... და ს/კ №...) და მასთან დაკავშირებული არქიტექტურული პროექტი, ხელშეკრულების 1.2 და 1.3 პუნქტების მიხედვით, გამყიდველის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 3 თვის ვადაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ნებართვა, რომლითაც გაიზრდებოდა შენობის სართულიანობა სამი სართულიდან 4 სართულამდე, ხოლო სასტუმროს ნომრების რაოდენობა 45-დან 60 ნომრამდე. მყიდველმა მოიწონა სამგზავრო ლიფ-

ტის ესკიზი/რენდერი. მხარეები თანხმდებოდნენ, რომ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გადაცემული იქნებოდა სამგზავრო ლიფტის მოწყობის პროექტი და შესაბამისი მშენებლობის ნებართვა 2018 წლის 30 ივლისამდე. ლიფტი მოწყობილი უნდა ყოფილიყო სასტუმროს ტერიტორიაზე და დაუკავშირდებოდა 300 არაგველის ქუჩის მიმდებარე ქუჩას, შესაბამისად, ხელშეკრულების საგანი იყო უძრავი ქონებები და მათთან დაკავშირებული უფლებრივი სიკეთე.

თუ ა. ს-ი გამყიდველისაგან მიიღებდა უძრავ ნივთებს იმ უფლებრივ მდგომარეობასთან ერთად, რაც ამ ნივთებს გააჩნდათ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, მას უნდა გადაეხადა 900 000 აშშ დოლარი. იმ შემთხვევაში თუ ეს უკანასკნელი გამყიდველისაგან ხელშეკრულების 1.2 და 1.3 მუხლებით გათვალისწინებულ ვადებში დამატებით მიიღებდა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატებოდა სართულიანობის ზრდაში და ლიფტის მოწყობის შესაძლებლობაში – დამატებით მოხდებოდა 500 000 აშშ დოლარის გადახდა.

ხელშეკრულების 2.1.5.1 მუხლით პირდაპირ განისაზღვრა, რომ თუკი გამყიდველის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. და 1.3. მუხლებით განსაზღვრული ვალდებულებები ვერ შესრულდებოდა სრულად და ჯეროვნად დათქმულ ვადებში, მაშინ ხელშეკრულების ფასი შემცირდებოდა და განისაზღვრებოდა მხოლოდ 900 000 აშშ დოლარით, საიდანაც უძრავი ქონების ღირებულება შეადგენს 875 000 აშშ დოლარს, ხოლო ხელშეკრულების 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება – 25 000 აშშ დოლარს. ხელშეკრულების 1.2. და 1.3 მუხლით განსაზღვრული გამყიდველის ვალდებულების შესრულების ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ/შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილი იყო, თავად მოეპოვებინა/ მიეღო აღნიშნული ან პროექტის სხვა სახის კორექტირება და ასეთ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ვალდებული და არ გადაუხდიდა გამყიდველს სხვაობას შემცირებულ (კორექტირებულ) ფასსა და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნასყიდობის ფასს შორის.

მყიდველს 2017 წლის 25 ოქტომბრის ხელშეკრულების 2.1.3 და 2.1.4 პუნქტებით გათვალისწინებული საფასური, ჯამში – 500 000 აშშ დოლარი არ გადაუხდია იმის გათვალისწინებით, რომ გამყიდველს არ შეუსრულებია ხელშეკრულების 1.2 და 1.3 მუხლებით გათვალისწინებული ვალდებულებები. ა. ს-ის მიერ, ხელშეკრულების შესაბამისად, მოსარჩელისათვის 900 000 აშშ დოლარის გადახდის შემდეგ, თვითმმართველმა ერთეულმა გააუქმა არა მარტო არსებული მშენებლობის ნებართვები, არამედ ფუნქციური ზონის ცვლი-

ლება, რითიც გამოირიცხა აღნიშნულ ტერიტორიაზე რაიმე სამშენებლო სამუშაოების წარმოება. გაუქმების საფუძველად კი მითითებულია, რომ ფუნქციური ზონის ცვლილება და მის საფუძველზე გაცემული მშენებლობის ნებართვები იყო უკანონო.

მოსარჩელე ხელშეკრულების 2.1.5.3 პუნქტზე აპელირებით განმარტავს, რომ 1 400 000 აშშ დოლარის გადახდა დამოკიდებული იყო ა. ს-ის მიერ მოსარჩელისათვის მინდობილობის გაცემაზე, თუმცა, ხელშეკრულების ხსენებული პუნქტის მთლიანად შესწავლით ირკვევა, რომ იმ შემთხვევაში თუ გამყიდველის მიერ მოხდება ხელშეკრულებით ნაკისრი 1.2. და 1.3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულების შესრულება ან/და მყიდველი არ გასცემს გამყიდველზე მინდობილობას და გამყიდველს ხელი შეეშლებოდა ხელშეკრულების 1.2. და 1.3 მუხლებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი 1 400 000 აშშ დოლარის მოთხოვნა. საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაცია ადასტურებს რომ ა. ს-ის მიერ რ. ჭ-ზე ხელშეკრულების 2.1.5.3 პუნქტით გათვალისწინებული მინდობილობა გაიცა. იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელემ დაინყო ხელშეკრულების 1.2 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება ა. ს-ის მიერ გაცემული მონდობილობის საფუძველზე და თვითმმართველმა ერთეულმა რ. ჭ-ის მიერ განცხადების წარდგენის შემდეგ არა თუ არ გააფართოვა არსებული ნებართვის ფარგლები, არამედ საერთოდ გამოირიცხა რაიმე სახის მშენებლობის განხორციელება, დამატებითი მინდობილობის გაცემა აზრს იყო მოკლებული. გარდა ამისა, არ არსებობს მტკიცებულება რომელიც დაადასტურებდა, რომ მოსარჩელემ მიმართა ა. ს-ს ან/და შპს „ს.ს“ ხელშეკრულების 1.2 და 1.3 მუხლით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მინდობილობის გაცემის მოთხოვნით და მას ეთქვა უარი. უდავოა, რომ მოსარჩელემ ვერ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, შესაბამისად, არც სარჩელით მოთხოვნილი თანხის ანაზღაურებას გააჩნია საფუძველი.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 14 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი უარყოფილ იქნა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 4 თებერვლის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

1.1. საკასაციო პრეტენზიების მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა. საკასაციო პალატის შეფასების საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დარჩენილი ნაწილის მოთხოვნის კანონიერება. ქვემდგომი სასამართლოების დასკვნით, მოთხოვნას არ გააჩნია ფაქტობრივი საფუძველი, რასაც არ იზიარებს კასატორი და პრეტენზიას აცხადებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან, როგორც მატერიალური, ისე – საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევის თაობაზე.

1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინების მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოე-

ბებს, რომელთა წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. სააპელაციო პალატის დასკვნით:

1.2.1. 2017 წლის 25 ოქტომბერს რ. ჭ-ს (გამყიდველი) და ა. ს-ს (მყიდველი) შორის გაფორმდა გადახდის განვადების უფლებით ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულება. გარიგების საგანს წარმოადგენდა გამყიდველის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და ამ ქონებასთან დაკავშირებული სასტუმროს საპროექტო დოკუმენტაციაზე მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემა, ხელშეკრულებით განსაზღვრული ნასყიდობის საგნის ღირებულების გადახდის სანაცვლოდ;

1.2.2. ხელშეკრულების 1.2 პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან სამი თვის ვადაში წარმოდგენილი იქნებოდა 2017 წლის 12 ივნისის №3317128 ბრძანებით შეთანხმებული ესკიზის შესაბამისად გაცემული მშენებლობის ნებართვა, რომლითაც გაიზრდებოდა შენობის სართულიანობა 3 სართულიდან 4 სართულამდე, ხოლო სასტუმროს ნომრების რაოდენობა 45-დან 60 ნომრამდე. ამავდროულად ხელშეკრულებით განისაზღვრა, რომ 2018 წლის 30 ივლისამდე გამყიდველი მყიდველს გადასცემდა სამგზავრო ლიფტის მოწყობის პროექტსა და მშენებლობის ნებართვას. ლიფტი მოწყობილი უნდა ყოფილიყო სასტუმროს ტერიტორიაზე (ს/კ №...), რომელიც დაუკავშირდებოდა 300 არაგველის ქუჩის მიმდებარე ქუჩას (1.3. პუნქტი). მხარეები შეთანხმდნენ, რომ სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შეასრულებდნენ ამ მუხლით გათვალისწინებულ ყველა პირობას (1.5. პუნქტი). უძრავი ქონებისა და მასთან დაკავშირებული სასტუმროს სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება შეადგენდა 1 400 000 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. აქედან უძრავი ქონების ღირებულება – 1 365 000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, ხოლო უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამშენებლო საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება – 35 000 აშშ დოლარს (2.1 პუნქტი). ნასყიდობის თანხა გამყიდველისთვის გადახდილი იქნებოდა შემდეგი პირობების გათვალისწინებითა და წესით:

– ხელშეკრულებაზე ხელმოწერისა და „მყიდველის“ მესაკუთრედ რეგისტრაციიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღეს „მყიდველი“ კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა „გამყიდვე-

ლისათვის“ 300 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად (2.1.1. პუნქტი);

– მყიდველი ასევე იღებდა ვალდებულებას, გამყიდველისათვის გადაეხადა 600 000 აშშ დოლარი ეკვივალენტი ლარი, არა უგვიანეს 2017 წლის 31 ოქტომბრისა (2.1.2 პუნქტი);

1.2.3. მას შემდეგ, რაც შეთანხმებული იქნებოდა ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული სასტუმროს პროექტი და გაიცემოდა მშენებლობის ნებართვა/ბრძანება, „მყიდველი“ კისრულობდა ვალდებულებას, ბრძანების/ნებართვის მისთვის წარდგენიდან/გადაცემიდან სამ საბანკო დღეში გადაეხადა „გამყიდველისათვის“ 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. აქედან, უძრავი ქონების ღირებულება შეადგენდა 95 000 აშშ დოლარს, ხოლო წინამდებარე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება – 5 000 აშშ დოლარს (2.1.3. პუნქტი);

1.2.4. მას შემდეგ, რაც შეთანხმებული იქნებოდა ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული პროექტი და გაიცემოდა მშენებლობის ნებართვა/ბრძანება, „მყიდველი“ კისრულობდა ვალდებულებას, გადაეხადა გამყიდველისათვის 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, გადახდის დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად შეთანხმებული ბრძანების/ნებართვის მყიდველისთვის წარდგენიდან სამი დღის ვადაში. აქედან, უძრავი ქონების ღირებულება შეადგენდა 95 000 აშშ დოლარს, ხოლო ხელშეკრულების 1.3 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება – 5 000 აშშ დოლარს. ამ პუნქტში მითითებული ბრძანების/ნებართვის მყიდველისთვის წარდგენიდან 12 თვის ვადაში მყიდველი უზრუნველყოფდა უძრავი ქონების დარჩენილი ღირებულების – 300 000 აშშ დოლარის გადახდას, ყოველთვიურად 25 000 აშშ დოლარის ოდენობით (2.1.4 პუნქტი);

1.2.5. იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველი ხელშეკრულების 1.2. და 1.3. მუხლებით განსაზღვრულ ვალდებულებებს (ლიფტის მშენებლობის და დამატებითი სართულის მშენებლობის ნებართვის აღება და „მყიდველისთვის“ გადაცემა) გამყიდველის დათქმულ ვადაში ვერ შეასრულებდა სრულად და ჯეროვნად, მაშინ ხელშეკრულების ფასი შემცირდებოდა და განისაზღვრებოდა მხოლოდ 900 000 აშშ დოლარით. აქედან, უძრავი ქონების ღირებულება იქნებოდა 875 000 აშშ დოლარი, ხოლო 1.1 პუნქტით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციისა – 25 000 აშშ დოლარი. ხელშეკრუ-

ლების 1.2. და 1.3 მუხლებით განსაზღვრული გამყიდველის ვალდებულების შესრულების ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, მყიდველი უფლებამოსილი იყო, თავად მიეღო სათანადო ნებართვა. ასეთ შემთხვევაში იგი არ იქნებოდა ვალდებული და არ გადაუხდიდა გამყიდველს სხვაობას შემცირებულ (კორექტირებულ) ფასსა და ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნასყიდობის ფასს შორის (2.1.5.1 პუნქტი);

1.2.6. თუკი გამყიდველი ხელშეკრულების 1.3. მუხლით განსაზღვრულ ვალდებულებას (ლიფტის მშენებლობის ნებართვის აღება და მყიდველისთვის გადაცემა) ვერ შეასრულებდა სრულად და ჯეროვნად, დათქმულ ვადაში, მაშინ ხელშეკრულების ფასი შემცირდებოდა და განისაზღვრებოდა მხოლოდ 1 000 000 აშშ დოლარით. აქედან, უძრავი ქონების ღირებულება – 970 000 აშშ დოლარით, ხოლო ხელშეკრულების 1.1 და 1.2 პუნქტებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის ღირებულება – 30 000 აშშ დოლარს;

1.2.7. იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველი უზრუნველყოფდა პროექტის კორექტირებას იმ სახით, რომ მყიდველზე გაიცემოდა მშენებლობის ნებართვა და ლიფტის მონყობა მშენებლობაზე დათქმულ ვადებში ან მყიდველი არ უზრუნველყოფდა გამყიდველზე ან მის მიერ მითითებულ პირზე სათანადო წესით გაფორმებული მინდობილობის გაცემას, მაშინ ნასყიდობის ფასი განისაზღვრებოდა ხელშეკრულების 2.1 პუნქტის შესაბამისად და მყიდველი გადაიხდიდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში (2.1.5.3. პუნქტი);

1.2.8. ხელშეკრულების გაფორმებამდე მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ 4005 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...) ქ. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 29 მაისის №10-12 გადაწყვეტილებით, სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონა განისაზღვრა სარეკრეაციო ზონა 2-ით. ქ.თბილისის მერის 2014 წლის 25 ივნისის №1515 განკარგულებით საპროექტო მიწის ნაკვეთზე სასტუმროს განთავსების მიზნით გაიცა სპეციალური ზონალური შეთანხმება, ხოლო სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოიცა შემდეგი აქტები:

- 2014 წლის 26 ივნისის №1330281 გადაწყვეტილებით სასტუმროს განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი);

- 2014 წლის 25 ივლისის №1406550 ბრძანებით შეთანხმდა სასტუმროს არქიტექტურული პროექტი და გაიცა სამშენებლო ნებართვა მე-3 კლასის შენობა-ნაგებობაზე;

- 2016 წლის 13 ივნისის №2634247 ბრძანებით შეთანხმდა სას-

ტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა სამშენებლო ნებართვა მე-3 კლასის შენობა-ნაგებობაზე;

– 2017 წლის 12 ივნისის №3317128 ბრძანებით შეთანხმდა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის ესკიზი (კორექტირება მოიცავდა შეთანხმებულ პროექტზე მეოთხე სართულის დამატებას);

1.2.9. ხელშეკრულების გაფორმებამდე გამყიდველის საკუთრებაში არსებულ 1496 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...) სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ გამოიცა შემდეგი აქტები:

– 2015 წლის 4 თებერვლის №1703983 გადაწყვეტილებით ტივმისაბმელის დახმარე სათავსო, დეკორატიული გაფორმების ობიექტების, პერგოლისა და მსუბუქი ტიპის ფანჯატურის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები (გაპი);

– 2015 წლის 25 აგვისტოს №2157442 ბრძანებით შეთანხმდა დეკორატიული გაფორმების ობიექტების, პერგოლისა და მსუბუქი ტიპის ფანჯატურის არქიტექტურული პროექტი და გაიცა სამშენებლო ნებართვა;

1.2.10. 2018 წლის 6 თებერვალს უძრავი ქონებები (ს/კ №... და №...) ა. შ-მა შეიტანა მისი 100%-იანი ნილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კომპანიის – შპს „ს-ის“ საწესდებო კაპიტალში. 2017 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებული გარიგებით ჩამოყალიბებულ სამართალურიერთობაში ა. ს-ის უფლებამონაცვლეა შპს „ს-ი“;

1.2.11. ა. ს-ის მიერ 2017 წლის 10 ოქტომბერს გაცემული მინდობილობის საფუძველზე, ჯ. ს-მა 2017 წლის 2 ნოემბერს გამოხატა თანხმობა, რომლითაც რ. ჭ-ს მიენიჭა უფლება, არქიტექტურის სამსახურთან დაესრულებინა წინასწარ შეთანხმებული ესკიზის მიხედვით პროექტის შეთანხმება და აელო კორექტირებული მშენებლობის ნებართვა;

1.2.12. მოსარჩელემ 2017 წლის 17 ოქტომბრის განცხადებით მოითხოვა ქ. თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, 300 არაგველის მიმდებარედ 4005 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (ს/კ №...) შეთანხმებული ესკიზით სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 დეკემბრის №3734232 ბრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარე მტკვრის წყალდაცვით ზოლში, სადაც მშენებლობა აკრძალულია, შესაბამისად, მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რომელიც გულისხმობდა სასტუმროს შენობის სართულიანობის

გაზრდას და სამგზავრო ლიფტის მოწყობის ნებართვის მიღებას, ვერ შესრულდა;

1.2.13. მყიდველმა გამყიდველს გადაუხადა 900 000 აშშ დოლარი.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

1.3.1. საკასაციო სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს სააპელაციო სასამართლოს მხრიდან საქმის მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმათა დარღვევით განხილვის თაობაზე და მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში, გასაჩივრებული განჩინების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე წინაპირობის არსებობა არ დგინდება. საკასაციო საჩივრის დასაბუთებულობის შემოწმების მიზნით, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სარჩელის სამართლებრივ საფუძვლებზე, ასევე, მტკიცებების საგანში შემავალ ფაქტებსა და სააპელაციო პალატის მხრიდან ამ ფაქტების დადგენის სანდოობაზე.

1.3.2. განსახილველი დავა სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარეობს, კერძოდ, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საზღაურის დაკისრებას და მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს მყიდველის მიერ მინდობილობის გაცემის ვალდებულების დარღვევას უკავშირებს. საკასაციო პალატა ამ მოცემულობაში მიიჩნევს, რომ მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას სამოქალაქო კოდექსის 505-ე მუხლი წარმოადგენს. რომლის თანახმად, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე. ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე, ნასყიდობის დარჩენილი ღირებულების გადახდის ვალდებულების წარმოშობის საკითხის დასადგენად აუცილებელია შეფასება მიეცეს მხარეთა შეთანხმების ნამდვილ არსს და გადახდის განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებს. ამ მხრივ უმნიშვნელოვანესია აღინიშნოს თითოეული მხარის ინტერესი ხელშეკრულების დადების მიმართ, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.

1.3.3. მხარეთა შორის უდავოა, რომ ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა კომერციული დანიშნულების უძრავი ქონება და მშენებლობასთან დაკავშირებული პროექტი. ნასყიდობის ფასის გარკვეული ნაწილის გადახდა დამოკიდებული იყო შენობის პროექტის კორექტირებაზე და მესამე პირის – ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ნებართვის გაცემაზე, რომლის საფუძველზეც გაიზრდებოდა კომერციული დანიშნულების მქონე ნივთის – სასტუმროს სართულიანობა და მოეწყობოდა ლიფტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე გადაცემული ქონების ღირებულება განისაზღვრებოდა გადახდილი თანხით – 900 000 აშშ დოლარით.

1.3.4. სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ანდა გარიგების შეწყვეტა – ამ მოვლენის დადგომისთანავე. მოხმობილი უდავო ფაქტების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ქონების ღირებულების გაზრდა/ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა დამოკიდებული იყო პირობის დადგომაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ქონების ფასის განსაზღვრის ნაწილში სახეზეა პირობითი გარიგება.

1.3.5. საკასაციო პალატის მოსაზრებით ქონების ფასის განსაზღვრის ნაწილში სახეზეა პოზიტიური პირობითი დადებული გარიგება, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა ძალადაკარგულად ითვლება, თუკი ეს ვადა გავიდა და მოვლენა არ დადგა. მითითებული ნორმიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პოზიტიური პირობით დადებული გარიგების შედეგები წარმოშობილად ითვლება, თუკი მხარეთა მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში ამავე შეთანხმებით გათვალისწინებული ესა თუ ის მოვლენა დადგება, ამ ვადის უშედეგოდ გასვლა მიანიშნებს პირობის არდადგომასა და შესაბამისად, ვალდებულების წარმოუშობლობაზე.

1.3.6. განსახილველ შემთხვევაში, უდავოა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სასყიდლის ოდენობის გაზრდა და მისი განვადებით გადახდა მხარეებმა დაუკავშირეს მესამე პირის – ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კონკრეტულ ვადაში სამშენებლო დოკუმენტაციის კორექტირებას და შესაბამისი თანხმობის გაცემას, რაც გამყიდველს უნდა წარედგინა მყიდველისათვის, შესაბამისად, ამ უკანასკნელსაც წარმოეშობოდა ფასნამატის გადახდის ვალდებულება. უდავოა ისიც, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადა უშედეგოდ გავიდა და გამყიდველმა ვერ უზრუნველყო შეთანხმებული დოკუმენტაციის მყიდველისათვის წარდგე-

ნა, რაც ფორმალურად აღარ წარმოშობს მყიდველის ვალდებულებას, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული დამატებითი თანხა. საკასაციო პალატა საკითხის სრულყოფილად შეფასების მიზნით, ყურადღებას გაამახვილებს პირობის დაუდგომლობის საფუძველზე: საქმის მასალებით დადგენილია და კასატორი სადავოდ არ ხდის იმ გარემოებას, რომ ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 13 დეკემბრის №3734232 ბრძანებით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასტუმროს კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე, ვინაიდან მიწის ნაკვეთი მდებარეობს მდინარე მტკვრის წყალდაცვით ზოლში, სადაც მშენებლობა აკრძალულია, რაც თავისთავად გამოორიცხავს მყიდველის ვალდებულების წარმოშობას და საფუძველს აცლის მოსარჩელის მოთხოვნას. გარდა ამისა, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით ა. ს-ის მიერ რ. ჭ-ზე ხელშეკრულების 2.1.5.3 პუნქტით გათვალისწინებული მიწდობილობა გაიცა, თუმცა გარიგებით დადგენილ ვადაში მოსარჩელეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეუსრულებია. ასეც რომ არ იყოს, უდავო ფაქტია, რომ მოსარჩელემ არა თუ კორექტირებული პროექტის წარდგენა, არამედ არსებული პროექტის შენარჩუნებაც ვერ უზრუნველყო. მართალია ამ მხრივ კასატორი ყურადღებას ამახვილებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების კანონიერების შესწავლის მიზნით ადმინისტრაციული დავის აღძვრის თაობაზე, თუმცა ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დათქმულ ვადაში პირობა არ დამდგარა, შესაბამისად სარჩელით მოთხოვნილი თანხის ნაწილში ვალდებულება შეწყვეტილია, რის გამოც არ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველი.

1.4. გასაჩივრებული განჩინების ძალაში დატოვების პროცესული დასაბუთება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, რომლის წინააღმდეგაც საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ შედავებას, რის გამოც, სასამართლო უარყოფს კასატორის პრეტენზიებს და ამავე კოდექსის 410-ე მუხლის შესაბამისად, უცვლელად ტოვებს გასაჩივრებულ განჩინებას.

2. საქმის წარმოების შეჩერების შესახებ შუამდგომლობის საფუძვლიანობა:

კასატორი სასამართლოს წინაშე შუამდგომლობს საქმის წარმოების შეჩერებაზე ადმინისტრაციული დავის გადაწყვეტამდე. მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძვლად მიუთითებს იმ გარემოებას, რომ სასამართლოს წარმოებაშია ადმინისტრაციული საქმე, რომ-

ლის საგანსაც წარმოადგენს იმ ადმინისტრაციული აქტების კანონიერება, რომლითაც მას უარი ეთქვა სასტუმროს კორექტირებულ არქიტექტურული პროექტის შეთანხმებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე. საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის პრეტენზიას და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმადაც, სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება თუ საქმის განხილვა შეუძლებელია სხვა საქმის გადაწყვეტამდე, რომელიც განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართლის ან ადმინისტრაციული ნესით. განსახილველი ნორმიდან გამომდინარე, საქმის წარმოების შეჩერების ვალდებულება სასამართლოს წარმოეშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი განსახილველი დავა იმდენად არსებითადაა დაკავშირებული სასამართლოს წარმოებაში არსებულ სხვა დავასთან, რომ მისი გადაწყვეტა შეუძლებელია, ანუ ამ ორ დავას შორის უნდა იკვეთებოდეს იმდენად მჭიდრო და ორგანული კავშირი, რომ სხვა დავის გადაწყვეტამდე შესაჩერებელ საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენა შეუძლებელი იყოს. საკასაციო პალატა ითვალისწინებს, რომ წინამდებარე სარჩელის ერთ-ერთ საფუძველს წარმოადგენდა არა გამყიდველის მხრიდან ვალდებულების უბრალოდ შეუსრულებლობა, არამედ – ვადის გადაცილება, შესაბამისად, სახეზე არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 279-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა.

3. პროცესის ხარჯები:

ვინაიდან წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, არ არსებობს პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები. რაც შეეხება საკასაციო საჩივარზე გადახდილ სახელმწიფო ბაჟს, ამავე კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, ის უნდა დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში, ამასთანავე, რ. ჭ-ს დამატებით უნდა დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.09.2020 წლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 4 200 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 279-ე, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. რ. ჭ-ის შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობა-

ზე არ დაკმაყოფილდეს.

2. რ. ჭ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 4 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.

4. რ. ჭ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ.თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ დაეკისროს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 25.09.2020 წლის განჩინებით გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 4 200 ლარის გადახდა.

5. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

2. ქირაველობა

ნივთით სარგებლობისათვის გადასახდელი ქირის ანაზღაურება

განმარტება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1271-2019

7 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1 გ. ლ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც პირველი მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) შპს „ბ.“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, შეგებებული მოსარჩელე, აპელანტი ან კასატორი) 2014 წლის 4 დეკემბერს დადო წერილობითი შეთანხმება. მან მოპასუხეს 6 წლით სარგებლობაში გადასცა ქ. ქუთაისში, ა. პ. ქუჩა №...-ში მდებარე, 117.60 კვ.მ ფართი და სარდაფი.

2. აღნიშნული ფართი სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად მზად არ იყო და ამიტომ შეთანხმების მიხედვით, მოპასუხეს გადაცემულ ფართზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას ოთხი თვის ქირის გადახდა არ ევალდებოდა. შემდგომში კი, პირველი ორი წელი – 500 ლარი, მომდევნო ორი წელი – 1000 ლარი, ხოლო ბოლო ორი წელი – 1500 ლარი უნდა გადაეხადა.

3. პირველმა მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, რომ შეთანხმების ვადის გასვლამდე არ გაასხვისებდა და იპოთეკით არ დატვირთავდა ზემოაღნიშნულ ქონებას. მიუხედავად ამისა, მან 2015 წლის 3 სექტემბერს ზემოაღნიშნული ქონება აჩუქა დედას, მ. მძეს (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მეორე მოსარჩელე, შეგებებული მოპასუხე ან დასაჩუქრებული). ამის გამო, 2016 წლის 11 მაისის შეთანხმებაში შეტანილი ცვლილებით პირველი მოსარჩელე მეორე მოსარჩელემ ჩაანაცვლა. შესაბამისად, ამ უკანასკნელს 2015 წლის 9 სექტემბრამდე არსებული ქირის დავალიანება, 1500 ლარი, პირველი მოსარჩელისთვის, ხოლო შემდგომში, იმა-

ვე პირობებითა და მოცულობით მეორე მოსარჩელისთვის უნდა გადაეხადა.

4. მოპასუხემ პირველ მოსარჩელეს არ გადაუხადა სამი თვის ქირა, 1500 ლარი, ხოლო მეორე მოსარჩელეს 14 500 ლარი დავალიანებიდან, მხოლოდ 5 000 ლარი აუნაზღაურა.

5. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით, 2017 წლის 17 მაისს მოსარჩელებმა სარჩელი აღძრეს მოპასუხის წინააღმდეგ ქირის დაკისრების მოთხოვნით. თავის მხრივ, მოპასუხემ პირველი მოსარჩელის მიმართ წარადგინა შეგებებული სარჩელი, რომლითაც უსაფუძვლო გამდიდრებით მიღებული თანხის, 26 750 ლარისა და ქონების უკანონო სარგებლობით მიყენებული ზიანის, 1481 ლარის ანაზღაურება მოითხოვა.

6. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 22 იანვრის გადაწყვეტილებით, სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს პირველი მოსარჩელის სასარგებლოდ, 1500 ლარის, ხოლო მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ, 9500 ლარის გადახდა დაეკისრა; შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; შეგებებულ მოპასუხეს, 1481 ლარის გადახდა დაეკისრა, შეგებებული მოსარჩელის სასარგებლოდ. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 319-ე, 128-ე, 130-ე, 327-ე, 115-ე, 361-ე, 573-ე და 163-ე მუხლები გამოიყენა.

7. მოპასუხემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და პირველი მოსარჩელის მოთხოვნის ნაწილში სარჩელის სრულად, ხოლო მეორე მოსარჩელის სასარგებლოდ – 4500 ლარის დაკისრების ნაწილში, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

8. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 3 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

9. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა იჯარის ხელშეკრულებად შეაფასა. პალატამ არ გაიზიარა აპელანტის მსჯელობა, რომ მას პირველი მოსარჩელის მიმართ ვალდებულება არ გააჩნდა, ხოლო, მეორე მოსარჩელის მიმართ მხოლოდ – 5000 ლარი ჰქონდათ ასანაზღაურებელი. სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილებაზე გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ მოსარჩელებმა სათანადოდ უზრუნველყვეს მტკიცების ტვირთის რეალიზება და წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებით დაადასტურეს დავალიანების – 1500 ლარისა და 9500 ლარის არსებობა. შესაბამისად, პალატამ მოპასუხე დაავალდებულა გადაეხადა დავალიანება.

10. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელის უარყოფა. კასატორმა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განჩინების ნაწილობრივ, კერძოდ, მოძრავი ქონების ფართიდან გატანის აკრძალვის ნაწილში, გაუქმებაც მოითხოვა.

10.1. კასატორის მტკიცებით, პირველმა მოსარჩელემ დაარღვია შეთანხმების პირობა უძრავი ნივთის გაუსხვისებლობასთან დაკავშირებით. მიუხედავად ამისა, მან ურთიერთობა გააგრძელა ახალ მესაკუთრესთან; ამასთან, ის მოსარჩელეებს ზეპირსიტყვიერად შეუთანხმდა იმ დროისათვის არსებული დავალიანების (ქირის) პატიების თაობაზე. შესაბამისად, შპს-ს მხოლოდ მეორე მოსარჩელის მიმართ ჰქონდა დავალიანება – 5 000 ლარი, რაც მასთან ხელშეკრულების დადების შემდგომ წარმოიშვა.

11. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 14 იანვრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

12. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

13. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო, სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტზე დაყრდნობით, კასატორის ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ გასაჩივრებული განჩინება არსებითად სწორია მიუხედავად იმისა, რომ მისი სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის სამართლებრივ დასაბუთებას. 2014 წლის

4 დეკემბრის შეთანხმება, თავისი შინაარსით ქირავნობაა და სწორედ ამ ურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმების საფუძველზე უნდა შეფასდეს მოსარჩელების მოთხოვნის დასაბუთებულობა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იჯარის ხელშეკრულებას ქირავნობის ხელშეკრულებისაგან ძირითადად, გარიგების მიზანი განასხვავებს, სახელდობრ, მაშინ, როდესაც ქირავნობას დაწინაურება არ გააჩნია, იჯარის ხელშეკრულებით ქონება მოიჯარეს ნაყოფის მისაღებად გადაეცემა. ამ განსხვავების საილუსტრაციოდ სსკ-ის 531-ე და 581-ე მუხლების სამართლებრივი კონსტრუქციების შედარება სრულიად საკმარისია: „ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა“, „იჯარის ხელშეკრულებით კი, მეიჯარე მოვალეა გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც. იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული“. ამდენად ქირავნობის დროს კონკრეტული, ინდივიდუალურად განსაზღვრული, მოუხმარებადი ნივთი გადაეცემა დამქირავებელს სარგებლობაში, ხოლო იჯარის შემთხვევაში გადაეცემა ქონება, რომელიც, არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს (სსკ-ის 147-ე მუხლი), ანუ იმ მოთხოვნებსა და უფლებებს, რომლებიც მოიჯარეს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). იჯარის შემთხვევაში ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძლოლის გზით მიიღება სამართლებრივი ურთიერთობის (იჯარის) საფუძველზე („იურიდიული ნაყოფი“). საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოპასუხეს სარგებლობაში გადაეცა კონკრეტული უძრავი ნივთი ისეთ მდგომარეობაში, რომელიც არ იძლეოდა ნაყოფის მიღების შესაძლებლობას; კერძოდ, მოწინააღმდეგე მხარეს, კომერციული საქმიანობის მიზნით, ნივთის გამოყენება შეეძლო მას შემდეგ, რაც ის საკუთარი სახსრებით გადააკეთებდა, გაარემონტებდა და შესაბამისი ინვენტარით აღჭურავდა ნაქირავებ საგანს (იხ. ხელშეკრულების 5.2. პუნქტი). აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ დადებულია იჯარისა

და არა ქირავნობის ხელშეკრულება, საფუძველსაა მოკლებული.

14. ამდენად, ნივთის სარგებლობისათვის გადაუხდელი ქირის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელების მოთხოვნა სსკ-ის 531-ე მუხლის მეორე წინადადებიდან (დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა), გამომდინარეობს. მოსარჩელებმა ქირის (პირველი მოსარჩელის მიმართ – 1500 ლარის, ხოლო მეორე მოსარჩელის მიმართ – 9500 ლარის) დავალიანების არსებობა სათანადო მტკიცებულებებით დაადასტურეს, მით უფრო, რომ კასატორს დავის ეს ნაწილი საკასაციო პრეტენზიებში სათანადო დასაბუთებით არ გაუმყარებია, კერძოდ, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა კასატორის მითითებას დავალიანების (ქირის) პატიების თაობაზე, ეს მხოლოდ მხარის ზეპირსიტყვიერი განმარტებაა, რაც არ არის გამყარებული შესაბამისი მტკიცებულებით. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ შესრულებულია აღნიშნული ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა სამართლებრივი წინაპირობები. ამასთან, სახეზე არ არის მოთხოვნის გამომრიცხველი ან შემწყვეტი გარემოებები.

15. კასატორის მოთხოვნა სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 მაისის განჩინების ნაწილობრივ, კერძოდ, მოძრავი ქონების საიჯარო ფართიდან გატანის აკრძალვის ნაწილში გაუქმებაცაა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნულის თაობაზე იმსჯელა ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ და 2017 წლის 16 აგვისტოს განჩინებით საჩივარი არ დააკმაყოფილა, რომელიც საბოლოოა და არ საჩივრდება, შესაბამისად, კასატორის ეს პრეტენზიაც დაუსაბუთებელია.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

17. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია,

მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

18. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ბ.“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 3 ივლისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. იჯარა

ზიანის ანაზღაურება საიჯარო ქონების დაზარალებისას

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1227-2020

26 დეკემბერი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მიქაბერიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ერემაძე,
ვ. კაკაბაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „თ. ჯ-მა“ (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. გ-ის (შემდგომ – მოპასუხე, მონინალმდგე მხარე) მიმართ 3312 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

სარჩელის საფუძვლები:

2. მოსარჩელის მითითებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს ელექტრონული აუქციონის შედეგების თანახმად, 2013 წლის 9 დეკემბერს, შპს „უ.ქ.თ-სა“ და მოპასუხეს შორის, 2 წლის ვადით დაიდო იჯარის ხელშეკრულება 91.37 კვ.მ უძრავ ნივთზე, მდებარე: თბილისში, ... მე-4 მ/რ-სა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ (ს/კ ...). იჯარის ხელშეკრულების თანახმად, ქონების ყოველწლიური საიჯარო ქირა 3312 ლარით განისაზღვრა.

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს №04-1/93 გადაწყვეტილებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით შპს „თ. ჯ-ს“ (შემდგომ – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი) გადაეცა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრში 2016 წლის 24 აგვისტოს დარეგისტრირდა.

4. მოპასუხემ 2017 წლის 12 აპრილს განცხადებით მიმართა მოსარჩელეს, რომლითაც 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას ითხოვდა. თუმცა, საყურადღებოა, რომ მოპასუხე, მიუხედავად ხელშეკრულების ვადის გასვლისა, ფართს უწყვეტად ფლობდა. მოსარჩელის მიერ აღნიშნული ფართის ფლობა არ შეწყვეტილა უზუფრუქ-

ტის მთელი პერიოდის განმავლობაში, რისი გათვალისწინებითაც, მოპასუხეს უნდა დაეკისროს 2016 წლის 24 აგვისტოდან 2017 წლის 24 აგვისტომდე წარმოშობილი საიჯარო ქირა – 3312 ლარი.

მოპასუხის პოზიცია:

5. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები 2015 წლის 9 დეკემბრიდან აღარ არსებობს და მას რაიმე დავალიანება მოსარჩელის მიმართ არ გააჩნია.

**პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სა-
რეზოლუციო ნაწილი:**

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2019 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით, მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. მოსარჩელემ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

**სააპელაციო სასამართლოს განჩინების სარეზოლუციო ნა-
წილი და ფაქტობრივსამართლებრივი დასაბუთება:**

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინებით, აპელანტის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება შემდეგ გარემოებათა გამო:

9. სააპელაციო სასამართლომ განჩინების დასაბუთებისას ყუ-რადღება გაამახვილა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომ – სსკ) 581-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციაზე და მიუთითა, რომ იმისათვის, რომ პირს დაეკისროს საიჯარო თანხის გადახდა, უნდა არსებობდეს რამოდენიმე არსებითი პირობა, კერძოდ, მხარეთა შორის შეთანხმება საიჯარო ურთიერთობის შესახებ, მეიჯარემ საიჯარო საგანი უნდა გადასცეს მოიჯარეს, მოიჯარემ უნდა ისარგებლოს საიჯარო ნივთით.

10. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, აპელანტმა (მოსარჩელემ) შესაბამისი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ მოპასუხე მოსარჩელისათვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული უძრავი ნივთით სარგებლობდა, რაც მისი მტკიცების საგანში შემავალ გარემოებას წარმოადგენდა. საქმის მასალებში არსებული უზუფრუქტისა და იჯარის ხელშეკრულებებით კი დასტურდება საწინააღმდეგო – ხელშეკრულებების სხვადასხვა უძრავ ნივთზე დადების ფაქტი, კერძოდ, ხელშეკრულებებით დგინდება, რომ უზუფრუქტის საგანს წარმოადგენდა ორი უძრავი ნივთი ისკადასტრო კოდე-ბით ... და ..., ხოლო მოპასუხისათვის გადაცემული საიჯარო საგანი

იყო უძრავი ნივთი საკადასტრო კოდით №...

11. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის არგუმენტი, რომლის თანახმად, მოპასუხის განცხადება, რომლითაც იგი ითხოვს იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას, მიჩნეულ უნდა იქნეს მოსარჩელესთან იჯარის ხელშეკრულების არსებობად. სასამართლომ აღნიშნა, რომ მასში მითითებულია თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან 2013 წლის 9 დეკემბერს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ნივთის მოპასუხის მიერ დაკავება. აღნიშნული ნივთი კი, როგორც აღინიშნა, უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოსარჩელეს არ გადასცემია. რაც შეეხება შპს „უ.ქ.თ-ის“ შეტყობინებას, წერილი ეხება საკადასტრო კოდით ... და ... ხელშეკრულების შეწყვეტას 2014 წლის 19 ოქტომბრის მონაცემით, თუმცა ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მოპასუხეს შპს „უ.ქ.თ-თან“ გაფორმებული ჰქონდა იჯარის ხელშეკრულება, საქმეში წარმოდგენილი არ ყოფილა. 2013 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულება კი დადებულია №... საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ქონებაზე 2 წლის ვადით, რომლის მიმართ მოსარჩელეს მოთხოვნის უფლება არ წარმოშობია.

12. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, არ ვლინდება სსკ-ის 581.1 მუხლის შემადგენლობა: მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ დადებულია იჯარის ხელშეკრულება და არც უკვე არსებულ საიჯარო ხელშეკრულებაში მხარეები არ ჩანაცვლებულან, მოსარჩელეს არ გადაუცია მის განკარგულებაში არსებული ნივთი მოპასუხისთვის, მოპასუხეს არ უსარგებლია მოსარჩელის ნივთით. გამომდინარე იქიდან, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დგინდება მოპასუხის მხრიდან საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულების წარმოშობა, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, არ არსებობს მოპასუხისთვის თანხის დაკისრების ფაქტობრივსამართლებრივი საფუძველი.

კასატორის მოთხოვნა და საფუძვლები:

13. სააპელაციო სასამართლოს განჩინებაზე, აპელანტმა (მოსარჩელემ) საკასაციო საჩივარი წარადგინა და გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

14. კასატორის განმარტებით, მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დასტურდება, რომ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს №04-1/93 ბრძანებით უსასყიდლო უზურფუქტით გადაეცა უძრავი ქონება, რომლითაც მოპასუხე უკანო-

ნოდ სარგებლობდა.

15. კასატორის მითითებით, უძრავი ქონების კასატორისათვის გადაცემის შემდგომ, მოპასუხე კვლავ აგრძელებდა 2013 წლის 9 დეკემბრის ხელშეკრულების მიხედვით შპს „უ.ქ.თ-თან“ დადებული ორნლიანი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავი ქონებით უკანონო სარგებლობას, რაც ნათლად დასტურდება მოპასუხის 2017 წლის 25 იანვრის განცხადებით, როდესაც მოსარჩელეს მიმართა და მოითხოვა იჯარის ხელშეკრულების გაფორმება, ასევე – 2017 წლის 12 აპრილის განცხადებით, რომლითაც მოპასუხემ დაადასტურა სადავო ფართის ფლობის ფაქტი 2013 წლის ხელშეკრულების საფუძველზე და ხელშეკრულების ვადის გაგრძელება მოითხოვა, რაც ამტკიცებს, რომ მოპასუხემ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდგომ არ დააბრუნა იჯარის საგანი და ქონებით სარგებლობა გააგრძელა.

16. კასატორის მითითებით, 2013 წლის იჯარის ხელშეკრულებით ქონების საკადასტრო კოდი იყო №..., ხოლო შემდგომ №... საკადასტრო კოდით შეიცვალა, ამის შემდგომ კიდევ ერთხელ შეიცვალა ამ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და საბოლოოდ გარდაიქმნა №... საკადასტრო კოდად. საუბარია ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე, რისი დამადასტურებელი ახსნა-განმარტება და დოკუმენტი წარადგინა სასამართლოში.

17. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ყურადღება არ გამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხის მიმართ გამოტანილია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, როდესაც სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ მოპასუხის მიმართ აღძრა სარჩელი, არამართლობიერ ფლობასთან დაკავშირებით და მოითხოვა ქირის ანაზღაურება ზუსტად ის პერიოდი, როდესაც ქონება მის საკუთრებაში იყო, კერძოდ, 2017 წლის 26 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, მოპასუხეს დაეკისრა 2015 წლის 16 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისამდე საიჯარო ქირის გადახდა, იმავე ქონებაზე უკვე შეცვლილი კოდით, რომელიც წარმოადგენდა ... ქონებას. სააპელაციო სასამართლოს 8 ივნისის სხდომის ოქმით მოწინააღმდეგე მხარემაც დაადასტურა, რომ მისთვის თანხის დაკისრება განაპირობა ქონების უკანონო ფლობამ, რაც ნათლად ადასტურებს ამ უკანასკნელის მხრიდან სადავო ქონების უკანონოდ ფლობის ფაქტს.

სამოტივაციო ნაწილი:

18. საკასაციო პალატამ შეისწავლა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლები, შეამოწმა გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთება და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი დასა-

ბუთებულია, შესაბამისად, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

19. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმებაც სასამართლოს ვალდებულებაა და უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმის აბსტრაქტული აღწერილობა, რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოორიცხავს მხარისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგს.

21. საქმის განმხილველი სასამართლო შეზღუდულია მხოლოდ მხარის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებით, რაც შეეხება სამართლის ნორმების გამოყენებას, სასამართლო, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით, ადგენს თუ რა სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და ამ ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმების სა-

ფუძველზე აკმაყოფილებს ან არ აკმაყოფილებს სარჩელს. მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის შეფასება სასამართლოს კომპეტენციაა, თუმცა საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში.

22. მოცემულ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სსკ-ის 581-ე (იჯარის ხელშეკრულებით მეიჯარე მოვალეა, გადასცეს მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში და საიჯარო დროის განმავლობაში უზრუნველყოს ნაყოფის მიღების შესაძლებლობა, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძლოლის შედეგად შემოსავლის სახით. მოიჯარე მოვალეა, გადაუხადოს მეიჯარეს დათქმული საიჯარო ქირა. საიჯარო ქირა შეიძლება განისაზღვროს როგორც ფულით, ისე ნატურით. მხარეებს შეუძლიათ, შეთანხმდნენ საიჯარო ქირის განსაზღვრის სხვა საშუალებებზედაც; იჯარის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ქირავნობის ხელშეკრულების წესები, თუ 581-ე-606-ე მუხლებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული) და 591-ე (თუ მოიჯარე საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ არ დააბრუნებს იჯარით აღებულ ქონებას, მაშინ მეიჯარეს შეუძლია, მოითხოვოს დათქმული საიჯარო ქირის გადახდა ქონების დაბრუნების დაყოვნებისათვის) მუხლებიდან გამომდინარეობს.

23. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსკ-ის 591-ე მუხლი ადგენს საიჯარო ურთიერთობის დამთავრების შემდეგ, იჯარის საგნის უკან დაბრუნების დაყოვნებისათვის მოიჯარის მიერ ზიანის სახით საიჯარო ქირის გადახდის ვალდებულებას და მისი მიზანი მეიჯარის ინტერესების დაცვაა ამ უკანასკნელისათვის მოიჯარისაგან საიჯარო ქირისა და სხვა სახის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების მინიჭებით.

24. მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, აპელანტმა (მოსარჩელემ) შესაბამისი მტკიცებულებით ვერ დაადასტურა ის გარემოება, რომ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მფლობელობაში არსებული ქონება მისთვის უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული უძრავი ნივთია.

25. პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო მტკიცებით პროცესში, საპროცესო უფლების ჯეროვნად რეალიზების მიზნით, მოსარჩელემ უნდა მიუთითოს ყველა იმ გარემოებაზე, რომლებიც კანონის მიხედვით ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას (სსკ-ის 178-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტები, 219-ე მუხლის პირველი ნაწილი). მოსარჩელის მიერ, ამ საპროცესო ვალდებულების შესრულების შემთხვევაში კი, უკვე მოპასუხეზეა დამოკიდე-

ბული, მოსარჩელის მიერ მითითებული გარემოებების არსებობის უარყოფა (სსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

26. სსკ-ის მე-4 მუხლი განსაზღვრავს შეჯიბრებითობის პრინციპს, რომლის თანახმად, მტკიცების საგნის განსაზღვრა და მასში შემავალი ფაქტების დამტკიცების ტვირთი მხარეებს ეკისრებათ. იმავე კოდექსის მე-3 მუხლი განსაზღვრავს დისპოზიციურობის პრინციპს, რომელიც მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას – განკარგონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებები.

27. ამდენად, გარემოება დამტკიცებულად შეიძლება ჩაითვალოს, თუ ერთი მხარე მიუთითებს მასზე და მეორე მხარე არ ეწინააღმდეგება ამ მითითებას. ეს იმას ნიშნავს, რომ შეჯიბრებითი პრინციპის საფუძველზე, მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ (დასაბუთებულ) მოთხოვნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი წააგებს სამართლებრივ დავას. მოპასუხის სტადიაზე მომდებარა არა მხოლოდ ის, წარადგინა თუ რა მოპასუხებე შესაგებელი, არამედ, ასევე, წარდგენილი შესაგებელი რამდენად აბათილებს და არყევს (მოსარჩელის განმარტებების საფუძველზე შექმნილ) მოთხოვნის წარმოშობის ვარაუდს, კერძოდ, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

28. საკასაციო პალატამ ერთ-ერთ საქმეზე აღნიშნა, რომ სსკ-ის 201-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილების თანახმად, „პასუხში (შესაგებელში) სრულყოფილად და თანამიმდევრობით უნდა იყოს ასახული მოპასუხის მოსაზრებები სარჩელში მითითებულ თითოეულ ფაქტობრივ გარემოებასა და მტკიცებულებასთან დაკავშირებით. თუ მოპასუხე არ ეთანხმება სარჩელში მოყვანილ რომელიმე გარემოებას, იგი ვალდებულია მიუთითოს ამის მიზეზი და

დაასაბუთოს შესაბამისი არგუმენტაციით; წინააღმდეგ შემთხვევაში მას ერთმევა უფლება, შეასრულოს ასეთი მოქმედება საქმის არსებითად განხილვის დროს. მოპასუხე ვალდებულია, პასუხს დაურთოს მასში მითითებული ყველა მტკიცებულება. თუ მოპასუხეს საპატიო მიზეზით არ შეუძლია პასუხთან ერთად მტკიცებულებათა წარდგენა, იგი ვალდებულია, ამის შესახებ მიუთითოს პასუხში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოპასუხეს ერთმევა უფლება, შემდგომში წარადგინოს მტკიცებულებები). სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანი, რომელიც წარმოადგენს სადავო მატერიალურსამართლებრივ ფაქტებს, რომელზეც მიუთითებენ მოსარჩელე და მოპასუხე, მოთხოვნის თუ შესაგებლის დასაბუთების ან გაქარწყლებისათვის, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მტკიცებითი საქმიანობის გარეშე. სსსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ მოპასუხე ვალდებულია, საქმის მომზადების მიზნით აქტიურად იმოქმედოს, რაც, უპირველესად, სასამართლოსათვის სარჩელზე მისი წერილობითი მოსაზრებების წარდგენაში გამოიხატება. მოპასუხის მიერ ამ უფლების განუხორციელებლობა, სსსკ-ის 206-ე მუხლის შესაბამისად, ართმევს მას უფლებას, შეასრულოს ასეთი მოქმედება ამ საქმის არსებითად განხილვის დროს (ანუ, სასამართლოს სხდომაზე მხარისაგან მტკიცებულების მიღება აღარ ხდება). ამ შემთხვევისათვის სხვა რაიმე სპეციალურ შედეგს კანონი არ ადგენს“ (სუსგ დიდი პალატის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-664-635-2016, 2017 წლის 2 მარტი).

29. მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხეს შესაგებლით სადავოდ არ გაუხდია ის გარემოება, რომ მოსარჩელისათვის უზუფრუქტით გადაცემული ქონება და მისთვის შპს „უ.ქ.თ-ის“ მიერ გადაცემული საიჯარო საგანი ერთსა და იგივე ქონებას არ წარმოადგენს. ამასთან, მას, არც შპს „უ.ქ.თ-ისგან“ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემული ქონების ფლობა გაუხდია სადავოდ. შესაგებლით ეს უკანასკნელი მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითებდა, რომ იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები მხარეთა შორის 2015 წლის 9 დეკემბრიდან აღარ არსებობდა, შესაბამისად, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი შესაგებელი არ შეიცავს ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოების უარყოფის მიზეზებსა და არგუმენტებს, მოსარჩელის მიერ მითითებული (მტკიცებულებით გამყარებული) და მოპასუხის მიერ არაკვალიფიციურად შედავებული გარემოება, სამართლებრივად ქმნის დასკვნის საფუძველს, რომ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს №04-1/93 ბრძანებით, მოსარჩელისათვის უსასყიდლო უზუფრუქტით გადაცემული უძრავი ქონება, წარმოადგენს სწორედ შპს „უ.ქ.თ-ის“ მიერ მოპასუხისათ-

ვის გადაცემულ საიჯარო საგანს, რომელსაც ეს უკანასკნელი 2013 წლის 9 დეკემბერს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობდა.

30. საკასაციო პალატა დამატებით აღნიშნავს, რომ მოპასუხის მიერ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ნივთით სარგებლობის ფაქტის დასადასტურებლად მოსარჩელემ სარჩელს ასევე დაურთო წერილობითი მტკიცებულებები, კერძოდ, მან წარმოადგინა 2017 წლის 25 იანვრის წერილი, სადაც მოპასუხე თხოვნით მიმართავს მოსარჩელეს ... მ/რ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე ყოფილი ...ის ტერიტორიაზე 90 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე იჯარის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით. საქმეში წარმოდგენილია მოპასუხის 2017 წლის 12 აპრილის განცხადებაც, რომლის თანახმად, მოპასუხე თავად მიუთითებს, რომ თბილისში, ... მე-4 მიკრორაიონსა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებულ შენობაში (ე.წ. „...“) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვის სააგენტოსთან 2013 წელს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაკავებული აქვს ე.წ. საწყობების ტერიტორიაზე არსებული 92 კვ.მ ფართი და მოსარჩელისგან იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას მოითხოვს. ამ უკანასკნელის განცხადების პასუხად, საქმეში წარმოდგენილია მოსარჩელის 2017 წლის 25 აპრილის წერილი, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ მოპასუხის სარგებლობაში არსებული ფართი მოსარჩელეს უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაეცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს გადაწყვეტილებით და, ვინაიდან, გადაცემის დღიდან მოპასუხე სარგებლობს ამ ქონებით, მოსარჩელემ მოპასუხეს მიუთითა, რომ ერიცხებოდა დავალიანება 8 თვის საიჯარო გადასახადი 2208 ლარი და დავალიანების დროულად გადახდა მოითხოვა.

31. ზემოაღნიშნული მტკიცებულებების გარდა, ნიშანდობლივია, შპს „უ.ქ.თ-ის“ 2014 წლის 19 ნოემბრის შეტყობინება, რომლითაც მოპასუხეს ეცნობა, რომ თბილისში, ... დასახლება, მე-4 მ/რ-სა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონება (ს/კ ... და ...) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მიერ გადაეცა სახელმწიფოს და სახელმწიფო საკუთრების უფლება დარეგისტრირდა საჯარო რეესტრში, რაც სარგებლობის პირობების 11.4 მუხლის მიხედვით, ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებული პირობა იყო. პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ მოპასუხე მხარეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კანონიერ ძალაში შესული დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, საიჯარო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ, სადავო საიჯარო ქონების ფაქტობრივი ფლობის

საფუძველზე იმავე ქონებაზე 2015 წლის 16 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისამდე საიჯარო დავალიანების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ დაკისრებაც არ უარუყვია (ზემოაღნიშნულ პერიოდში საკუთრების უფლება სახელმწიფოს ჰქონდა). აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული დაუსწრებელი გადაწყვეტილება სწორედ ...7 საკადასტრო კოდის ქონებას ეხება.

32. საკასაციო პალატის განმარტებით, სარჩელზე წარმოდგენილი არაკვალიფიციური შესაგებელი და ზემოაღნიშნული მტკიცებულებები, სასამართლოს უქმნის შინაგან რწმენას მასზე, რომ მოპასუხე მოსარჩელისათვის უზუფრუქტით გადაცემულ ქონებას 2016 წლის 24 აგვისტოდან 2017 წლის 24 აგვისტომდე უწყვეტად ფლობდა. რაც შეეხება მოპასუხის 2017 წლის 25 აპრილის წერილს, სადაც ეს უკანასკნელი მიუთითებს, რომ ქონება 2017 წლის 12 აპრილიდან აქვს დაკავებული, პალატა დაუსაბუთებლობის მოტივით არ იზიარებს და განმარტავს, რომ ამავე წერილის თანახმად, იგი ქონებას 2013 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ფლობს და იჯარის ხელშეკრულების გაგრძელებას მოითხოვს, რაც ადასტურებს, მოპასუხეს შპს „უ.ქ.თ-თან“ ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ იჯარის საგანი არ დაუბრუნებია და ქონებით სარგებლობა გააგრძელა. აღნიშნული მსჯელობა გამომდინარეობს იმ მოსაზრებიდანაც, რომ სწორედ საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ, მოპასუხეს 2015 წლის 16 თებერვლიდან იმავე წლის 18 ივნისამდე საიჯარო დავალიანება, დაუსწრებელი გადაწყვეტილებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ დაეკისრა.

33. საკასაციო პალატის განმარტებით, წარმოდგენილი მტკიცებულებებით უდავოდ დგინდება, რომ მოპასუხეს მოსარჩელის წინამორბედ უზუფრუქტუართან საიჯარო ურთიერთობა ჰქონდა. (ამ დროისთვის განსაკარგი ქონების მესაკუთრეს თბილისის თვითმმართველი ერთეული, ხოლო უზუფრუქტუარს შპს „უძრავი ქონება ...“ წარმოადგენდა). ასევე, უდავოა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს 2016 წლის 8 აგვისტოს ბრძანებით (თბილისში, ... მე-4 მიკრორაიონისა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: ..., ...) არსებული უძრავი ქონების შპს „თ. ჯ-ისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემის შესახებ) მოსარჩელეს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემა ის უძრავი ქონება (მდებარე: თბილისში, ... მე-4 მიკრორაიონისა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 25285 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე გან-

თავსებული №1, №2, №3, №4, №5, №6, №7 შენობა-ნაგებობები, საკადასტრო კოდი ..., ასევე, თბილისში, ... მე-4 მიკრორაიონისა და ... საცხოვრებელი რაიონის მიმდებარედ არსებული 93470 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები №1-დან №10-ის ჩათვლით, ს/კ ...), რომლითაც მოპასუხე სარგებლობდა, შესაბამისად, ვინაიდან მოსარჩელე 2016 წლის 24 აგვისტოდან 2017 წლის 24 აგვისტომდე უძრავი ქონების უზუფრუქტუარი იყო (სსკ-ის 242-ე მუხლი ადგენს: უძრავი ნივთი შეიძლება სხვა პირს გადაეცეს სარგებლობაში ისე, რომ იგი უფლებამოსილია, როგორც მესაკუთრემ, გამოიყენოს ეს ნივთი და არ დაუშვას მესამე პირთა მიერ მისით სარგებლობა, მაგრამ მესაკუთრისაგან განსხვავებით, მას არა აქვს ამ ნივთის გასხვისების, იპოთეკით დატვირთვის ან მემკვიდრეობით გადაცემის უფლება (უზუფრუქტი). ამ ნივთის გაქირავების ან იჯარით გადაცემისათვის საჭიროა მესაკუთრის თანხმობა“) მას ეკუთვნის უზუფრუქტის დადგენის მომენტიდან უკვე არსებული ქირავნობიდან ან იჯარიდან სარგებელი, რაც ამ პერიოდში საიჯარო ქირის მოთხოვნის უფლებას წარმოუშობს, შესაბამისად, რაკი ყველა სამართლებრივი წინაპირობა განხორციელებულია, კერძოდ: იჯარის ხელშეკრულება დადებულია; საიჯარო ურთიერთობა დასრულებულია; ქონების უზუფრუქტუარი იჯარის ხელშეკრულების დასრულების შემდეგ მოსარჩელეა და მოიჯარის მიერ დაყოვნებულია საიჯარო ქონების დაბრუნება, ზიანის ანაზღაურების თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა სსკ-ის 591-ე მუხლის შესაბამისად საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

34. სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძვლები. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, არ არსებობს საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი, ვინაიდან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. პალატას მიაჩნია, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, გასაჩივრებული განჩინება უნდა გაუქმდეს და სარჩელი დაკმაყოფილდეს – მოპასუხეს უნდა დაეკისროს 3312 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ.

35. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნ-

დაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გაწეული სასამართლო ხარჯის – 550 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 411-ე მუხლებით

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „თ.ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 29 ივნისის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „თ. ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შ. გ-ს შპს „თ. ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს 3312 ლარის გადახდა;
5. შ. გ-ს შპს „თ. ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 550 ლარის გადახდა;
6. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

4. სესხი

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა

განმარტება

საქართველოს სახელით

№ას-560-2019

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება და იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2013 წლის 5 დეკემბერს გ. მ-სა (შემდგომში „გამსესხებელი“, „კრედიტორი“, „მოსარჩელე“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) და პ. ა-ძეს (შემდგომში „მსესხებელი“ ან „მოვალე“) შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, გამსესხებელმა მსესხებელს სესხის სახით გადასცა 21 000 ათასი ლარი, ერთი წლით, 2014 წლის 5 დეკემბრამდე.

2. სესხის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა ახმეტის მუნიციპალიტეტში, სოფელ ... მდებარე მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება (ს/კ №...).

3. მოვალემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა.

4. სასარჩელო მოთხოვნა

4.1. კრედიტორმა სარჩელი აღძრა სასამართლოში მოვალის მიმართ და მოითხოვა სესხის სახით გაცემული თანხის, 21 000 ლარის მოპასუხისთვის გადახდის დაკისრება და თანხის გადახდის მიზნით მოვალის საკუთრებაში არსებული იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაცია.

4.2. მოსარჩელის განცხადებით, იგი მოპასუხეს სხვადასხვა დროს სესხის სახით აძლევდა თანხას და საერთო ჯამში გაცემული აქვს 21 000 ლარი, რაც დაფიქსირდა კიდეც სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში. მოპასუხეს დღემდე არ შეუსრულებია ნაკისრი ვალდებულება.

5. მოპასუხის პოზიცია

5.1. მოპასუხემ სარჩელზე წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მას მოსარჩელესთან აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობა და მოგებასაც შეთანხმებით იყოფდნენ. მოპასუხეს მოსარჩელე მართლაც აძლევდა სესხის სახით სხვადასხვა თანხას, თუმცა მას მოსარჩელისთვის გადასახდელი აქვს არა 21 000 ლარი, არამედ 5000 ლარი.

6. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება

6.1. თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილებით, სარჩელი მოპასუხისთვის სესხის სახით 21 000 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე დარჩენილი ვალის – 5000 ლარის გადახდა.

7. მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი

7.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

8. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

8.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელი დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.2. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით და აღნიშნა, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის სასესიო ურთიერთობის არსებობას ვერ დაადასტურებდა მათ შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, ვინაიდან მოსარჩელეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება (დოკუმენტი), რომელიც 21 000 ლარის მოპასუხისთვის გადაცემის ფაქტს დაადასტურებდა.

8.3. სასამართლომ ასევე იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე-132-ე მუხლებით და მიუთითა მოპასუხის განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება, ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე დარჩენილი ვალი შეადგენდა 5000 ლარს.

8.4. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ არ არსებობდა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

9. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძველები

9.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და

ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

9.2. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაასკვნა, რომ მხარეთა შორის არ არსებობდა სასესიო ვალდებულება მაშინ, როდესაც აღნიშნულის საპირისპიროდ საქმეში წარდგენილია სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, იპოთეკის რეგისტრაციის დამადასტურებელი მტკიცებულება – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ასევე დადასტურებულია მსესხებლისთვის თანხის ურთიერთშეთანხმებით გადაცემის ფაქტი. ამასთან, გაურკვეველია, საიდან დაასკვნა სასამართლომ რომ მოპასუხე აღიარებს ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე 5000 ლარის გადახდის ვალდებულებას, ისევე, როგორც გაურკვეველია მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობა, როცა მათ ამგვარ შეთანხმებაზე ხელშეკრულება არ დაუდიათ. ამავე დროს, მოპასუხეს არ მოუთხოვია იპოთეკის შეწყვეტა და არც იპოთეკით დატვირთული უძრავი ქონების რეალიზაციის შესახებ მოთხოვნა გამხდარა სადავოდ.

9.3. საკასაციო საჩივრის ავტორი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე, 105-ე მუხლებზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ სასამართლო გასცდა სამართლებრივ ჩარჩოებს, როდესაც მსესხებლის მიერ გამსესხებლისთვის თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი დააკისრა მოსარჩელეს.

10. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

10.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 8 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაშია მიღებული სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად, ხოლო, 2021 წლის 29 სექტემბრის განჩინებით დასაშვებადაა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენისა და მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

11. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და

სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვე-პუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თა-ნახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასა-მართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასა-ბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. მოცემულ შემთხვევაში, კასატორის ძირითადი საკასაციო პრეტენზია ემყარება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ მხა-რეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი და იმ პი-რობებში, როდესაც თავად სესხის ხელშეკრულებიდან დგინდებო-და გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის თანხის გადაცემის ფაქ-ტი, უსაფუძვლოდ დააკისრა მოსარჩელეს ამ გარემოების დამადას-ტურებელი სხვა მტკიცებულების წარდგენა.

13. კასატორის პრეტენზიის შემოწმების მიზნით, საკასაციო სა-სამართლო პირველ რიგში, აღნიშნავს, რომ, როგორც საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია მითითებული, სასარ-ჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად ვლინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვ-ნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას გა-ნაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვ-ნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომ-წესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზო-გადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენების-თვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ. „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გა-რემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სა-მართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწი-ნებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამარ-თლებრივ საფუძველად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემოწმე-ბაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორცი-ელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამარ-თლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღ-წერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სი-ტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელ-საც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთი-

თებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წანამდგრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამოიწვევს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას (მდრ.სუსგ №ას-1768-2017, 29.05.2020წ; №ას-1773-2019, 13.03.2020წ).

14. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზე დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

15. მოცემულ შემთხვევაში, იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, სესხის თანხის დაბრუნების მოთხოვნა – სსკ-ის 623-ე მუხლიდან გამომდინარეობს. მოცემული ნორმის მიხედვით, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

16. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობისას თანმიმდევრობით უნდა განხორციელდეს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები: 1) სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა, იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღემო რჩენა. 2) სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის ნების გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განაწილებული უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლება-მოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემულის დაბრუნება, ხოლო

მსესხებელი კი, ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. 3) სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას.

17. ერთ-ერთ საქმეში, რომელშიც სადავო იყო მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საკითხი, საკასაციო სასამართლომ განმარტა შემდეგი: „სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ სესხი რეალურ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, რაც იმას ნიშნავს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობა არა მხოლოდ მის არსებით პირობებზე მხარეთა შეთანხმებით, არამედ ხელშეკრულების საგნის – გვაროვნული ნივთის მსესხებლისათვის გადაცემის მომენტიდან წარმოიშობა, შესაბამისად, მტკიცების საგანში შემავალი გარემოებაც, უპირველესად, ხელშეკრულების საგნის გადაცემა (ხელშეკრულების დადება)“ (მდრ: სუსგ №ას-1245-1168-2015, 20.05.2016). სხვა საქმეში, საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ სესხის ხელშეკრულება ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულებაა ანუ, იგი დადებულიად ითვლება და მხარეს დაბრუნების ვალდებულება წარმოეშობა გამსესხებლის მხრიდან ხელშეკრულების საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან (მდრ. სუსგ №ას-361-343-2015, 14.12.2015).

18. საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მართოდენ სესხის შესახებ შეთანხმება, ხელშეკრულების საგნის გადაცემის გარეშე, არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. რადგან სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისა და სამართლებრივი ძალის აუცილებელი პირობაა გამსესხებლის მიერ მსესხებლისათვის ფულის ან სხვა გვაროვნული ნივთის მსესხებლის საკუთრებაში რეალურად გადაცემა. სადავოობის შემთხვევაში, მოსარჩელემ (გამსესხებელმა) უნდა ამტკიცოს არა მხოლოდ სესხზე შეთანხმების არსებობა, არამედ სესხის საგნის რეალურად გადაცემის შესახებ ფაქტობრივი გარემოებაც.

19. საგულისხმოა, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ დავის მონაწილე რომელმა მხარემ უნდა ადასტუროს თანხის გადაცემის ანუ, ხელშეკრულების დადების შესახებ გარემოება, არ რეგულირდება მატერიალური სამართლის ნორმით. სესხის სახელშეკრულებო ურთიერთობის მომწესრიგებელი არც ერთი ნორმა მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციალურ წესს არ გვთავაზობს, რის გამოც, გამოყენებულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ზო-

გადი ნორმა მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის გადანაწილების-თვის (სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი), რომლის თანახმად, თანხის გადაცემის მტკიცების ტვირთი გამსესხებელს ეკისრება. ანუ გამსესხებლის ვალდებულება შემოიფარგლება სესხის თანხის გადაცემისა და გადაცემული თანხის ოდენობის მტკიცებით, ხოლო მსესხებლის მტკიცების ტვირთი კი შემოიფარგლება სესხის თანხის დაფარვით.

20. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მტკიცებულებათა შეფასების დროს სასამართლო ხელმძღვანელობს თავისი შინაგანი რწმენით. შინაგანი რწმენა საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად ყალიბდება. მტკიცებულებათა შეფასება არა სპონტანური და ინტუიციური, არამედ სათანადოდ მოტივირებული და დამაჯერებელი უნდა იყოს (სსსკ-ის 105-ე მუხლის მეორე ნაწილი) (შდრ. სუსგ №ას-279-264-2017, 21.04.2017წ.). „მტკიცებულებათა შეფასების სტანდარტი მიუთითებს სასამართლოსათვის არა სუბიექტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით მტკიცების საგანში შემავალი გარემო-რებების დადგენილად მიჩნევაზე, არამედ, მოსამართლის შინაგან რწმენაზე, რომელიც შეჯიბრებითობის ფარგლებში მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ შეფასებაზეა დაფუძნებული). მოსარჩელის (გამსესხებლის) მიერ სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების შემთხვევაში და ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე მისი მიუთითების პირობებში, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ მოპასუხეს (მსესხებელს) ვალდებულება (სესხის დაბრუნება) შესრულებული არ აქვს. ამდენად, სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დადასტურების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს (გამსესხებელს). მხოლოდ ამ შემთხვევაში მოქმედებს პრეზუმფცია მსესხებლის (მოპასუხის) მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის თაობაზე. ამ პრეზუმფციის გაქარწყლების ტვირთი (ვალდებულების შესრულების ტვირთი) კი თავად მსესხებელს (მოპასუხეს) აკისრია (შდრ. სუსგ №ას-№ას-929-891-2014, 22.04.2015).“

21. საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 624-ე მუხლზე (სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით) და აღნიშნავს, რომ მოცემული ნორმის თანახმად, სესხი ფორმასავალდებულო გარიგებას არ წარმოადგენს, მხარეები თავისუფალი არიან ხელშეკრულების ფორმის არჩევაში, თუმცა, უდავოა, რომ ფორმის არჩევის საკითხი მტკიცების ტვირთზე პირდაპირ და უშუალო გავლენას

ნას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი ხელშეკრულება პირ-დაპირ შეიცავს დათქმას თანხის მსესხებლისათვის გადაცემის თაობაზე. მოხმობილი ნორმიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას ისიც, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული ნებისმიერი დასაშვები მტკიცებულებით, მათ შორის, მოწმის ჩვენებით შეიძლება დადასტურდეს, თუმცა, ზეპირი სესხის დროს ნივთის გადაცემის დამტკიცების თვალსაზრისით, მხოლოდ ეს უკანასკნელი, კანონის თანახმად, არასაკმარისადაა მიჩნეული და საკასაციო პალატა გასესხებული თანხის გადაცემის ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ დასაშვებ და საკმარის მტკიცებულებად მიიჩნევს წერილობით საბუთს, მაგალითად, სავალო საბუთს, გადარიცხვის ქვითარს, სალაროს შემოსავლის ორდერს და ა.შ. (შდრ: სუსგ №ას-398-371-2017, 6 ივნისი, 2017 წელი), რასაც ვერ ვიტყვით წერილობითი სახის სესხის ხელშეკრულებაზე, როდესაც მხარეები, წერილობით იღებენ ვალდებულებას ერთმანეთის მიმართ და სათანადო წესით დამონმებულ ხელშეკრულებაში ასახავენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს.

22. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან კასატორი (მოსარჩელე) სადავოდ ხდის მის მიერ მოპასუხისთვის (მსესხებლისთვის) სესხის სახით გადაცემული თანხის დაბრუნებას და საკუთარ პოზიციას სესხის ხელშეკრულებაში არსებულ ჩანაწერზე (თანხის გადაცემის შესახებ) მითითებით ამყარებს, საკასაციო სასამართლო შეაფასებს თავად ამ ხელშეკრულების შინაარსს და, მასში გამოვლენილ მხარეთა ნების გათვალისწინებით, იმსჯელებს, იძლევა თუ არა აღნიშნული ჩანაწერი მოსარჩელის პრეტენზიის გაზიარების შესაძლებლობას.

23. სასამართლო, პირველ რიგში, მიუთითებს საქმის მასალებით დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

1) 2013 წლის 2 დეკემბერს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის წერილობით გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომელიც იმავე წლის 5 დეკემბერს დამოწმდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ;

2) ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ გამსესხებელმა სესხის სახით გასცა და მსესხებელმა მიიღო 21 000 ლარი ერთი წლის ვადით;

3) ხელშეკრულებაში აღნიშნულია, ასევე, რომ გასესხებული თანხის უზრუნველყოფის მიზნით, მსესხებელი იპოთეკით დატვირთავდა მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას;

4) ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიმართ და

ხელმოწერათა ნამდვილობა სადავოდ არ გამხდარა;

5) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის 30 ოქტომბრის ამონაწერში მითითებულია, რომ მსესხებლის საკუთრებაში არსებული, ახმეტის რაიონის სოფ. ქვემო ... მდებარე 1300 კვ.მ უძრავი ქონება 2013 წლის 5 დეკემბრის სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების უზრუნველსაყოფად დატვირთულია იპოთეკით (განცხადების რეგისტრაციის/უფლების რეგისტრაციის თარიღი: 05.12.2013).

24. საკასაციო სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაშია განმარტებული ხელშეკრულებისა და მხარეთა ნების გამოვლენის არსი გარიგებებში. თავად ხელშეკრულება არის მხარეთა მიერ მიღწეული კონსენსუსის შედეგი, რომელიც, სამართლებრივი თვალსაზრისით, იწვევს მხარეთა მიმართ უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას მათივე ნების საფუძველზე (სამოქალაქო კოდექსის 317.1 მუხლი). ხელშეკრულების არსებობისათვის აუცილებელია ორი ან მეტი ნების თანხვედრა, რაც იწვევს მხარეთა საერთო ნების დადგენის აუცილებლობას (სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლი). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების განმარტების არსი მხარეთა მიერ გამოვლენილი საერთო ნების ნამდვილი შინაარსის, ხელშეკრულების რეალური მიზნის დადგენაში მდგომარეობს. სასამართლო მხარეთა ნამდვილ ნებას ადგენს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განმარტების პროცესში წარმოიშობა ხელშეკრულების ტექსტში გადმოცემულ დებულებათა შორის წინააღმდეგობა ან შეუსაბამობა.

25. ყველა იმ გარიგებაში, რომლებშიც ნების გამოვლენის ნამდვილობა დამოკიდებულია მეორე მხარის მიერ ამ ნების მიღებაზე, არცთუ იშვიათად იბადება კითხვა, სწორად გაიგო თუ არა მეორე მხარემ ის, რისი თქმაც ნების გამომვლენ პირს სურდა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ გარიგებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში ორი მხარე – ნების გამომვლენი და ნების მიმღები – მონაწილეობს, აშკარა გახდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ნების სწორად გაგებას მეორე მხარის მიერ. მრავალი გარემოებით შეიძლება იყოს გამოწვეული, რომ ის, რაც იგულისხმა ნების გამომვლენმა, სხვაგვარად გაიგო მისმა მიმღებმა. აქედან წარმოიშობა გამოვლენილ ნებათა კონფლიქტი, რომელიც საჭიროებს სწორად გადაწყვეტას. ამ კონფლიქტის გადაწყვეტის სამართლებრივ საშუალებას კი წარმოადგენს ნების გამოვლენის განმარტება (იხ. სუსგ საქმე №ას-1144-1090-2014, 23 თებერვალი, 2015 წელი).

26. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გო-

ნიერული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან. ცხადია, რომ ეს „გონიერული განსჯა“ უნდა ემყარებოდეს გარკვეულ კრიტერიუმებს, კერძოდ, ნების გამოვლენის განმარტება უნდა განხორციელდეს ნების მიმღების შემცენების (გაგების) შესაძლებლობათა გათვალისწინებით. ამგვარი განმარტების დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს ყველა ხელშესახები გარემოება, რომელიც ამ შემთხვევას ახასიათებს.

27. ზემოაღნიშნული განმარტებებისა და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სადავო სესხის ხელშეკრულებაში მითითებულია სიტყვები – „გამსესხებელმა გასცა“ და „მსესხებელმა მიიღო“, ამასთან, ხელშეკრულება ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ (და როგორც უკვე აღინიშნა ხელმოწერათა ნამდვილობა სადავო არასდროს გამხდარა), საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული ჩანაწერი ადასტურებს ხელშეკრულების დადებისას მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის სესხის თანხის გადაცემის ფაქტს.

28. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო პალატის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მსესხებლისთვის თანხის გადაცემის დამადასტურებელი მტკიცებულების არარსებობის პირობებში, ვერ დადგინდებოდა მხარეთა შორის სასესხო სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა.

29. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედი მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტი გულისხმობს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის ისე განაწილებას, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ტვირთი, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია, ანუ მტკიცების ტვირთი ეკისრება მას, ვინც ამტკიცებს და არა – მას, ვინც უარყოფს.

30. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს.

31. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის, ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დაამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის

მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას (კვალიფიციური შედავების მნიშვნელობა ფაქტობრივი გარემოებების დადგენის მიზნებისათვის). მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. იმავდროულად, ახსნა-განმარტება უნდა დასტურდებოდეს რელევანტური მტკიცებულებებით [სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილი].

32. ამავე დროს, სადავო გარემოებების დადგენისას სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს არა ერთ რომელიმე მტკიცებულებაზე განყენებულად, არამედ იმსჯელებს საქმეში წარმოდგენილ მხარეთა განმარტებებზე, წერილობითი დოკუმენტებსა და სხვა მტკიცებულებებზე ერთობლიობაში, რომელთა ურთიერთშეჯერებით გადაწყვეტს, სარწმუნოდ მიიჩნიოს თუ არა ამა თუ იმ ფაქტის არსებობა.

33. მოცემულ დავაში, გამომდინარე იქიდან, რომ მხარეთა შორის გაფორმებული წერილობითი ხელშეკრულება შეიცავს დათქმას გამსესხებლის მიერ მსესხებლისთვის სესხის სახით 21 000 ლარის გადაცემისა და მსესხებლის მიერ აღნიშნული თანხის მიღების შესახებ, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საფუძველი ეცლება დამატებითი სახის მტკიცებულების წარდგენის მოთხოვნის შესახებ მოპასუხის (გამსესხებლის) პრეტენზიას. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, მსგავსი მტკიცებულების (თანხის გადარიცხვის დამადასტურებელი ქვითრის, სალაროს შემოსავლის ორდერის და ა.შ.) წარდგენა მხარეს შესაძლოა დაევალოს ზეპირი სახის ხელშეკრულების არსებობის დადასტურების მიზნით, ან იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება შეიცავს მხოლოდ დათქმას სესხის თანხის გადაცემაზე და მისი შინაარსიდან არ ირკვევა მსესხებლისთვის რაიმე თანხის გადაცემის ფაქტი, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს.

34. ყოველივე აღნიშნული კი, მტკიცების ტვირთს მოპასუხის (მსესხებლის) მხარეს აბრუნებს, რომელმაც სარწმუნო და რელევანტური მტკიცებულებების წარდგენით უნდა დაადასტუროს სესხის თანხის დაფარვის ფაქტი.

35. ამრიგად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ საქმის გარემოებათა არასათანადო შეფასების შედეგად, არასწორად გაანაწილა მხარეთა შორის მტკიცების ტვირ-

თი და არასწორად დაასკვნა, რომ გამსესხებელმა ვერ დაადასტურა სასესიო ურთიერთობის წარმოშობის (სესიის გაცემის) ფაქტი.

36. საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს საქმის მასალებით დადგენილ იმ გარემოებასაც, რომ თავად მოპასუხე, მართალია, უარყოფს მოსარჩელის მიერ მისთვის სესიის სახით 21 000 ლარის გადაცემის ფაქტს, თუმცა საქალაქო სასამართლოში წარდგენილ შესაგებელსა და სხვადასხვა წერილობით დოკუმენტებზე მითითებით აპელირებს გამსესხებლის მიმართ გარკვეული სახის დავალიანებისა და მისი ნაწილის დაფარვის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ მოპასუხის ეს პოზიცია წინამდებარე დავის განხილვისას არცერთი ინსტანციის სასამართლოს არ შეუფასებია სასესიო ვალდებულების ჭრილში. სააპელაციო პალატის მითითება კი მოპასუხის მიერ აღიარებული დავალიანების თანხის ერთობლივი საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებად მიჩნევის შესახებ, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ გამომდინარეობს საქმის მასალებიდან და ვერ მიიჩნევა სარჩელის უარყოფის დამატებით საფუძვლად, ვინაიდან მოდავე მხარეთა შორის ერთობლივი საქმიანობის არსებობა დადასტურებული არ არის.

37. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სააპელაციო პალატამ უნდა იმსჯელოს ზემოთ მითითებულ საკითხზეც და გადანყვევტილება მიიღოს მოპასუხის მიერ აღიარებული თუ მის მიერ მოსარჩელის მიმართ შესრულებული ვალდებულების გათვალისწინებით. როგორც საქმის მასალებითაა დადგენილი, სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ – მოპასუხეს დაკისრებული აქვს 5000 ლარის გადახდა მოსარჩელის სასარგებლოდ და ამ ნაწილში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადანყვევტილება კანონიერ ძალაშია შესული. სწორედ ამ მოცემულობის გათვალისწინებით – მოპასუხისთვის დაკისრებული თანხის (5000 ლარის) მხედველობაში მიღებით – უნდა შეაფასოს სააპელაციო პალატამ საქმის გარემოებები და ისე მიიღოს გადანყვევტილება.

38. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადანყვევტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვევტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. ამავ კოდექსის 394-ე მუხლის „ე“¹⁴ ქვეპუნქტის თანახმად, გადანყვევტილება ყოველთვის ჩა-

ითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, თუ გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია. მოცემული ნორმების ანალიზისა და წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, ვიდრე საქმეზე არ დადგინდება დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება.

39. სსსკ-ის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეუღია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას, სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება

განჩინება საქართველოს სახელით

№ას-891-858-2016

4 აპრილი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „G-ს“-ის (შემდეგში: მოპასუხე, შემკვეთი, საწარმო ან აპელანტი) მფლობელობაში არსებულ სამთო-სათხილამურო კურორტისათვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე განთავსებული ინფრასტრუქტურული ობიექტების ელექტრომომარაგებისათვის საჭირო იყო როგორც გარე ელექტრომომარაგების, ასევე, შიდა კურორტის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების მაღალი ძაბვის ქვესადგურთან დამაკავშირებელი ელექტროქსელის მოწყობა.

2. სს „ე-ამ“ (შემდეგში: მოსარჩელე, მენარდე ან კასატორი), გოდერძის უღელტეხილზე მშენებარე სამთო-სათხილამურო კურორტის ინფრასტრუქტურის ელექტრომომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, ამ განჩინების პირველ პუნქტში მითითებული საწარმოსაგან 2012 წლის 9 ივლისის მიიღო განაცხადი, გამანაწილებელ ქსელზე ახალი მოხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ, რომლითაც შესასრულებელი სამუშაოს საფასური (შეთავაზებული პაკეტის მიხედვით) განისაზღვრა 416 000 (ოთხას თექვსმეტი ათასი) ლარით. აღნიშნული თანხის ნახევარი 208 000 (ორას რვა ათასი) ლარი, 2012წ. 26 ივლისის საგადახდო დავალების საფუძველზე გადაიხადა შემკვეთმა, რა დროიდანაც მხარეთა შორის ხელშეკრულება დადებულიად ჩაითვა. მხარეთა შორის აღნიშნული სამართლებრივი დავის ნარმოშობის საფუძველს წარმოადგენდა საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №20 დადგენილება „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესების“ დამტკიცების შე-

სახე (შემდეგში: №20 დადგენილება; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ. 629-ე მუხლი).

3. ხელშეკრულების მიხედვით, მიერთების უზრუნველყოფა გულისხმობდა გარე ელექტრომომარაგებისათვის ქვესადგურის, ასევე, შიდა კურორტის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების მაღალი ძაბვის ქვესადგურთან დამაკავშირებელი ელექტროქსელის მოწყობას, რაც მენარდეს უნდა განეხორციელებინა 2012 წლის 26 ივლისიდან 90 დღეში, ანუ იმავე წლის 24 ოქტომბრამდე.

4. 2012 წლის 8 აგვისტოს შემკვეთსა და მენარდეს შორის დაიდო №290-4/12 ხელშეკრულება, რომლის 1.1. პუნქტის მიხედვით, მენარდემ იკისრა ვალდებულება, მოემზადებინა კურორტ გოდერძის შიდა ელექტრონული ქსელის პირველი ეტაპისა და 35 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საკაბელოთი შეცვლის პროექტი. ამავე ხელშეკრულების 1.2 პუნქტით, შემკვეთი მენარდეს უხდის სამუშაოს ღირებულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესით (სსკ-ის 629-ე მუხლი; იხ. ხელშეკრულება).

5. მხარეთა შორის 2012 წლის 27 აგვისტოს შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება, რომ 2012 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული №290-4/12 ხელშეკრულების თანახმად, მენარდემ შეასრულა, ხოლო შემკვეთმა ჩაიბარა შესრულებული სამუშაო, კერძოდ, კურორტ გოდერძის შიდა ელექტრონული ქსელის პირველი ეტაპისა და 35 კვ. საჰაერო ეგხ-ის საკაბელოთი შეცვლის პროექტი (იხ. მიღება-ჩაბარების აქტი).

6. 2012 წლის 26 ივლისის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოებიდან ქვესადგურის მშენებლობა თვითონ მენარდემ შეასრულა, ხოლო იმავე წლის 8 აგვისტოს ხელშეკრულებით განსაზღვრული შიდა კურორტის ტერიტორიაზე მდებარე ობიექტების მაღალი ძაბვის ქვესადგურთან დამაკავშირებელი ელექტროქსელის – 35 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის საკაბელოთი შეცვლის, ასევე – კურორტ გოდერძის შიდა ელექტრონული ქსელის მოწყობის სამუშაოები, მენარდესთან 2012 წლის 8 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მის მიერვე მომზადებული პროექტის მიხედვით, სანარმომ (შემკვეთმა) განახორციელა მესამე პირის (შპს „ე-ის“) მეშვეობით.

7. 2012 წლის 8 აგვისტოს მენარდის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე, სამუშაოების უსაფრთხო წარმოების მიზნით, შემკვეთის (მოპასუხის) მოთხოვნით გამოირთო 35 კილოვატიანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი „ბეშუმი“. აღნიშნული სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 20 ნოემბერს.

8. შემკვეთის მიერ სამუშაოების 20 ნოემბრამდე წარმოების გამო, ელექტროენერგიის მიწოდება მოხდა სამუშაოების დასრულე-

ბისტანავე. მას შემდეგ, რაც მოსარჩელემ (მენარდემ) მიიღო შეტყობინება შემკვეთისაგან სამუშაოების დასრულების შესახებ, იმავე დღეს აღნიშნული ინფორმაცია 2012 წლის 19 ნოემბერს წერილობით აცნობა და შეუთანხმა სს „ე-ას“, ამასთანავე, დაასრულა პროექტით გათვალისწინებული ენერგოუზრუნველყოფის სამუშაოები. საკურორტო კომპლექსის ელექტროგამანაწილებელ ქსელზე მიერთება მოსარჩელემ 2012 წლის 22 ნოემბერს განახორციელა.

9. სარჩელის საფუძვლები:

9.1. 2015 წლის 16 ოქტომბერს მენარდემ სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 208 000 (ორას რვა ათასი) ლარის დაკისრება მოითხოვა.

9.2. მოსარჩელემ, წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში აღწერილ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით განმარტა, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ენერგო-უზრუნველყოფის სამუშაოები დადგენილ ვადაში დაასრულა, ააშენა და შესაბამისად აღჭურვა ახალი ქვესადგური და დადგენილ ვადაში მოამზადა შიდა ელექტრონული ქსელისა და 35 კვ საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი. ამის შემდეგ მოპასუხემ დაიწყო მოსარჩელის მიერ მომზადებული პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულება და სამუშაოთა უსაფრთხოების მიზნით, მოპასუხისავე მოთხოვნით, გამოირთო 35 კვტ-იანი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი (შემდეგში: ეხგ) „ბეშუმი“. 2012 წლის 7 ოქტომბერს ქსელი მზად იყო გაშვებისთვის, თუმცა, მომხმარებლის მიერთება მხოლოდ 22 ნოემბერს გახდა შესაძლებელი, რადგან მოპასუხემ (შემკვეთმა) დაგვიანებით დაასრულა ზემოაღნიშნული სამუშაოები, რის გარეშეც ქსელში ჩართვა ტექნიკურად შეუძლებელი იყო. აღნიშნული გარემოება მოსარჩელეს აძლევდა უფლებას, მოეთხოვა მოპასუხისათვის მომსახურების ღირებულების დარჩენილი ნაწილის – 208 000 ლარის დაკისრება, რომელიც მოპასუხეს უნდა გადაეხადა მოსარჩელისთვის ელექტროენერგიით მობარაგების დანებების თარიღიდან, მაგრამ არ გადაუხდია (იხ. სარჩელი);

10. მოპასუხის შესაგებელი:

10.1. მოპასუხემ წარდგენილი წერილობითი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ მოსარჩელემ №20 დადგენილებით განსაზღვრულ 90 დღიან ვადაში ვერ უზრუნველყო საწარმოს გამანაწილებელ ქსელზე მიერთება. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2012 წლის 24 ოქტომბრამდე, ხოლო მოსარჩელემ მიერთება განახორციელა 22 ნოემ-

ბერს. ვადის დაუცველობის პირობებში, ზემოხსენებული დადგენილების თანახმად, მოპასუხეს არ ევალებოდა ღირებულების დარჩენილი ნაწილის მოსარჩელისათვის გადახდა;

10.2. მოპასუხემ ასევე მიუთითა, რომ მოსარჩელე შესაბამისი მტკიცებულებებით ვერ ადასტურებდა, რომ სწორედ ეგზ-ზე წარმოებული სამუშაოები წარმოადგენდა იმ შემთხვევებზე გარემოებას, რამაც ამ უკანასკნელის ვალდებულების ვადაში შესრულებას ხელი შეუშალა. ამის საპირისპიროდ, შემკვეთმა მიუთითა მტკიცებულებებზე, რომლის თანახმადაც, 2012 წლის სექტემბრის ბოლოს ეგზ-ის სარეაბილიტაციო სამუშაოები მას უკვე დამთავრებული ჰქონდა, შესაბამისად, მოსარჩელეს ხელს არაფერი უშლიდა, რომ კურორტის ქსელში მიერთება 24 ოქტომბრამდე, ანუ განსაზღვრულ ვადაში განეხორციელებინა. გარდა ამისა, საქმეში არ იყო წარმოდგენილი მტკიცებულება, თუ როდის გამოირთო ეგზ „ბეშუმი“, ვისი მოთხოვნით, ან რა მიზნით;

11. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები:

11.1. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დავალიანების – 208 000 (ორას ოც ათასი) ლარის გადახდა;

11.2. სასამართლომ საქმეში არსებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სხვა გარემოებებთან ერთად, დადგენილად მიიჩნია წინამდებარე განჩინების 1-8 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებანი, ხოლო დავის მოსაწესრიგებლად გამოიყენა სსკ-ის 53-ე, 243-ე-244-ე, 248-ე-249-ე, 250-ე, 257-ე, 364-ე, 369-ე მუხლები, აგრეთვე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) მე-4, 102-ე, 105-ე, 131-ე მუხლები და განმარტა:

11.2.1. სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის მოსაზრება, რომ მოსარჩელემ კანონით განსაზღვრულ ვადაში ვერ უზრუნველყო ახალი მომხმარებლის მიერთება ქსელზე. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ქსელზე მიერთების სამუშაოების ვადამ მოპასუხის (შემკვეთის) თხოვნით გადაინია, მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მაგრამ მიერთების სამუშაოების შეფერხება გამოიწვია მოპასუხის (შემკვეთის) მიერ შეასრულებელ სამუშაოთა გაჭიანურებამ. სასამართლომ არასაკმარის მტკიცებულებად მიიჩნია მოპასუხის განმარტება იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელემ თავად ვერ უზრუნველყო ვალდებულების მხარეთა შეთანხმებით დადგენილ ვადაში შესრულება და შეფერხების მიზეზი მოპასუხის ქმედება არ ყოფილა.

11.2.2. სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 361-ე მუხლის პირველ

ნაწილზე, რომლის თანახმად, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. ამავე მუხლის მეორე ნაწილით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვინაიდან თანხის დარჩენილი ნაწილი – 208 000 ლარი დღემდე არ იყო გადახდილი, მაშასადამე, მოპასუხეს ვალდებულება არ შეუსრულებია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, აღნიშნული კი წარმოადგენდა ამ უკანასკნელისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ თანხის დარჩენილი ნაწილის გადახდის დაკისრების საფუძველს.

12. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი:

12.1. რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ (შემკვეთმა), რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და მენარდის სარჩელის უარყოფა შემდეგ არგუმენტებზე დაყრდნობით:

12.1.1. სასამართლოს კვლევის საგანი უნდა ყოფილიყო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: ა) შეასრულა თუ არა მოსარჩელემ ვალდებულება დათქმულ დროს; ბ) მოსარჩელის მიერ სამუშაოების განხორციელების ვადის დარღვევა იყო თუ არა გამოწვეული რაიმე ობიექტური გარემოებით.

12.1.2. №4 დანართის მიხედვით, 2012 წლის 26 ივლისს, როცა მოპასუხემ მომსახურების საფასურის 50% გადაიხადა, დაიწყო სამუშაოების განხორციელების ვადის ათვლა. სამუშაოების განხორციელებისათვის მოსარჩელეს ჰქონდა 90 დღე, ანუ 2012 წლის 24 ოქტომბრამდე. უტყუარადაა დადგენილი, რომ მოსარჩელემ სამუშაოები დაასრულა 2012 წლის 22 ნოემბრისათვის. რითაც დაარღვია ხელშეკრულებითა და №20 დადგენილებით განსაზღვრული ვალდებულებები. აღნიშნული გარემოება შემკვეთს (მოპასუხეს) უფლებას აძლევდა, რომ ამავე დადგენილების 26¹ მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, მენარდის მიერ ვადის დარღვევის გამო, ამ უკანასკნელისათვის სამუშაოების ღირებულების მხოლოდ 50% გადაეხადა.

12.1.3. №20 დადგენილების 26¹-ე მუხლის მე-7¹ პუნქტის მიხედვით, „განაწილების ლიცენზიანტი უფლებამოსილია მიმართოს კომისიას ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის გაზრდის მოთხოვნით, თუ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიანტს ახალი მომხმარებლის მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში“. გარდა იმისა, რომ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი მტკიცებულება საქმეში არ იყო, ასევე არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულება, თუ როდის დაასრულა მოსარჩელემ (მენარდემ) სამუშაოები – მაღალი ძაბვის

ახალი ქვესადგურის აშენება და შესაბამისი მოწყობილობებით აღჭურვა. მენარდე უთითებდა, რომ 2012 წლის 7 ოქტომბერს მზად იყო ქსელი, მაგრამ სასამართლოსთვის რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია;

12.1.4. საქმეზე აგრეთვე არ იყო წარდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ მაღალი ძაბვის ეგზ „ბეშუმის“ გამორთვა დანამდვილებით მოითხოვა მოპასუხემ, არც ის გარემოება იყო დადგენილი, თუ როდის გამოირთო აღნიშნული ხაზი. რაიონული სასამართლო ამ გარემოების დადგენისას მხოლოდ მხარის ზეპირსიტყვიერ განმარტებას დაეყრდნო.

13. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება და დასკვნები:

13.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილებით, შემკვეთის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილებით, მენარდის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

13.2. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი შეფასებები.

13.2.1. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს ნარდობის ხელშეკრულებიდან, რომლის მიხედვითაც, მენარდეს უნდა განეხორციელებინა შემკვეთის (მოპასუხის), როგორც ახალი მომხმარებლის, 3000-5000კვ. სიმძლავრის გამანაწილებელ ქსელზე მიერთება. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ვალდებულების ვადაში შესრულება და შესრულებული სამუშაოს ღირებულების სრულად ანაზღაურება. ამდენად, მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობდა სსკ-ის 629.1 და 361.2 მუხლებიდან, ასევე №20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის (სიმძლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესებიდან“.

13.2.2. სსკ-ის 629.1 მუხლის თანახმად, „ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური“; ამავე კოდექსის 630-ე მუხლის საფუძველზე, „ანაზღაურება უსიტყვოდაც ითვლება შეთანხმებულად, თუ გარემოებების მიხედვით ნარდობა მხოლოდ ანაზღაურებითაა მოსალოდნელი. თუ ანაზღაურების ოდენობა შეთანხმებული არ არის, ტარიფის არსებობისას შეთანხმებულად მიიჩნევა სატარიფო განაკვეთი, ხოლო, თუ ტარიფები არ არსებობს,

მაშინ – ჩვეულებრივი ანაზღაურება“. იმისათვის, რომ გარკვეულიყო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობა, უნდა დადგენილიყო, რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებდა მოსარჩელე თავის მოთხოვნას, ანუ რითი ადასტურებდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 90-დღიან ვადაში სამუშაოს დასრულებას. ნარდობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, სწორედ შემსრულებელი (მენარდე) არის ვალდებული დაადასტუროს სამუშაოს ჯეროვანი (მათ შორის – ვადაში) შესრულების ფაქტი. მოსარჩელეს, ამ ფაქტის დასადასტურებლად, გარდა საკუთარი სიტყვიერი განმარტებისა, რაიმე სხვა სახის მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის. თავის მხრივ, მოპასუხემ (შემკვეთმა) იმ ფაქტის დასადასტურებლად, რომ მოსარჩელემ ვალდებულება ვადაში არ შეასრულა და ნაცვლად 2012 წლის 24 ოქტომბრისა, სამუშაოები იმავე წლის 20 ნოემბერს დაასრულა, მიუთითა შემდეგ მტკიცებულებებზე: მოსარჩელისა და სს „ს-ის“ მმართველთა საბჭოს თავმჯდომარისადმი 2012 წლის 18 და 19 ნოემბერს გაგზავნილ წერილებზე, 2012 წლის 22 ნოემბრის აღრიცხვის კვანძის შემოწმების აქტებზე და ელექტროქსელში მისაერთებელი ობიექტების ელექტროდანადგარებისა და მოწყობილობების ტექნიკური შემოწმების აქტებზე.

13.3. სსკ-ის 102-ე და 105-ე მუხლების შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ერთ-ერთი მხარის ახსნა-განმარტება, თუ მას არ ეთანხმება მოწინააღმდეგე, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ მტკიცებულებად, თუ იგი დასტურდება საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად. წინააღმდეგ შემთხვევაში, სადავო ურთიერთობისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივ გარემოებათა დამადასტურებელ უტყუარ მტკიცებულებად მხოლოდ მხარის ახსნა-განმარტება არ მიიჩნევა, აღნიშნული დაშვება ეწინააღმდეგება სსკ-ის 105-ე მუხლით დადგენილ პრინციპებს. ვინაიდან, მოსარჩელემ მხოლოდ განმარტება წარადგინა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 90-დღიან ვადაში სამუშაოს დასრულების თაობაზე და მას არ დაეთანხმა მოპასუხე, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად არ მიიჩნია, რომ გამოვლენილი იყო სსკ-ის 401-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობა [„ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“]. შესაბამისად, მოპასუხის მიერ მითითებულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ ნარდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო,

მოსარჩელემ 25 დღის დაგვიანებით დაასრულა.

13.4. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა №20 დადგენილების მე-4 დანართის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტზეც, რომლის თანახმად, „ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში (პერიოდში) დაუსრულებლობის (ელექტროენერგიით მომარაგების დაწყების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის) შემთხვევაში ახალი მომხმარებლის მიერთების საფასური შეადგენს ამ პუნქტის ა) ქვეპუნქტში მოცემული მიერთების საფასურის 50%-ს (შეთავაზებული პაკეტების მიხედვით)“. წინამდებარე განჩინების 13.2-13.3 ქვეპუნქტებში ასახული მსჯელობიდან და ზემოხსენებული სამართლებრივი აქტიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების საფუძველი (იხ. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება).

14. მენარდის (მოსარჩელის) საკასაციო საჩივარი:

14.1. მენარდემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება (იხ. საკასაციო საჩივარი).

14.2. კასატორი შემდეგ ძირითად პრეტენზიებზე უთითებს:

14.2.1. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 401-ე მუხლის შესაბამისად, ყურადღება არ მიაქცია იმ გარემოებას, რომ ვალდებულების ვადაში შეუსრულებლობა გამომწვეული იყო სწორედ მოპასუხის ქმედებით: 35 კვტ-იანი ეზგ, რომლის გადატანასა და საკაბელოთი შეცვლასაც ახორციელებდა მოპასუხე, წარმოადგენდა ერთადერთ წყაროს, რომლის საშუალებითაც უნდა მომხდარიყო ელექტროენერგიის მიწოდება. მოპასუხეს ამ ვალდებულებას მთავრობის №363 დადგენილება („ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვისა წესისა და მათი დაცვის ზონების შესახებ“) აკისრებდა. დასახელებული დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „ელექტროგადამცემი ხაზის გადატანა ხორციელდება დაინტერესებული პირის ხარჯით, ელექტროგადამცემი ხაზის მფლობელი პირის მიერ დადგენილი ტექნიკური პირობების შესაბამისად“. საქმეში არსებული ნერილები ადასტურებენ, რომ აღნიშნული სამუშაოები მოპასუხემ (შემკვეთმა) დაასრულა 2012 წლის 20 ნოემბერს, რის შემდეგაც მოპასუხის მოთხოვნის მიღებიდან მაქსიმალურად მოკლე დროში – 22 ნოემბერს შესაძლებელი გახდა მომხმარებლის ქსელში მიერთება, რაც განაპირობებდა კიდევ მენარდემ (მოსარჩელემ). აღნიშნული გარემოება გამორიცხავდა, რომ კასატორმა №20 დადგენილებით განსაზღვრულ ვადაში ვერ შეასრულა ვალდებულება. სწორედ ამას ითვა-

ლისწინებს სსკ-ის 401-ე მუხლიც: „ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“. მოპასუხის მიერ წარმოებული სამუშაოები დაკავშირებული იყო უსაფრთხოების ზომების მიღების აუცილებლობასთან, რამაც განაპირობა ეხგ-ის „ბეშუმის“ გამორთვა და შეუძლებელი იყო კურორტის ქსელში მიერთება. ამ გარემოებათა მიუხედავად, სასამართლომ მტკიცების ტვირთის განმსაზღვრელი ზოგადი პოსტულატი მხოლოდ მოსარჩელის წინააღმდეგ გამოიყენა და არავითარი ვალდებულება არ დააკისრა მოპასუხეს.

14.3. კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მიერ სსკ-ის 629-ე და 630-ე მუხლების გამოყენების მართებულობასაც, ვინაიდან მიაჩნია, რომ მხარეთა შორის სადავო არაა არც სამუშაოს შესრულება და არც შეთანხმებული ვადა. რაც შეეხება სასამართლოს მიერ 361.2 მუხლის გამოყენებას, აღნიშნული მუხლი, კასატორის მოსაზრებით, მის სასარგებლოდ უნდა განმარტოს სასამართლომ.

15. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

15.1. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 2 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო განაცხადი დასაშვებად იქნა ცნობილი არსებითად განხილვის მიზნით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უცვლელად უნდა დარჩეს შემდეგი არგუმენტაციით:

16. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნო-

ბილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს მიზანია, რომ კასატორის პრეტენზიები დაუსაბუთებელია.

17. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ, №7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

18. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ საფუძვლებზე, რომლებითაც ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გააუქმა; სააპელაციო სასამართლოს დასკვნით, აღნიშნულ საქმეზე დარღვეული იყო როგორც სსსკ-ის 102-ე მუხლით დადგენილი მტკიცების ტვირთის განაწილების წესი, ასევე სსკ-ის 401-ე და 361.2 მუხლებიც (იხ. წინამდებარე განჩინების მე-13 პუნქტი).

19. კასატორის შედავება უფუძნება სააპელაციო სასამართლოს მიერ როგორც მატერიალური (სსკ-ის 401-ე მუხლი), ასევე საპროცესო ნორმების (სსსკ-ის 102-ე მუხლი) არამართებულ გამოყენებასა და განმარტებას.

20. წინამდებარე განჩინების 14.2.1. ქვეპუნქტში ასახულ საკასაციო პრეტენზიასთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო განმარტავს: უსაფუძვლოა კასატორის შედავება მის მიერ მითითებული სსკ-ის 401-ე მუხლის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით, რადგან დასახელებული ნორმა, თავისი შინაარსით, მოვალის სასარგებლოდ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების უფლებას წარმოშობს, თუმცა, ამ უფლების წარმოშობისთვის დადგენილი უნდა იყოს შემდეგი გარემოება: „ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული“. მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებათა დადასტურება და კვლევა, სსსკ-ის 102-ე მუხლის თანახმად, მოვალის მტკიცების საგანში შედის: „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს“. მაშასადამე, მოვალემ უნდა დაამტკიცოს, რომ მის მიერ ვალდებულების ვადაში შესრულებას წინ არაფერი აღუდგებოდა, რომ არა კრედიტორის მხრიდან არსებული ხელისშემშლელი გარემოებანი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესრულებაზე ვალდებულება პირმა უნდა ამტკიცოს, რომ შესრუ-

ლება დათქმულ ვადაში განხორციელებადი (შესაძლებელი) იყო, მაგრამ კრედიტორის ქმედებამ შესრულების დაყოვნება გამოიწვია. აღნიშნულის მტკიცება, ობიექტურად, სწორედ მოვალისთვითაა შესაძლებელი, რადგან ქმედება მას უნდა განეხორციელებინა და არა კრედიტორისათვის, რომელიც, თავის მხრივ, შესრულების მიმღებ პირს წარმოადგენდა.

21. განსახილველ შემთხვევაში უდავოდაა დადგენილი, რომ კასატორის (მენარდის) მიერ ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა 2012 წლის 24 ოქტომბერი იყო. №20 დადგენილების თანახმად, კასატორის მიერ შესასრულებელი ვალდებულება განისაზღვრა 90-დღიანი პერიოდით და ამ ვადის ათვლა დაიწყო იმ დღიდან, როცა მოპასუხემ (შემკვეთმა) მომსახურების ღირებულების ნახევარი გადაიხადა (იხ. ამ განჩინების მე-2 პუნქტი). ამდენად, ვალდებულების შესრულების ბოლო ვადა იყო 2012 წლის 24 ოქტომბერი. კასატორი მარტოოდენ სიტყვიერად განმარტავს, რომ მას შეეძლო, 7 სექტემბერსაც (დადგენილ ვადაში) უზრუნველყო მომხმარებლის (შემკვეთის) ქსელში მიერთება, მაგრამ შესრულება გადაიდო იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა 20 ნოემბრამდე ვერ დაასრულა ის სამუშაოები, რომელიც მენარდის მიერ მომზადებული პროექტის საფუძველზე შემკვეთს თვითონ უნდა განეხორციელებინა და ამის გარეშე ქსელში მიერთება ტექნიკურად შეუძლებელი იყო. აღნიშნულის დასადასტურებლად კასატორი მიუთითებს ორ გარემოებაზე: 1. 35 კვტ-იანი ეგზ „ბეშუმში“ მენარდემ გამორთო შემკვეთის (მოპასუხის) მოთხოვნით, ამავე ობიექტზე განსახორციელებელ სამუშაოთა უსაფრთხოების მიზნით, მაგრამ ობიექტზე სამუშაოები დროულად არ დასრულდა, რამაც გამოიწვია ის, რომ მომხმარებლის ქსელში მიერთება 22 ნოემბრამდე ვერ მოხერხდა; 2. წერილები, სადაც მოპასუხე მას და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ ქსელში ჩართვის მოთხოვნით მიმართავს, კასატორის მოსაზრებით, ადასტურებენ, რომ ვადის გადაცილებაში სწორედ მოპასუხეს მიუძღვის ბრალი. ამასთან, კასატორის მტკიცებით, იმხანად მოქმედი კანონმდებლობა სამუშაოების დასრულების თაობაზე რაიმე წერილობითი დოკუმენტის შექმნას კასატორს არ ავალდებულებდა და ამდენად, მას არ უზრუნია ასეთი აქტის შექმნაზე.

22. საკასაციო სასამართლო ზემოხსენებული ორივე მტკიცებულების სამართლებრივი ღირებულებისა და მათი სარწმუნოების შეფასების შედეგად, განმარტავს, რომ პირველ შემთხვევაში (35 კვტ-იან ეგზ „ბეშუმზე“ სამუშაოების წარმოება) კასატორის არგუმენტაცია მხოლოდ ზეპირსიტყვიერ ახსნა-განმარტებას ეფუძნება და საქმეში არაა წარმოდგენილი არც ერთი დოკუმენტი, რომე-

ლიც დაადასტურებდა, რომ ამ ობიექტის გამორთვის გარეშე მოპასუხის (შემკვეთის) ქსელში მიერთება შეუძლებელი იყო. მოპასუხე არ უარყოფს იმ გარემოებას, რომ აღნიშნულ ობიექტზე სამუშაოები ნამდვილად მიმდინარეობდა, თუმცა, კასატორის მიერ შესასრულებელ ვალდებულებასთან აღნიშნული სამუშაოების ტექნიკურ კავშირს უარყოფს და შესაგებელში უთითებს, რომ კურორტის ელექტროენერგიის ქსელში ექსპლუატაციაში მიღებას კავშირი არ აქვს 35 კვტ-იანი ეხგ-ს საკაბელოთი შეცვლის სამუშაოებთან (სსსკ-ის 201-ე მუხლი; იხ. მოპასუხის შესაგებელი). საკასაციო სასამართლო იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ კასატორი არ უთითებს, თუ როდის მიიღო მან მოთხოვნა მოპასუხისგან (შემკვეთისაგან) ეგზ „ბეშუმის“ გამორთვაზე, რა ფორმით მოხდა ეს – ზეპირად თუ წერილობით, როდის დაკმაყოფილდა მოთხოვნა, და ა.შ. ამდენად მხარის მართოდენ ზეპირი განმარტება, კონკრეტული გარემოებების აღწერის გარეშე, ამ გარემოებას დამაჯერებლად და სარწმუნოდ ვერ წარმოაჩენს.

23. წერილობით მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებზედაც კასატორი აფუძნებს სასარჩელო მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული მტკიცებულებებიც ვერ უზუნველყოფენ მოთხოვნის მართებულობას და იურიდიულ დასაბუთებულობას, რადგან დასახელებული წერილებით მოპასუხე (შემკვეთი) ითხოვს, რომ მენარდემ 20 და 22 ნოემბერს ქსელის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით მოავლინოს წარმომადგენლები, რადგან ამის შემდეგ ამინდის გაუარესებაა მოსალოდნელი, რაც ამ პროცედურებს გაართულებს. აღნიშნულ წერილებში საუბარია არა მოპასუხის (შემკვეთის) მიერ შესრულებულ სამუშაოთა დასრულების თარიღის შესახებ, არამედ, როგორც უკვე ითქვა, მითითებულია ზოგადი ინფორმაცია, რომ სამუშაოები დასრულებულია, ხოლო ამინდის გაუარესებასთან დაკავშირებით შემკვეთი ითხოვს, რომ მიმწოდებელმა (კასატორმა) ქსელში მიერთება 20-22 ნოემბერს უზრუნველყოს.

24. გარდა ზემოხსენებულისა, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ არსებობდა შესრულების ვადის დარღვევის წინაპირობები და იბიექტური საშიშროება, კასატორს, შესრულების ვადის გაზრდის მოთხოვნით შეეძლო მიემართა უფლებამოსილი ორგანოსთვის: №20 დადგენილების 26¹-ე მუხლის მე-7¹ პუნქტის მიხედვით, „განაწილების ლიცენზიანტი უფლებამოსილია მიმართოს კომისიას ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის – ვადის გაზრდის მოთხოვნით, თუ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის განაწილების ლიცენზიანტს ახალი მომხმარებლის მიერთების უზ-

რუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში“. საქმეში არც აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტია წარმოდგენილი, რაც, მოსარჩელის საწინააღმდეგოდ, მხოლოდ იმ პრეზუმფციის არსებობაზე უთითებს, რომ ლიცენზიანტს (ამ შემთხვევაში მენარდეს) დამატებითი დროის მოთხოვნის საჭიროება არ გააჩნდა, ხოლო აღნიშნული პრეზუმფციის გასაქარწყლებლად მოსარჩელეს რაიმე მტკიცებულება არ წარუდგენია სასამართლოსათვის.

25. ამავე კონტექსტში დაუსაბუთებელია კასატორის განმარტება, რომ ქსელზე მიერთებასთან დაკავშირებული სამუშაოების დასრულების შესახებ რაიმე დოკუმენტის შექმნას კანონმდებლობა სადავო პერიოდისთვის არ ითვალისწინებდა. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ იმისდამიუხედავად, აღნიშნული დოკუმენტების შედგენა იყო თუ არა საკანონმდებლო გზით მოწესრიგებული, ეს ვერ გახდება მხარის საპროცესო ვალდებულებისაგან – კუთვნილი მტკიცების ტვირთისგან გათავისუფლების საფუძველი; დაუშვებელია, რომ მარტოოდენ მხარის განმარტება იქნეს მიჩნეული საკმარის მტკიცებულებად, ამასთან, ისეთი სპეციფიკური ტექნოლოგიური პროცესების დასადასტურებლად, როგორიც მოცემული დავის საგანში შემავალი გარემოებაა – ელექტროგადამცემი ხაზების ქსელში მიერთებისთვის მზადყოფნა.

26. საკასაციო სასამართლო იმსჯელებს სასარჩელო მოთხოვნის გამომრიცხველ მტკიცებულებებზეც, რომლებიც მოპასუხემ სასამართლოს წარუდგინა, კერძოდ: ამ მტკიცებულებებით დგინდება, რომ 2012 წლის 20 და 28 სექტემბრისთვის 35 კვტ-იანი ეგზის მოწყობის სამუშაოები მოპასუხეს დამთავრებული ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ამ მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ შედავება მოსარჩელეს არ წარუდგენია, მათ შორის, არც სიტყვიერი უარყოფის (მსჯელობის) თვალსაზრისით. სსსკ-ის 102-ე მუხლის შესაბამისად, ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მოსარჩელეს უბრუნდება და მოპასუხის შესაგებელში მითითებული გარემოებებისა და მათი დამადასტურებელი მტკიცებულებების გაქარწყლება მოსარჩელეს ეკისრება, რაც ამ უკანასკნელმა ვერ უზრუნველყო.

27. რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სააპელაციო სასამართლოს მიერ დავის საგნის მიმართ წარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ აღნიშნული სამართალურთიერთობა თავისი ბუნებით, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების, ხელშეკრულების საგნისა და მხარეთა ურთიერთვალდებულებების გათვალისწინებით, წარმოადგენს წარდობის ხელშეკრულებას: კერძოდ, სახეზეა მომსახურების განწევა გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ, შეთანხმებულია ხელშეკრულე-

ბის არსებითი პირობები, განსაზღვრულია შესრულების ვადა, გადახდის ფორმა და ა.შ. კასატორი ნარდობის ხელშეკრულების მისადაგებას ამ სამართლებრივობისადმი გამორიცხავს იმ მოტივით, რომ მხარეთა შორის სადავო არაა არც სამუშაოს შესრულება და არც შეთანხმებული ვადა (იხ. ამ განჩინების 14.3. ქვეპუნქტი).

28. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სამართლებრივობის არსის დადგენა და მოსარჩელის მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმის მოძიება სასამართლოს პრეროგატივაა. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს არ წარმოადგენს შესრულების ვადა და შესრულების საგანი, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს კვლევის საგანი არც ყოფილა ამ გარემოებათა გამოკვლევა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კვლევისა და შეფასების საგანია ნარდობის სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე შემკვეთის ვალდებულება, მენარდისათვის გადაეხადა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს დარჩენილი (სარჩელით სადავოდ გამხდარი) ნაწილი (იხ. სუსგ-ები: №ას-32-31-2010, 12.04.2010წ; №ას-746-714-2016, 08.05.2017წ;). თუმცა, ამ მოთხოვნის დასაბუთებულობის შესამოწმებლად, მოცემულ შემთხვევაში შესაფასებელია მხარეთა შორის სადავო ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულება და შესრულების დამატრკოლებელი გარემოებები (სსკ-ის 361.2 და 401-ე მუხლები), რაც ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განხილვის საგანი იყო, მათ შორის მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების თავისებურებებიც.

29. გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მენარდის მტკიცების საგანში შემავალ გარემოებად ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შესრულების დამადასტურებელ გარემოებათა დადასტურება. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ „მტკიცების ტვირთის განაწილებისას მნიშვნელოვანია ის გარემოება, თუ ვინ უნდა დაადასტუროს კონკრეტული ფაქტი. ასევე, საგულისხმოა ის გარემოება, რომ მხარე მოკლებულია შესაძლებლობას ადასტუროს ის, რაც არ მომხდარა, მან უნდა დაადასტუროს ის, რაც მოხდა, შესაბამისად, ქმედების განმახორციელებელმა მხარემ უნდა ადასტუროს მის მიერ ქმედების განხორციელება. ამდენად, ნარდობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარე, სწორედ შემსრულებელი (მენარდე) არის ვალდებული დაადასტუროს, როგორც სამუშაოს შესრულების, ისე მისი ჯეროვანი (მათ შორის ვადაში) განხორციელების ფაქტი“ (იხ. სააპელაციო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილება).

30. ანალოგიური შინაარსის ერთ-ერთ დავაზე, რომელშიც მტკიცების ტვირთის განაწილების წესზეც არის მსჯელობა, საკასაციო სასამართლომ განმარტა: „კონკრეტულ შემთხვევაში, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ ახალი მომხმარებლის კუთვნილ ტერიტორიამდე ელექტროენერგიის მიერთებისათვის აუცილებელი სამუშაოები შესრულდა 31.12.2012წ.-მდე, რის გამოც არ არსებობდა საფასურის 50%-მდე შემცირების საფუძველი, ეკისრებოდა სს „ე-ას“, რომელმაც სადავო გარემოების დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარმოდგენა ვერ შეძლო, რის გამოც მის მიმართ მართლზომიერად დადგა არახელსაყრელი მატერიალურ-სამართლებრივი შედეგი“ (იხ. საქმე №ას-605-573-2015; 22.07.2015წ.).

31. მენარდის საკასაციო საჩივრის არსებითად განხილვის შედეგად, სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ კასატორმა სამართლებრივად წონადი მტკიცებულებებით ვერ დაძლია გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები და ვერც ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების თვალსაზრისით დაამტკიცა, რომ სახეზე იყო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო მენარდის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების ობიექტური წინაპირობები. კასატორმა, სსკ-ის 361.2 მუხლის იმპერატიული შინაარსის საწინააღმდეგოდ, სარწმუნო მტკიცებულებების არარსებობის გამო, ვერ უზრუნველყო სსკ-ის 401-ე მუხლის დისპოზიციით დადგენილი გარემოების დამტკიცება, რომელიც ფარდობითია და მოვლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებას ობიექტურ პირობას უკავშირებს („ვადა გადაცილებულად არ ჩაითვლება, თუკი ვალდებულება არ შესრულდა ისეთ გარემოებათა გამო, რაც მოვლის ბრალით არ არის გამოწვეული“).

32. ზემოხსენებული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ არ არსებობს საკასაციო განაცხადის დაკმაყოფილების საფუძვლები, შესაბამისად, უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ე-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-

მოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 20 ივლისის გადაწყვეტილება;

3. კასატორის მიერ გადახდილი ბაჟი დარჩეს სახელმწიფო ბიუჯეტში;

4. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სელექტულობაზე უარი ნაკეთობის ნაკლის გამო

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1499-2020

29 აპრილი, 2022 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ნ. ბაქაძური**

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით შპს „თ-ის ჯ-ის“ (შემდეგში: მოსარჩელე, შემსყიდველი ან აპელანტი) სარჩელი შპს „ნ-ის“ (შემდეგში: მოპასუხე, კასატორი ან მიმწოდებელი) წინააღმდეგ, ზიანის – 994 022 ლარის ანაზღაურების თაობაზე, არ დაკმაყოფილდა.

2. საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. შემსყიდველმა კომპანიამ 2013 წელს გამარტივებული ელექტრონული ტენდერი გამოაცხადა, ქ. თბილისში საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის პროცესზე კონტროლის განხორციელების მიზნით, ავტომატების ...- მონიტორინგის სისტემის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების მიხედვით, პროგრამულ-აპარატურული კომპლექსი მოიცავდა ავტომატებში ჩასაყენებელ, არაუმეტეს 265 ცალ GPS/GPRS მონყობილობას; ავტომატებში ჩასაყენებელ RFID TAG-ების წამკითხველ მონყობილობას, რომელიც შეერთებულია GPS/GPRS მონყობილობაზე – არა უმეტეს 195 ცალი; ავტომატებში ჩასაყენებელ

ძრავის მიერ სანვავის (დიზელის) მოხმარების მზომ მონყობილობას, რომელიც შეერთებულია GPS/GPRS მონყობილობაზე – არა უმეტეს 180 ცალი; ნაგვის (რკინის) კონტეინერებზე დასამაგრებელ RFID TAG-ებს, არა უმეტეს 20 000 ცალი; ვებ-ინტერფეისის მქონე პროგრამული უზრუნველყოფა – ერთი ცალი; სერვერი, რომელზედაც განთავსდება პროგრამული უზრუნველყოფა შესაბამის აქსესუარებთან (GPRS მიმღები, უწყვეტი კვების წყარო და ა.შ.) – ერთი კომპლექტი. RFID TAG-ების წამკითხავი და სანვავის (დიზელის) მოხმარების მონყობილობები შეერთებული უნდა იყოს GPS/GPRS მონყობილობაზე, რომელიც სერვერს გადასცემს შესაბამის ინფორმაციას. RFID TAG-ების წამკითხველი უნდა იყოს დაყენებული 195 ავტომობილზე, აქედან 180 ავტომობილზე უნდა ეყენოს აგრეთვე სანვავის (დიზელის) მოხმარების მზომი მონყობილობა, დანარჩენ 70 ავტომობილზე (მსუბუქი) გადაადგილების კონტროლისათვის ყენდებოდა მხოლოდ GPS/GPRS მონყობილობა. ნაგვის კონტეინერზე დასამაგრებელი RFID TAG-ების ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის მოიცავდა ნაგვის კონტეინერზე ჭანჭიკისა და ქანჩის მეშვეობით მისი დამაგრების შესაძლებლობას, ხოლო მუშაობის ტემპერატურას -40+80 გრადუსამდე. სანვავის (დიზელის) ხარჯვის მზომის ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის მოიცავდა, მინიმალურ წვას თითო კამერაში არანაკლებ 10 ლიტრი, მაქსიმალური წვა თითო კამერაში – არა უმეტეს 250 ლიტრი. სანვავის მზომი უნდა ყოფილიყო ორკამერიანი და გაეკონტროლებინა ძრავში შემავალი და გამავალი დიზელის სანვავი. სერვერის ტექნიკური მახასიათებლები მოიცავდა მინიმუმ 2 პროცესორს, ერთ პროცესორში სულ მცირე 8 ბირთვით, 20 მბ კეშით, 2.3. გჰ სიხშირით, 4 გბ ოპერატიული მეხსიერებით, მყარი დისკი SAS, სულ მცირე 300 გბ, მყარი დისკების რაოდენობა მინიმუმ 5, კვების ბლოკის რაოდენობა მინიმუმ 2, რეიდ კონტროლიორი 0,1,5,10,50. პრეტენდენტს უნდა უზრუნველყოფოდა სერვერის გამართვა, ყველა მონყობილობის მონტაჟი ავტო მანქანებზე და კონტეინერებზე და ამ მონყობილობების დაკავშირება სერვერზე დაყენებულ GPS/GPRS მონიტორინგის პროგრამულ უზრუნველყოფასთან. მონყობილობებზე და სერვერზე გარანტიის ვადა უნდა ყოფილიყო არანაკლებ ერთი წელი, რომლის განმავლობაშიც დაზიანების შემთხვევაში, მიმწოდებელს ადგილზე მისვლით უნდა უზრუნველყოფოდა მისი შეკეთება ან გამოცვლა;

2.2. მოპასუხის, როგორც სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესყიდვების განაცხადსა და შეთავაზებული საქონლისა და გასანევი მონტაჟის თანმდევი მომსახურების ტექნიკურ აღწერილობაში მითი-

თებული პირობები, მათ შორის RFID TAG-ის შესაძლებლობა, რომ მისი დამაგრება კონტეინერის ზედაპირზე მომხდარიყო, როგორც ჭანჭიკისა და ქანჩის, ისე მოქლონის მეშვეობით, ასევე, სანავის (დიზელის) ხარჯვის მზომის ტექნიკური მახასიათებლები, მათ შორის ის, რომ ეს მოწყობილობა გათვლილი იყო 25 ლიტრ სანავის მინიმალურ და 250 ლიტრ მაქსიმალურ წვავზე თითო კამერაში, ასევე პროგრამული უზრუნველყოფის ტექნიკურ-ფუნქციური შესაძლებლობები, მისაღებად იქნა ცნობილი შემსყიდველის მიერ და მხარეთა შორის, 2013 წლის 19 ნოემბერს, დაიდო ხელშეკრულება №... სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომლითაც მოპასუხემ აიღო ვალდებულება, მოსარჩელის ავტომატქანებზე დაემონტაჟებინა შეთავაზებული მახასიათებლების GPS/GPRS მონიტორინგის სისტემის მოწყობილობა, ნაგავ შემკრებ კონტეინერებზე RFID TAG წამკითხველი მოწყობილობა, სანავის დიზელის მოხმარების მზომი მოწყობილობა, რომელიც შეერთებულია GPS/GPRS მოწყობილობაზე. მასვე უნდა შეესრულებინა მონტაჟის თანამდევი მომსახურება და ვებ ინტერფეისის მქონე პროგრამული უზრუნველყოფა. აღნიშნული სისტემით კომპლექსურად უნდა მომხდარიყო მონიტორინგი მანქანების მოძრაობის, სანავის მოხმარებისა და მათ მიერ აღებული კონტეინერების რაოდენობისა და დროის მონაკვეთების მითითებით. შესასყიდი ობიექტისა და თანმდევ მონტაჟის მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 1 084 000 ლარით. შესასყიდი ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელებულიყო 2014 წლის 17 თებერვლის ჩათვლით. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საგარანტიო მომსახურებას ერთი წლის ვადით, მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ საგარანტიო მომსახურების ვადების, ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობისა და პირობების შესახებ ინფორმაციის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც გარანტიის მოქმედების ვადა იწყებოდა საქონლის მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოპასუხეს ეკისრებოდა ვალდებულება, საგარანტიო ვადის განმავლობაში, შემსყიდველის მხრიდან წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყო გაუმართავი მუშაობის გამომწვევი მიზეზის აღმოფხვრა (დაზიანებული საქონლის შეკეთება ან ანალოგიური ტექნიკური მახასიათებლების მქონე ახალი საქონლით შეცვლა) მოსარჩელის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გარეშე. ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 19 მარტის ჩათვლით განისაზღვრა. მოპასუხის მიერ წარდგენილი იქნა ხელშეკრულების შესრულების საბანკო გარანტია 55 000 ლარზე, საბოლოო მოქმედების ვადით 25/03/2014 წ. ხელშეკრულებაში 17/02/2014წ. და 12/03/2014 წ. შეტანილი ცვლილე-

ბებით, მიწოდების ვადა განისაზღვრა 2014 წლის 23 თებერვლის, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 2014 წლის 25 მარტის ჩათვლით. შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ღირებულება განისაზღვრა 994 022 ლარით;

2.3. მხარეთა შორის 22/02/2014 წ., შედგა ხუთი მიღება-ჩაბარების აქტი RFID TAG-ისა და ნაგვის რკინის ურნებზე მათი დამონტაჟების, იდენტიფიცირებისა და ლოკალიზაციის ადგილის განსაზღვრის მომსახურების მიღების შესახებ;

2.4. მხარეთა შორის, 22/02/2014 წ. შედგა ორი მიღება-ჩაბარების აქტი ავტომატურად ჩასაყენებელი GPS/GPRS მოწყობილობის, RFID TAG-ის წამკითხველი მოწყობილობის, სანვავის მზომი მოწყობილობის, ვებ-ინტერფეისის მქონე პროგრამული უზრუნველყოფის, სერვერისა (შესაბამისი აქსესუარებთან ერთად) და ავტომატურად GPS/GPRS მოწყობილობის, სანვავის მზომი და RFID TAG-ის წამკითხველი მოწყობილობების, მონტაჟის მიწოდების შესახებ;

2.5. მოსარჩელემ მოპასუხეს, ხელშეკრულების ფარგლებში, 994 022 ლარი გადაუხადა;

2.6. მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო მომსახურების ვადა მოქმედებდა მიღება-ჩაბარების აქტების შედგენიდან (2014 წლის 22 თებერვლიდან) ერთი წლის განმავლობაში – 2015 წლის 22 თებერვლამდე;

2.7. მოპასუხე კომპანიის ქვეკონტრაქტორი, ხელშეკრულების ფარგლებში, იყო შპს „კ-ი“, რომელიც სამონტაჟო სამუშაოებს ასრულებდა;

2.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში მოსარჩელეს მოპასუხისათვის ნაკლის გამოსწორების თაობაზე არ მიუმართავს;

2.9. მოპასუხეს 2013 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულება არ დაურღვევია და სახეზე არ არის მისთვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების ყველა სუბიექტური და ობიექტური შემადგენლობის ელემენტი, რაც გულისხმობს: 1. მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებას; 2. ზიანს; 3. მიზეზობრივ კავშირს მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის; 4. მოვალის ბრალის არსებობას;

2.10. მოსარჩელის მიერ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ ინფორმაციაში საგარანტიო მომსახურების ვადების, ტექნიკური მომსახურების შესაძლებლობისა და პირობების შესახებ, აღნიშნულია, რომ საგარანტიო მომსახურება ვრცელდება მიწოდებულ ყველა საქონელზე ერთი წლის ვადით. გარანტიის მოქმედების ვადის ათვლა იწყება საქონლის მი-

ლება-ჩაბარების აქტზე მხარეთა ხელმოწერის დღიდან. მიმწოდებელი იღებდა ვალდებულებას, თითოეულ საქონელზე საგარანტიო ვადის განმავლობაში, შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში მოეხდინა ამ საქონელზე გაუმართავი მუშაობის მიზეზების აღმოფხვრა (დაზიანებული საქონლის შეკეთება ან ანალოგიური ტექნიკური მახასიათებლების მქონე ახალი საქონლით შეცვლა) შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის განევის გარეშე. გარანტიის მოქმედების პერიოდში მითითებული ვალდებულების გამყიდველის მიერ შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება ჰქონდა, თვითონ მიეღო ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და შემსრულებლისათვის შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება მოეთხოვა, ან ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხებიდან გამოეკეცათ;

2.11. მოსარჩელეს საგარანტიო ვადის განმავლობაში, შემსყიდველისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებები სასამართლოში არ წარმოუდგენია. რაც შეეხება ელექტრონულ ფოსტაზე განხორციელებულ მიმონერას მოსარჩელის თანამშრომელს, ზ. რ-სა და მოპასუხის ქვეკონტრაქტორის, შპს „ე-ის“ წარმომადგენელს, ვლ. ა-ს შორის, საგარანტიო ვადაში მოსარჩელის მიერ პრეტენზიის წარდგენის დამადასტურებელ დასაშვებ და განკუთვნილ მტკიცებულებებზე არ იქნა მიჩნეული;

2.12. მოსარჩელეს მოპასუხისათვის არც დამატებითი ვადა დაუწესებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 405-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხოლო საქმეში მოთავსებული მხოლოდ ორი ოფიციალური წერილი მოპასუხის მიმართ, წარმოადგენს მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების და არა საგარანტიო პირობების შესრულების შესახებ;

2.13. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის ცენტრ შპს „ე-ის“ ექსპერტის, აუდიტორ-შემფასებლის, ბ. დ-ის დასკვნით, „1. შემსყიდველის კუთვნილ ავტომანქანებზე, სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულება №... ფარგლებში, მიმწოდებლის მიერ დამონტაჟებული საწვავის ხარჯვის მზომი მოწყობილობა ... არ შეესაბამება ავტოპარკში არსებული მანქანების ძრავის სტანდარტებს. საწვავის ხარჯვის მზომი მოწყობილობა არ მუშაობს გამართულად; 2. ავტომანქანის საწვავის სისტემის გაუმართაობა ზეგავლენას ვერ ახდენს საწვავის ხარჯვის მზომი მოწყობილობის გამართულ მუშაობაზე, მოწოდებული ინფორმაცია საწვავის ხარჯვის შესახებ კი უნდა შეესაბამებოდეს ლოგიკას (საწვავის სისტემის გაუმარ-

თაობის დროსაც კი); 3. კონტეინერების RFIDTAG-ის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არ შეესაბამება რეალობას და შეიცავს აბსურდულ მონაცემებს“;

2.14. მოპასუხის მიერ წარდგენილი სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ №...-დასკვნით, „1. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში საწვავის მზომი ხელსაწყო ...-ის შერჩევა ნაწარმოებია ოპტიმალური ვარიანტით, სატენდერო დოკუმენტაციის სრული დაცვით. ექსპერიმენტულმა გამოცდებმა ცხადყო, რომ საწვავის მზომი ხელსაწყო სრულ შესაბამისობაშია მიმწოდებლის ავტოპარკში არსებულ ავტომატქანებთან (დამოუკიდებლად ძრავების სიმძლავრისა და მოცულობებისა); 2. ავტომობილების, კერძოდ, საწვავის ტუმბოს გაუმართავი მუშაობა გავლენას ახდენს საწვავის მზომი ხელსაწყოთა ნორმალურ მუშაობაზე, რაც აშკარად გამოჩნდა საწვავის მზომი ხელსაწყოთა ექსპერიმენტალურად გამოცდის დროს; 3. შემსყიდველის ავტოპარკში დანერგილი პროგრამულ-აპარატურული კომპლექსის გამოყენებით ინფორმაციის მიღება, რომელიც წარმოადგენს რთულ სისტემას, რა დროსაც ნორმალურ პირობებშიც არ არის გამორიცხული უნესიგრობის წარმოშობა, რომელიც მხარეებს შორის დროული კომუნიკაციით უნდა იქნეს აღმოფხვრილი. კერძოდ, მხარეებს შორის არსებული ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.2.4 პუნქტის შესაბამისად, შემსყიდველი უნდა აწოდებდეს ინფორმაციას კონკრეტულ უნესიგრობაზე, ხოლო მიმწოდებელი ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.3.5 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, დროულად უნდა ასწორებდეს და აღმოფხვრავდეს ამ უნესიგრობას. მოსარჩელე კომპანიიდან ინფორმაციის მიღების გარეშე, მოპასუხე კომპანიას დამოუკიდებლად კონკრეტული უნესიგრობის აღმოჩენა, ტექნიკური თვალსაზრისით არ შეუძლია შესაბამის ინფორმაციაზე წვდომის უქონლობის და ობიექტის სიმრავლის გამო, ხოლო შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მიწოდებული ინფორმაცია სისტემის ხარვეზზე, საქმის მასალებში არ მოიპოვება. ამდენად, ცხადია, რომ მხარეებს შორის კომუნიკაციის უქონლობა ვერ უზრუნველყოფდა მოცემული პროგრამული აპარატურული კომპლექსის ჯეროვან მუშაობას. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თუ მხარეები მოცემული ხელშეკრულების პირობების მოთხოვნათა, კერძოდ, მე-9 მუხლის 9.2.4 და 9.3.5 პუნქტის მოთხოვნათა დაცვით იმოქმედებდნენ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროგრამულ აპარატურული კომპლექსი ტექნიკურად გამართულად იმუშავებდა. ნორმალური ექსპლუატაციისა და მხარეებს შორის გამართული კომუნიკაციის პირობებში საწვავის მზომი ხელსაწყო DFM250D და მთლიანი სისტემა იმუშავებს ნორმალურად, შეუფერ-

ხებლად“.

3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; შემსყიდველის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 994 022 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

4. სააპელაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო სამართალში მოქმედ მტკიცების სტანდარტზე მიუთითა, სსკ-ის 316-ე, 317-ე, 477-ე, 487-ე, 488-ე, 629-ე, 641-ე, 653-ე მუხლები მოიხმო და განმარტა, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით არა მხოლოდ სისტემის მოწყობილობის, არამედ მისი დამონტაჟებისა და პროგრამაში ინტეგრირების უზრუნველყოფის შესყიდვა მოხდა. მოპასუხის განმარტებით, ხელშეკრულების შესაბამისად, საგარანტიო პირობები ვრცელდებოდა მხოლოდ საქონელზე, საგარანტიო პირობები არ ვრცელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ საქონლის დაზიანების მიზეზი გამომდინარეობდა საქონლის ექსპლუატაციის ნესების დარღვევიდან, მაღალი ძაბვიდან ან მექანიკური დაზიანებიდან; საგარანტიო ვალდებულების დაწყების საფუძველს კი წარმოადგენს შემსყიდველის წერილობითი შეტყობინება.

4.1. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით საქმეში არსებული 2014 წლის 11 თებერვლის №... წერილით დგინდება, რომ მიმწოდებელმა წერილობით მიმართა დამკვეთს და მიანოდა ინფორმაცია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე, ასევე აცნობა, რომ ა/მანქანაზე შესაბამისი მოწყობილობების დარჩენილი რაოდენობის დაყენებას ვერ ასწრებდნენ 2014 წლის 17 თებერვლამდე, რის გამოც მოითხოვა ხელშეკრულების 1 მარტამდე გაგრძელება;

4.2. ამდენად, მითითებული წერილით დასტურდება, რომ 2014 წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, ანუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადამდე 6 დღით ადრე, მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას სრულად ვერ ასრულებდა. 2014 წლის 12 მარტის შეთანხმებით კი, 2013 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხელშეკრულების ღირებულება 1 084 000 ლარი 994 022 ლარამდე შემცირდა. სასამართლო სხდომაზე მხარეებმა დააზუსტეს, რომ სწორედ ამ ღირებულების მომსახურება ჰქონდა გაწეული მხარეს, რის გამოც შემცირდა კიდევ თავდაპირველი ღირებულება;

4.3. 2014 წლის 22 თებერვლის მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველს ჯამურად სულ 994 022

ლარის ღირებულების საქონელი მიაწოდა და თანმდევი მომსახურება გაუწია;

4.4. ამდენად, დასტურდება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დროისთვის მოპასუხე კომპანიამ შეთანხმებული მომსახურების მხოლოდ ნაწილი განახორციელა, თუმცა ვინაიდან მხარეთა შორის 2014 წლის 12 მარტს განხორციელდა შეთანხმება ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე და ცვლილებები სწორედ ხელშეკრულების ღირებულებას შეეხო, ეს უკანასკნელი შემცირდა მიღება-ჩაბარების აქტებში ჯამურად არსებულ თანხამდე ანუ 994 022 ლარამდე;

4.5. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა, რომ ხელშეკრულება სწორედ 994 022 ლარის ნაწილში შესრულდა, რის საფუძველზეც თავდაპირველი ხელშეკრულება დაკორექტირდა და საბოლოოდ ან უკვე დაკორექტირებული ხელშეკრულება სრულად იქნა შესრულებული მიმწოდებლის მიერ;

4.6. განსახილველ შემთხვევაში სადავო გარემოებას წარმოადგენს წერილობითი შეტყობინების არსებობა-არ არსებობა, რასაც მოპასუხე მხარე უთითებს და იქვე განმარტავს, რომ საქმეში არ იყო წარდგენილი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ შემსყიდველმა მიმწოდებელს წერილობით შეატყობინა ხარვეზის თაობაზე. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 2014 წლის 15 ოქტომბრისა და 27 ოქტომბრის წერილებზე, რომლებითაც დგინდება, რომ მიმწოდებლის ქვეკონტრაქტორი შემსყიდველს ატყობინებს ხარვეზების თაობაზე, ასევე საქმის კურსში აყენებს დეტალურად, თუ როგორ არის შესაძლებელი ხარვეზების აღმოფხვრა, ხოლო ბოლო წერილში კი ხარვეზების მიზეზებს უთითებს;

4.7. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წინასწარი წერილობითი შეტყობინება ემსახურებოდა მხოლოდ ერთადერთ მიზანს, რომ მიმწოდებელს შეეტყო ხარვეზის თაობაზე და სწორედ ამ ვადიდან მომხდარიყო არსებული ხარვეზის აღმოფხვრა. მითითებული წერილებით დგინდება, რომ ქვეკონტრაქტორისთვის დეტალურად იყო ცნობილი როგორც ხელშეკრულების პირობები, ასევე, თუ როგორ და რა რაოდენობის ა/მანქანაზე განხორციელდა სისტემის დამონტაჟება. ქვეკონტრაქტორმა იმდენად დეტალურად იცოდა არსებული პრობლემების თაობაზე, რომ თვითონვე სთავაზობდა რამდენიმე ვარიანტს, რაც შეიძლებოდა ხარვეზის გამომწვევი მიზეზი ყოფილიყო. კერძოდ:

4.7.1. პირველი წერილის შინაარსიდან დგინდება, რომ მოსარ-

ჩელეს უკვე ჰქონდა პრეტენზია გაცხადებული ხარვეზთან დაკავშირებით, რასაც წერილის შინაარსი ადასტურებდა, უფრო კონკრეტულად კი წერილი იწყებოდა შემდეგი სიტყვებით „მოგახსენებ არსებულ შედეგებს იმ 3 მანქანაზე, რომელსაც ჩვენ საკონტროლო არწყევებს ვუკეთებდით“, ამავე წერილის ბოლოს კი მითითებულია „პარასკევს 17-ში ჩვენ მოვანყოთ ერთი შეხვედრა, რომ დაგვეგმოს ჩვენი გეგმები მწარმოებლის ჩამოსვლისთვის რომ ვიყოთ მზად“;

4.7.2. ამავე წერილით დგინდება, რომ ხარვეზზე მუშაობა არ იყო არც ერთჯერადი და არც ერთდღიანი მუშაობა, რასაც ადასტურებს წერილის შემდეგი წინადადება: „ალბათ თქვენთვისაც ცნობილია, რომ იყო დღეები, როცა ყველაფერი ემთხვეოდა, და იყო დღეები, როცა 5 და 10 ლიტრიანი სხვაობები იყო რეალური ხარჯვის და ჩვენი მოწყობილობის დათვლის შორის“;

4.7.3. რაც შეეხება 2014 წლის 27 ოქტომბრის წერილს, იგი იწყება შემდეგი სიტყვებით: „მინდა მოგახსენო ტ-ის წარმომადგენლის ჩამოსვლის შემდეგ რა რეზულტატი მივიღეთ.“ 2014 წლის 15 ოქტომბრის წერილი იწყება სიტყვებით „მოგახსენებთ არსებულ შედეგებს“, რაც შინაარსობრივად იგივეა, რაც 27 ოქტომბრის წერილის დასაწყისი, აღნიშნულით კი დგინდება, რომ მხარეთა შორის, წერილების გარდა, ზეპირი კომუნიკაციაც არსებობდა. წერილების შინაარსითაც კი დასტურდება, რომ მიმოწერის ორივე მხარე სრულად იყო გაცნობილი მიმდინარე პრობლემებს და სახავდა გზებს მის აღმოსაფხვრელად. წერილი მთავრდება სიტყვებით „ისევ და ისევ მინდა მოგიხადოთ დიდი მადლობა მოთმინებისთვის“, რაც ადასტურებს, რომ მხარეთა შორის გარკვეული დროის მანძილზე მიმდინარეობდა ურთიერთობა და იგი არ იყო ერთჯერადი ხასიათის;

4.7.4. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ შეტყობინების მიზანი იყო მხარის ინფორმირებულობა ხარვეზის თაობაზე, მითითებული წერილებით კი დგინდებოდა, რომ მხარისთვის უკვე ცნობილი იყო ეს ყველაფერი. მართალია, მიმწოდებელსა და მის ქვეკონტრაქტორ შპს „კ.-დ-ს“ შორის ცალკე შეთანხმება არსებობდა, მაგრამ ეს უკანასკნელი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც კი იყო მისი დამკვეთისათვის არსებული პრობლემების თაობაზე შეეტყობინებინა. ასევე ნაკლებ სავარაუდოა, რომ ქვეკონტრაქტორი ძირითად დამკვეთს უშუალოდ თავისი დამკვეთის გარეშე უთანხმდებოდეს და არსებულ ხარვეზებს აღმოფხვრიდეს, მით უმეტეს იმ დროს, როდესაც საგარანტიო ვადა მოქმედებს და ყოველ ასეთი ხარვეზის აღმოფხვრის ფინანსურ თუ სხვა ნაწილს სწორედ მიმწოდებელი უზრუნველყოფდა;

4.8. იმ შემთხვევაში კი, თუ შპს „კ-მა“ მიმწოდებლის ზურგს უკან აწარმოა მოლაპარაკებები შემსყიდველთან, მიმწოდებელს უნდა წარედგინა მტკიცებულებები მიყენებული ზიანის თაობაზე ან იმის თაობაზე, რომ მიმართა სასამართლოს ასეთი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, რაც საქმეში წარდგენილი არ ყოფილა;

4.9. ამდენად, მოპასუხემ თავისი მოქმედებით დაადასტურა შპს „კ-სა“ და მოსარჩელეს შორის არსებული მიმონერის ნამდვილობა, რადგან 2014 წლიდან იგი კანონით დადგენილი წესით სადავო არ გაუხდია;

4.10. მითითება იმ გარემოებაზე, რომ უშუალოდ მიმწოდებელი არ ყოფილა წერილობით გაფრთხილებული ან/და მისთვის უცნობი იყო ხარვეზებისა თუ მიმონერის თაობაზე, საფუძველს მოკლებულია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე კომპანიის დირექტორის 2015 წლის 27 იანვრის №... წერილში მითითებულია შემდეგი: „რაც შეეხება საწვავის მოხმარების მზომ მოწყობილობებს, სისტემა თავიდანვე სწორად იყო დამონტაჟებული და გამართული, რაც დაადასტურა მწარმოებელი კომპანიიდან ჩამოსულმა ინჟინერმა“. ამ სიტყვებით დგინდება, რომ ხარვეზის თაობაზე მიმწოდებელმა ჯერ კიდევ 2014 წლის ოქტომბერში იცოდა ანუ იმ დროს, როდესაც შპს „კ-ის“ მიერ ელექტრონული წერილები იგზავნებოდა და ასევე ცნობილია იმავე პერიოდში მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლების როგორც ვიზიტის, ასევე შედეგის თაობაზე. ეს თარიღი კი სწორედ საგარანტიო ვადას მიეკუთვნება. არსებული პრობლემის თაობაზე, რომ დაწვრილებით არის ცნობილი მოპასუხე კომპანიის დირექტორისთვის, ეს წერილიც საკმარისია, სადაც თვითონვე უთითებს შემდეგს: „პრობლემა გამოვლინდა იმაში, რომ თქვენს ავტოპარკში შემავალ რამდენიმე ათეულ ავტომანქანაზე (ძირითადად ახალი ... და ... მარკის ა/მანქანები) უნდა დაყენებული უფრო დაბალი გამტარობის მართვის ე.წ. „პლატის“ შეცვლა, რადგან არსებული მოწყობილობა ზუსტად აჩვენებს ამ მანქანების ხარჯს მოძრაობაში, მაგრამ დაქოქილ მდგომარეობაში დგომის ან/და კონტეინერის ანეე-დანევის რეჟიმში ამ მარკის ა/მანქანების საწვავის ხარჯი გაცილებით დაბალია, ვიდრე მასზე დაყენებული საწვავის მზომი მოწყობილობის მინიმალური გამტარუნარიანობის ნორმატიული მაჩვენებელი, რაც საბოლოო ჯამში იძლევა ცდომილებას“;

4.11. ის გარემოება, რომ 2014 წლის განმავლობაში ანუ საგარანტიო ვადის პერიოდში, მათ შორის ოქტომბერ-ნოემბერში, მიმწოდებლისათვის უკვე ცნობილი იყო არსებული ხარვეზების თაობაზე, დასტურდება 2015 წლის 15 იანვრის მოხსენებითი ბარათით, ასევე თანდართული დანართებით. მითითებულ მტკიცებულებებ-

ში შემსყიდველის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი ადასტურებდა, რომ „აღნიშნული ტექნიკის გაუმართავი მუშაობის გამო რამდენჯერმე შევხვდი მიმწოდებლის წარმომადგენლებს“, ასევე ადასტურებდა 2014 წლის 15 ოქტომბრისა და 27 ოქტომბრის მიმოწერას. ამავე ბარათით ასევე დგინდებოდა, რომ ჩატარებული იქნა ინსპექტირება, რა დროსაც გამოვლინდა ნაკლოვანებები;

4.12. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ზემოაღნიშნული მტკიცებულებებით დგინდება, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის მიწოდებული მოდელები არ შეესაბამებოდა ამ უკანასკნელის ავტოპარკში არსებული ყველა მანქანის მონაცემებს. ამავე წერილით დგინდება, რომ მათ მიერ 5 სხვადასხვა მარკის ავტომანქანა იქნა შემოწმებული, ეს კი ადასტურებდა, რომ მინიმუმ 5 სხვადასხვა მარკის მანქანა იყო მოსარჩელე კომპანიის სარგებლობაში. შესაბამისად, მოპასუხისათვის წინასწარ განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო, რომ შესაძლებელი იყო მათ სხვადასხვა მოცულობის ძრავი ჰქონოდა, რაც გავლენას ახდენდა საწვავის წვაზე და შესაბამისად, იმ მოდელზე, რომელთა სწორი ფუნქციონირება დამოკიდებული იყო წვაზე;

4.13. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით აკრძალული არ იყო ელექტრონული მიმოწერა, ამასთან, თანამედროვეობის ნაწილია ელექტრონული მიმოწერა, რაც სახელშეკრულებო ურთიერთობებში ხშირი შემთხვევაა, ამ ფორმით გაგზავნილი წერილი ისეთივე ძალის მქონეა, როგორც ჩვეულებრივი წესით გაგზავნილი წერილი;

4.14. მართალია, საქმეში არსებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ აპელანტი კომპანიის (შემსყიდველის) მიერ მხოლოდ 2 ოფიციალური წერილი იქნა გაგზავნილი მიმწოდებლისათვის – 2015 წლის 8 იანვარსა და 16 იანვარს, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს, რომ მანამდე ამ უკანასკნელისთვის უცნობი იყო არსებული ხარვეზების თაობაზე, რადგან საქმეში არსებული მტკიცებულებები საპირისპიროს ადასტურებენ;

4.15. მოპასუხე უთითებდა, რომ კონკრეტული მოწყობილობა, რომელიც დამაგრდებოდა კონტეინერზე, დაცული უნდა ყოფილიყო დარტყმისგან და დამაგრებული უნდა ყოფილიყო ჭანჭიკითა და ქანჩით. როგორც თავად მიმწოდებლის წარმომადგენელმაც დაადასტურა, ჭანჭიკისა და ქანჩის ნაცვლად მოქლონით მოხდა ხელსაწყოთა დაყენება;

4.16. იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მოქლონით და არა ჭანჭიკითა და ქანჩით დამაგრებული ხელსაწყო დაცული იყო დარტყმისგან და შეასრულებდა თავის ფუნქციას, რითაც შესრულებოდა ხელშეკრულების პირობები, გადატანილი იყო მიმწოდე-

ბელზე, ვინაიდან ამ უკანასკნელმა ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებისგან განსხვავებული პირობებით მოახდინა ხელსაწყო დამაგრება, შესაბამისად, მასვე უნდა ედასტურებინა, რომ იგი გამართულად მუშაობდა. აღნიშნული მტკიცების ტვირთი ვერ გადავა შემსყიდველზე, რადგან მისი მოთხოვნა, ჯერ კიდევ საჯარო წესით ტენდერის გამოცხადების დროს, სხვა პირობებთან ერთად, ის იყო, რომ დასამონტაჟებელი ხელსაწყო სწორედ ჭანჭიკისა და ქანჩის საშუალებით უნდა მიმაგრებოდა კონტეინერს. ამ უკანასკნელმა თავის მტკიცების ტვირთის შესაბამისად მიუთითა, რომ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები და ხელსაწყო მოქლონით მიამაგრა კონტეინერს. ის გარემოება, რომ ხელსაწყო სწორედ მოქლონით არის მიმაგრებული მხარეთა შორის სადავო არ გამხდარა;

4.17. მოპასუხემ მიუთითა, რომ მოქლონით მიმაგრება მან შემსყიდველის სატენდერო დოკუმენტაციაში მიუთითა, რის შემდეგაც სწორედ იგი გახდა გამარჯვებული. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ თუკი მხარეთა შორის არსებობს რაიმე სახის დავა ჩატარებულ ტენდერთან დაკავშირებით, აღნიშნული ცალკე დავის საგანია, ხოლო განსახილველ შემთხვევაში კი საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით, მათ შორის ფართო წრისადმი განხორციელებულ შეთავაზებაში, ცალსახად ჩანს, რომ ხელსაწყო დამაგრება დამკვეთს სწორედ ჭანჭიკისა და ქანჩის მეშვეობით სურდა და მოგვიანებით უკვე გამარჯვებულ კომპანიასთან ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება, სადაც პირდაპირ არის მითითებული ჭანჭიკი და ქანჩი და ნახსენები არ არის მოქლონი, რაც ხელშეკრულებისა და ფასების ცხრილის შემადგენელი ნაწილია და რომელზეც მხარეებს ხელი აქვთ მოწერილი. მართალია, შესყიდვების ობიექტის ტექნიკური დავალება უშუალოდ ხელმოწერილი არ არის მხარეთა მიერ, თუმცა ხელმოწერილია ფასების ცხრილი, სადაც ცალსახად დაფიქსირებულია, რომ კონტეინერზე დამაგრება უნდა მომხდარიყო ჭანჭიკისა და ქანჩის საშუალებით ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე;

4.18. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თუკი მნიშვნელობა არ ჰქონდა თუ რითი იქნებოდა მიმაგრებული ხელსაწყო კონტეინერზე და ასეთ მიმაგრებას გავლენა არ ექნებოდა ა/მანქანების შეუფერხებელ მუშაობასა და მონაცემების სწორ გადაცემაზე, აღნიშნული გარემოება შესაბამისი მტკიცებულებებით უნდა დადასტურებულიყო, რაც ამ შემთხვევაში არ დასტურდება;

4.19. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, მხარეთა შორის კონკრეტული პირობებით დაიდო ხელშეკრულება და მი-

უხედავად იმისა, რომ სატენდერო დოკუმენტაციაში შესაძლებელია სხვა პირობებიც კი ყოფილიყო ატვირთული, ანუ მეორე მხარის მიერ შეთავაზებული, საბოლოოდ მხარეთა შორის 2013 წლის 19 ნოემბრის ხელშეკრულებაში სწორედ ის პირობები გაინერა, რაზეც მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ;

4.20. შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ არ ყოფილა წარდგენილი მტკიცებულება, რაც გაამართლებდა მის მიერ ხელსაწყოს მოქლონით დამონტაჟებას, ასევე წარდგენილი არ ყოფილა მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების პირობების თვითნებურად შეცვლას არ გამოუწვევია ის ხარვეზები, რასაც მოსარჩელე სარჩელში უთითებდა;

4.21. კიდევ ერთი გარემოება, რაზეც სააპელაციო სასამართლომ გაამახვილა ყურადღება, არის კონტინერზე დამაგრებული ხელსაწყო და წამკითხველი საშუალება, რითაც უნდა დადგენილიყო შემსყიდველის ა/მანქანების კონტინერის დაცლის ფაქტი, კერძოდ, კონკრეტული დრო და ადგილმდებარეობა. როგორც მოპასუხე მხარე უთითებდა, დიდი ინფორმაციის გადმოცემის დროს, შესაძლებელი იყო რაიმე ტექნოლოგიური ან სუბიექტური ხარვეზი გამოვლენილიყო. მოსარჩელის მიერ მხოლოდ ერთი კონკრეტული ფაქტის მითითება, რომ 2015 წლის 6 იანვარს ... ქუჩაზე სისტემამ აჩვენა არასწორი მონაცემები, არ ადასტურებს, რომ სისტემა არ მუშაობს ან სახეზეა გლობალური პრობლემა;

4.22. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მხარეები არ დავობენ იმ გარემოებაზე, რომ ზემოაღნიშნულ კონკრეტულ დროს ... ქუჩაზე არსებული ა/მანქანების თაობაზე არასწორი ინფორმაციის მიღება მოხდა. შესაბამისად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ სისტემა და ხელსაწყოები გამართულად მუშაობდა და მხოლოდ ამ ერთ ხარვეზს ჰქონდა ადგილი, წარმოდგენილ მტკიცებულებებით არ დასტურდება. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი კი გადატანილი იყო მიმწოდებელზე, რომელმაც მისი დადასტურება ვერ უზრუნველყო;

4.23. სააპელაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა 1-წლიან საგარანტიო ვადაზე, ვინაიდან ორივე მხარისთვის წინასწარ იყო ცნობილი, რომ ხარვეზის შემთხვევაში მისი აღმოფხვრა მიმწოდებელს უნდა განეხორციელებინა, შესაბამისად, მათთვის ფაქტობრივად არ იყო ამონურული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, მიმწოდებელს, როგორც იურიდიულ პირს და კონკრეტული საქმიანობით დაკავებულ სუბიექტს, რომელიც საჯარო ტენდერებში იღებს მონაწილეობას, უნდა უზრუნველყოს შესაბამისი მტკიცებულებების

წარდგენა. ის გარემოება, რომ მოპასუხისთვის ხელმისაწვდომი იყო მონაცემები, ანუ შესაბამისი მტკიცებულებები, დასტურება ამ უკანასკნელის მიერ შესაგებელში მითითებული შემდეგი სიტყვებით: „ჩვენს მიერ პროექტის ფარგლებში დაყენებული დაახლოებით 13,0ათ RFID Tag“-დან დღეს სისტემაში ფიქსირდება დაახლოებით 5000-მდე RFID Tag“, რაც ნათლად მიუთითებს ამ კუთხით მოსარჩელის კონტროლის მექანიზმების არ ქონაზე“. თუმცა ფაქტია, რომ თუნდაც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება წარდგენილი არ ყოფილა;

4.24. კიდევ ერთი საკითხი, რაზედაც სასამართლომ გაამახვილა ყურადღება, არის „RFID TAG“-თან დაკავშირებით არსებული მოსაზრება, კერძოდ, მოპასუხე მხარე უთითებდა, რომ სწორედ ადამიანური ძალის გამოყენებით ხდებოდა მათ მიერ ქანჭიკისა და ქანჩის მეშვეობით დამონტაჟებული მოწყობილობის მოხსნა, თუმცა უთითებდნენ, რომ იგი თავისით ჩამოვარდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუკი მესამე პირების მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებით ხდებოდა უკვე დამონტაჟებული მოწყობილობის სპეციალურად მოხსნა, სასამართლოსთვის გაუგებარია, თუ რატომ ამაგრებდა განმეორებით მას მიმწოდებელი ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, რაც დამატებით ხარჯებს წარმოშობდა ამ უკანასკნელისთვის. აღნიშნულს მონაშთს შესაგებელში მითითებული სიტყვები, კერძოდ: „ამ პროექტის ფარგლებში ჩვენ ქ. თბილისში არსებული 11 652 ნაგვის კონტეინერზე დავამაგრეთ RFID Tag-ები (მოგვიანებით დავამატეთ დაახლოებით 2 000 ცალი, მაგრამ აქედან დიდი ნაწილი მოდიოდა „აგლეჯილი“ RFID Tag“-ების ჩანაცვლებაზე)“;

4.25. ამდენად, იმ გარემოების მტკიცების ტვირთი, რომ მესამე პირები აზიანებდნენ უკვე დამონტაჟებულ მოწყობილობას და ეს დაზიანება არ იყო გამონეული მხარის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოთი, გადატანილი იყო მიმწოდებელზე, რომელმაც მითითებული გარემოება წარმოდგენილი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა;

4.26. სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესყიდვების განაცხადსა და შეთავაზებული საქონლისა და გასანევი მონტაჟის თანმდევი მომსახურების ტექნიკურ აღწერილობაში ჩამოყალიბებული იქნა შესაბამისი პირობები, მათ შორის მიეთითა საწვავის (დიზელის) ხარჯვის მზომის ტექნიკური მახასიათებლები, კერძოდ, რომ ეს მოწყობილობა გათვლილი იყო 10 ლიტრ საწვავის მინიმალურ და 250 ლიტრ მაქსიმალურ წვაზე თითო კამერაში, ასევე პროგრამული უზ-

რუნველყოფის ტექნიკურ-ფუნქციური შესაძლებლობები;

4.27. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალების თანახმად, სანავის (კონკრეტულად კი – დიზელის) ხარჯვის მზომის ტექნიკური მახასიათებლები სრულად იქნა წარმოდგენილი და მათ შორის მიეთითა მინიმალურ და მაქსიმალურ წვაზე თითო კამერაში, კერძოდ, მინიმალური წვა თითო კამერაში – არანაკლებ 10 ლ/ს და მაქსიმალური წვა თითო კამერაში – არა უმეტეს 250 ლ/ს;

4.28. ამდენად, შემსყიდველის მიერ, მის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული ა/მანქანების მრავალფეროვნებისა და ძრავის მოცულობების გათვალისწინებით, არა კონკრეტული მაჩვენებელი მიეთითა, არამედ – ის მინიმალური და მაქსიმალური წვა, რაც დამახასიათებელი იყო მისი ა/მანქანებისთვის, კერძოდ, არანაკლებ 10 ლ/ს და არა უმეტეს 250 ლ/ს;

4.29. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ 10 ლ/ს-დან 250 ლ/ს-მდე ნებისმიერი სიმძლავრის ხელსაწყოს დამონტაჟება არ იქნებოდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა, თუმცა გასათვალისწინებელია მისი მუშაობა რამდენად იქნებოდა შესაბამისი კონკრეტული ა/მანქანების მარკის, ძრავის მოცულობისა და შესასრულებელი სამუშაოს გათვალისწინებით, რაც წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი კი გადატანილი იყო მოპასუხე მხარეზე;

4.30. აღსანიშნავია, რომ 2014 წლის 27 ოქტომბრის ელექტრონულ წერილში მითითებულია, რომ ერთ-ერთი ნაკლოვანება სწორედ მინიმალურ წვასთან მიმართებით იყო, რადგან მოდელები არასწორად იყო შერჩეული და ხელსაწყო, ნაცვლად მინიმუმ 10 ლ/ს-ზე ყოფილიყო გათვლილი, მინიმუმ 25 ლ/ს-ზე იყო გათვლილი. შესაბამისად, 25 ლ/ს-ზე ნაკლებ მაჩვენებელს ხელსაწყო ვერ აღრიცხავდა. ამასვე ადასტურებდა მწარმოებელი ფირმის „ტის“ წერილი. აღნიშნული გარემოების საწინააღმდეგო მტკიცებულება საქმეში არ ყოფილა წარმოდგენილი;

4.31. რაც შეეხება საბანკო გარანტიას, მისი გამოყენება-არ გამოყენების უფლებამოსილება, მოცემულ შემთხვევაში შემსყიდველს ჰქონდა, შესაბამისად, აღნიშნული უფლების გამოყენებლობა არ ადასტურებს მიმწოდებლის მიერ ვალდებულების ჯერონად შესრულებას;

4.32. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გაუზიარებლობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ექსპერტიზის დასკვნა პირველ კითხვაზე, ფაქტობრივად, პირდაპირ პასუხს არ შეიცავდა, ხოლო საკითხი იმის შესახებ,

თუ როგორ იქნა შესრულებული მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობები, სცდებოდა ექსპერტიზის კომპეტენციას; იგივე უნდა ითქვას მე-3 კითხვასთან დაკავშირებით, რამდენადაც კითხვა ეხებოდა ხარვეზების აღმოფხვრის ტექნიკურ ნაწილს და არა მხარეთა მიერ სახელშეკრულებო პირობების შესრულებას; რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რა გავლენას ახდენდა ავტომობილის სანავაგის სისტემის გაუმართაობა სანავაგის ხარჯვის მზომი მონყობილობის DFM250D-ის ტექნიკურად გამართულ მუშაობაზე და რამდენად შეესაბამებოდა იგი შემსყიდველის ავტოპარკში მყოფი ავტომანქანების სიმძლავრეებს, ამ ნაწილში ექსპერტების მიერ მონყობილ სტენდზე განხორციელებული ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ვერ იქნება დამაჯერებელი, ვინაიდან სანავაგის ხარჯვის მზომი მონყობილობის DFM250D-ის მწარმოებელი ... კომპანია „ტ-ის“ მიერ ერთმნიშვნელოვნადაა განმარტებული, – რაც არც ერთ მხარეს სადავოდ არ გაუხდია, – რომ ამ მონყობილობის გაუმართავად მუშაობის ფაქტის დადგენა შესაძლებელია მხოლოდ მწარმოებლის (კომპანია „ტ-ნი“) სერვის-ცენტრის მეშვეობით და რომ საზომი სისტემის შემადგენლობაში: ავტომობილი – ხარჯსაზომი-ტერმინალი-სერვერი, დასკვნა ხარჯსაზომის გამართულობის შესახებ, შეიძლება გაკეთდეს საკონტროლო შესრუტვით, რომელიც ტარდება კომპანია „ტ-ის“ საკონტროლო შესრუტვის მეოდიით;

4.33. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შემსყიდველის მხრიდან საგარანტიო პერიოდში ადგილი ჰქონდა შესაბამისი პრეტენზიების წარდგენას, შესაბამისად, მოპასუხე ცდილობდა აღმოეფხვრა არსებული ხარვეზები, რისთვისაც ასევე თავად უზრუნველყო მონყობილობის მწარმოებელი კომპანიის ინჟინრების ჩამოყვანა. თუმცა, საბოლოოდ, ხარვეზები ვერ იქნა გამოსწორებული და სადავო ხელშეკრულების ფარგლებში მიწოდებული მონყობილობებითა თუ მომსახურებით მოსარჩელე კომპანია დღეისათვის არ სარგებლობს (თბილისის სააპელაციო სასამართლოს 17.09.2020წ. სხდომის ოქმი). რაც შეეხება, სისტემის გაუმართაობის საკითხს, ზემოთ დასახელებული წერილების შინაარსიდანაც ირკვევა, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი ხარვეზები და, რიგ შემთხვევებში, საჭირო იყო მონყობილობების შეცვლა. 2015 წლის 27 იანვრის წერილში, თავად მოპასუხეც მიუთითებს, რომ „რამდენიმე ათეულ მანქანაზე უნდა დაყენებულიყო უფრო დაბალი გამტარობის მოხმარების მზომი მონყობილობების მოდელები“. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა ამავე წერილში მოყვანილი და შესაგებელში მითითებული არგუმენტები ა/მანქანების გაუმართაობასთან დაკავშირებით, ასევე მითითება „RFID

Tag“-ის ნამკითხველის მექანიკურად დაზიანების თაობაზე, აღნიშნულის შესახებ მოპასუხეს რაიმე მტკიცებულება სასამართლოსთვის არ წარუდგენია;

4.34. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება თუ მომსახურების გაწევა მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად არ განხორციელებულა ფაქტიურად არცერთ ნაწილში, რადგან საქონელი თუ მომსახურება არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, რის გამოც აპელანტმა რეალურად მომავალში იგივე საქონლის შეძენასა თუ მომსახურებაზე კვლავ უნდა გასწიოს ხარჯი. საქმეზე წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დგინდება ის გარემოება, რომ თუნდაც ნაწილობრივ იყო ხელშეკრულებით განხორციელებული მომსახურება შესრულებული;

4.35. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხა 994 022 ლარი, როგორც ხარვეზით გამოწვეული ზიანი, მოპასუხეს სრულად უნდა დაეკისროს.

5. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

5.1. სააპელაციო სასამართლოს გადანყვევტილება საკასაციო საჩივრით გაასაჩივრა მოპასუხემ და, ახალი გადანყვევტილების მიღებით, შემსყიდველის სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

5.2. კასატორის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო ვადაში შემსყიდველს მიმწოდებლისათვის, ნაკლის გამოსწორების მოთხოვნით, არ მიუმართავს, რაც მართებულად იქნა დადგენილი საქალაქო სასამართლოში, ხოლო სააპელაციო სასამართლომ საწინააღმდეგო გარემოება ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე დაადგინა. კასატორი ასევე უთითებს, რომ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ დაურღვევია და შესაბამისად არც ზიანის ანაზღაურების დაკისრების რომელიმე წინაპირობაა გამოვლენილი;

5.3. კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი დადასტურების გარეშე მიიჩნია, რომ აპელანტის 2014 წლის 15 ოქტომბრისა და 27 ოქტომბრის წერილები გაგზავნილი შპს „კ-მი“ და ამ უკანასკნელის პასუხები მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის კომუნიკაციას ადასტურებდა, რაც ფაქტობრივი უზუსტობაა. საქმეში არ მოიპოვება და შესაბამისად არც სააპელაციო სასამართლოს გამოუკვლევია, თუ რა ურთიერთობა იყო მიმწოდებელსა და შპს „კ-ს“ შორის; მოსარჩელე მოპასუხეს 2015 წლის 8 და 15 იანვრის წერილებით დაუკავშირდა, რომლებითაც ხელშეკრულების შეწყვეტა და თანხის მთლიანად დაბრუნება მოითხოვა. შემსყიდველს ნაკლის გამოსწორება არ მოუთხოვია;

5.4. კასატორის მითითებით, შემსყიდველ კომპანიას სისტემის ხარვეზით მუშაობის ან უმოქმედობის შესახებ არც ერთი წერილი არ გაუგზავნია მიმწოდებლისათვის, რაც საგარანტიო პირობების სამართლებრივი ამოქმედებისათვის საჭირო წინაპირობა იყო, შესაბამისად, გაურკვეველია, რის საფუძველზე ითხოვს მოსარჩელე ამ პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურებას;

5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა საქონელი და თანმდევი მომსახურება შემსყიდველმა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით 2014 წლის 22 თებერვალს ჩაიბარა. ხელშეკრულების მე-12 მუხლით განსაზღვრული იყო ინსპექტირების პირობები, რომლითაც მოსარჩელეს შეეძლო, განეხორციელებინა ტექნიკური კონტროლი და/ან საქონლის გამოცდა, ხოლო მიმწოდებელი ვალდებული იყო, კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი დეფექტი და ნაკლი საკუთარი ხარჯით აღმოეფხვრა. მოსარჩელეს, მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერის შემდეგ, ასეთი კონტროლი არ განუხორციელებია;

5.6. მოსარჩელის პრეტენზიასთან დაკავშირებით ნაგავშემკრები კონტეინერების მოქლონით და არა ჭანჭიკითა და ქანჩით დამაგრების თაობაზე, მოპასუხემ განმარტა, რომ როგორც სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონულ ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის მიერ, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული შესყიდვების განაცხადსა და შეთავაზებული საქონლისა და გასანევი მონტაჟის თანმდევი მომსახურების ტექნიკურ აღწერილობაში მითითებული იყო, რომ RFID TAG იძლეოდა შესაძლებლობას იგი კონტეინერის ზედაპირზე დამაგრებულიყო როგორც ჭანჭიკითა და ქანჩით, ისე მოქლონის მეშვეობით.

6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიმწოდებლის საკასაციო საჩივარი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დასაშვებად სცნო და არსებითად განსახილველად მიიღო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების შეფასების, მოპასუხის საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის არსებითად განხილვის გზით შემონშების შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და იგი უნდა დაკმაყოფილდეს.

7. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარ-

გლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი, ამასთან, საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავსებით საკმარისია სადავო სამართალურთიერთობის შეფასებისათვის, არ ქმნის საქმის ხელახლა განსახილველად (ფაქტობრივი გარემოებების დასადგენად ან სხვა მტკიცებულებების ხელახლა გამოსაკვლევად) ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოში დაბრუნების სსსკ-ის 412-ე მუხლით გათვალისწინებულ პროცესუალურ საფუძველს და, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებათა სამართლებრივი შეფასების გზით, შესაძლებელია ახალი გადაწყვეტილების მიღება საკასაციო სამართალწარმოების ეტაპზე.

8. სასამართლოსათვის ამოსავალია ის კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას. სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები და გარემოებები განსაზღვრავენ მისი მოთხოვნის შინაარსს. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსის განმსაზღვრელია სარჩელში მითითებული ფაქტები და გარემოებები. სარჩელის ინდივიდუალიზაცია სარჩელის ელემენტების მეშვეობითაა შესაძლებელი. სსსკ-ის მე-3, მე-4, 83-ე და 178-ე მუხლების ანალიზით შესაძლებელია, დავასკვნათ, რომ სარჩელი შედგება ორი ელემენტისგან: სარჩელის საგნისა და სარჩელის საფუძვლისგან. სარჩელის საგანია მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისადმი (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელის საფუძველი – კონკრეტული ფაქტები და გარემოებები, რომლებზედაც მოსარჩელე ამყარებს თავის მოთხოვნას (სსსკ-ის 178.1 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი). მოსარჩელის სტადიის შემდეგ, სასამართლომ უნდა შეამოწმოს მოპასუხის სტადია, რაც მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების პასუხად შესაგებელში შედავებული გარემოებების კვალიფიციურობაზეა დამოკიდებული. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის დიდი პალატის გადაწყვეტილებაში (საქმეზე №ას-664-635-2016; პუნქტი 201)

მითითებულია: „2007 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიხედვით, მოპასუხის მიერ პასუხის (შესაგებლის) წარდგენა სავალდებულო ხასიათს ატარებს (საქართველოს 28.12.2007წ.-ის კანონი №5669-სსმ), რაც იმაში გამოიხატება, რომ აღნიშნული საპროცესო ვალდებულების შეუსრულებლობა მხარისათვის უარყოფით საპროცესოსამართლებრივ შედეგებს იწვევს. კერძოდ, სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები ითვლება შეუდავებლად და, შესაბამისად, დამტკიცებულად. სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-7 ნაწილით გათვალისწინებული შესაგებლის წარუდგენლობის ფაქტი თავისთავად განსაზღვრავს მტკიცების საგანს, რადგანაც მოსარჩელე თავისუფლდება სარჩელში მითითებული ფაქტების მტკიცების საგან. აღნიშნული გარემოება დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წინაპირობაცაა. საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია მოპასუხის მიერ კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება, კერძოდ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, დგინდება, რომ მოპასუხე უნდა შეედავოს მოსარჩელის გამართულ, დასაბუთებულ მოთხოვნას ანუ დავის გადაწყვეტისათვის სამართლებრივად მნიშვნელოვან ფაქტობრივ გარემოებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები (და არა მისი სამართლებრივი შეხედულებები) დამტკიცებულად ითვლება“.

9. საკასაციო სასამართლო არაერთ გადაწყვეტილებაში/განჩინებაში უთითებს, რომ ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში, დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სამართლებრივი ურთიერთობა კი, როგორც ეს ცნობილია, შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტების საფუძველზე. სწორედ მტკიცების ტვირთსა და მის სწორ განაწილებაზეა დამოკიდებული დასაბუთებული და კანონიერი გადაწყვეტილების მიღება.

10. სსსკ-ის მე-3 მუხლის მიხედვით, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ. მხარეებს შეუძლიათ საქმის წარმოება მორიგებით დაამთავრონ. მოსარჩელეს შეუძლია უარი თქვას სარჩელზე, ხოლო მოპასუხეს – ცნოს სარჩე-

ლი. ამავე კოდექსის მე-4 მუხლის მიხედვით სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული შესაგებლები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

11. მტკიცების ტვირთს აწესრიგებს სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის მიხედვითაც თითოეულმა მხარემ უნდა დამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოსარჩელემ უნდა დამტკიცოს ის გარემოებები, რომლებზედაც დაფუძნებულია სასარჩელო მოთხოვნა, ხოლო მოპასუხემ გარემოებები, რომლებსაც მისი შესაგებელი ემყარება. მტკიცების ტვირთი არის სამოქალაქო სამართალწარმოებაში საქმის სწორედ გადანყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცების მოვალეობის დაკისრება მხარეებზე, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით არახელსაყრელი გადანყვეტილების გამოტანით იმ მხარის მიმართ, რომელმაც ეს მოვალეობა სათანადოდ არ (ვერ) შეასრულა. მხარეთა მტკიცებითი საქმიანობის საბოლოო მიზანი – ესაა სასამართლოს დარწმუნება საქმის სწორად გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობაში. სასამართლოს დაურწმუნებლობა კი, მხარისათვის არახელსაყრელ შედეგს იწვევს. მტკიცების ტვირთი დამოკიდებულია არა მხარის როლზე პროცესში, არამედ მოთხოვნის საფუძველზე. ის ვინც ითხოვს ვალდებულების შესრულებას, უნდა დამტკიცოს მოთხოვნის საფუძვლის არსებობა არა მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ითხოვს თავისი მოთხოვნის შესრულებას, ან აღიარებას, არამედ მაშინაც, როდესაც იგი თავს იცავს მონინალმდეგე მხარის ნეგატიური აღიარებითი სარჩელისაგან (მოთხოვნისაგან). მტკიცების ტვირთისაგან უნდა გაიმიჯნოს ფაქტების მითითების ტვირთი, როგორც მხარის ფაქულტატური მოვალეობა. მხარეები სსსკ-ის მე-4 მუხლის თანახმად სრულიად თავისუფალი არიან მიუთითონ ნებისმიერ ფაქტზე. ეს მათი უფლებაა, მაგრამ მათ მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება, ე.ი. იმის დადგენა და გარკვევა, თუ რამდენად ასაბუთებენ ეს ფაქტები იურიდიულად მხარეთა მოთხოვნებს და შესაგებელს – ეს უკვე სასამართლოს პრეროგატივაა. ამასთან, საკმარისი არ არის, რომ მხარემ ზოგადად გამოთქვას მოსაზრება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებაზე, მაგალითად, განაცხადოს, რომ იგი მთლიანად უარყოფს

მეორე მხარის მიერ მოხსენებულ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. მხარის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები კონკრეტულად და დეტალურად უნდა ჩამოყალიბდეს და ეხებოდეს საქმის გადანყევ-ტისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოებას. მხარეთა მიერ წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები უნდა იყოს დასაბუთებული და ეხებოდეს იმ გარემოებებს, რომლებსაც უშუალო კავშირი აქვს დავასთან. მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (იხ. ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადანყევტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003, გვ.64) – შუად. სუსგ-ებს №ას-1298-2018; 22.03.2019წ; №ას-1329-2018, 22.02.2019წ; №ას-1610-2019, 07.02.2020წ; №ას-804-2019, 19.03.2021წ; №ას-1133-2019, 30.07.2021წ; №ას-754-2021, 02.12.2021წ.).

12. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა მოიცავს როგორც ნასყიდობის, ასევე ნარდობის ელემენტებსაც. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 477-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებზე, 490-ე, 492-ე მუხლებზე მითითებით განმარტავს, რომ შემსყიდველი და მიმწოდებელი 1-წლიან საგარანტიო მომსახურებაზე შეთანხმდნენ, რომლის თანახმადაც ამ ვადაში მიმწოდებელი კისრულობდა ვალდებულებას, უფასოდ შეეცდებინა საქონელი, საჭიროების შემთხვევაში შეეცვალა და პროგრამულად უზრუნველყო.

13. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს მიმწოდებლის საკასაციო პრეტენზიების (იხ. წინამდებარე გადანყევტილების 5.1-5.6 ქვეპუნქტები) და მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადანყევტილებით არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა საქმეზე დადგენილ გარემოებებს. სსკ-ის 495-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. ამავე კოდექსის 496-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას.

14. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თუ გამყიდველი

ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას. თუ გაყიდულ ნივთს გამყიდველის მიერ განსაზღვრულ ვარგისიანობის (საგარანტიო) ვადაში აღმოაჩნდება ნაკლი, ავტომატურად მყიდველს წარმოეშობა მოთხოვნის უფლება, ხოლო გამყიდველმა უნდა ამტკიცოს საწინააღმდეგო. იმ შემთხვევაში, როდესაც გამყიდველი ნივთის გადაცემისას ასევე განსაზღვრავს ნივთის ვარგისიანობის ვადას (საგარანტიო ვადა), მისი ვალდებულება უნაკლო ნივთის გადაცემის შესახებ განსაზღვრული დროით ხდება შემოფარგლული და ეს აისახება მისი პასუხისმგებლობის თავისებურებაზეც. სსკ-ის 496-ე მუხლის თანახმად, თუ გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, მაშინ ივარაუდება, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას. სსკ-ის 653-ე მუხლით დადგენილია მსგავსი სამართლებრივი მოწესრიგება.

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, უდავოა, რომ მიწოდებულ საქონელზე საგარანტიო მომსახურების ვადა მოქმედებდა მიღება-ჩაბარების აქტების შედგენიდან (2014 წლის 22 თებერვლიდან) ერთი წლის განმავლობაში – 2015 წლის 22 თებერვლამდე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.6 ქვეპუნქტი).

16. მოსარჩელემ სასამართლოს ვერ წარმოუდგინა საგარანტიო ვადის განმავლობაში, მოპასუხისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულებები (იხ. ამ გადაწყვეტილების 2.8 ქვეპუნქტი). მოსარჩელეს მოპასუხისათვის არც დამატებითი ვადა დაუწესებია სსკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხოლო საქმეზე წარმოდგენილი მხოლოდ ორი ოფიციალური წერილი მოპასუხის მიმართ, წარმოადგენს მოთხოვნას ხელშეკრულებიდან გამომდინარე გადახდილი თანხის უკან დაბრუნების და არა საგარანტიო პირობების შესრულების შესახებ.

17. საკასაციო სასამართლო ზემოთ მოხმობილი ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობების საფუძველზე განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილებით არამართებულად იქნა შეფასებული მხარეთა შორის ურთიერთობები და შესაბამისად საქმეზე არასწორად იქნა დადგენილი, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია. ამასთან, სააპელაციო სასამართლო დადასტურებულად მიიჩნია, რომ „ორივე მხარემ თანხმობა განაცხადა, რომ ხელშეკრულება სწორედ 994 022 ლარის ნაწილში შესრულდა, რის საფუძველზეც თავდაპირველი ხელშეკრულება დაკორექტირდა და საბოლოოდ დადასტურებულად უნდა მივიჩნიოთ, რომ ან უკვე დაკორექტირებული ხელშეკრულება სრულად იქნა შესრულებული შპს „ნ-ის“ მი-

ერ“. (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება).

18. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის პრეტენზიებს, რომ მიმწოდებლის ქვეკონტრაქტორ კომპანიასა და შემსყიდველს შორის კომუნიკაცია არ უნდა გაიგივდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობის იმ ფორმასთან, რაც მოსარჩელეს ავალდებულებდა, პრეტენზია წერილობით მოპასუხე კომპანიისათვის წარედგინა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.11 ქვეპუნქტი). საკასაციო სასამართლო იმ გარემოებასაც მიაქცევს ყურადღებას, რომ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით ნაკლებ სავარაუდოა ქვეკონტრაქტორ კომპანიას მიმწოდებლის გარეშე რაიმე შეეთანხმებინა შემსყიდველისათვის (იხ. ამ გადაწყვეტილების 4.7.4. ქვეპუნქტი), და განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით ნათლად იყო განსაზღვრული პრეტენზიის გამოთქმის ვადა, ფორმა და ადრესატი, შესაბამისად, მოსარჩელე ვალდებული იყო, სასამართლოსათვის დაედგატურებინა, რომ მან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში, წერილობით მიმართა მიმწოდებელს ნაკლის გამოსწორების მოთხოვნით. საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის პრეტენზიას, რომ ამგვარი მტკიცებულება საქმეში წარდგენილი არ ყოფილა, რამაც იმთავითვე გამორიცხა შემსყიდველის მოთხოვნის საფუძვლიანობა.

19. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების მსჯელობა და დასკვნები ძირითადად იმას ეფუძნება, რომ მიმწოდებელმა ჯეროვნად ვერ შეასრულა ვალდებულება და გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები, დადგენილია ხარვეზების გამოვლენა და არა ხელშეკრულების შეუსრულებლობა. საკასაციო სასამართლო არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ „ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება თუ მომსახურების განევა შპს „ნ-ის“ მიერ ჯეროვნად არ განხორციელებულა ფაქტიურად არც ერთ ნაწილში, რადგან საქონელი თუ მომსახურება არ იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის, რის გამოც აპელანტმა რეალურად მომავალში იგივე საქონლის შეძენასა თუ მომსახურებაზე კვლავ უნდა გასწიოს ხარჯი“ (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება). მოცემულ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა აღინიშნოს, რომ ნაკლიანი (არა-ჯეროვანი) შესრულება არ წარმოშობს ხელშეკრულების სრული თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლებას, ასევე, თავის მხრივ, ნივთობრივი ნაკლის არსებობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების წინაპირობას არ წარმოშობს, რამდენადაც სსკ-ის 490-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა

ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში. ამავე კოდექსის 491-ე მუხლის მიხედვით, მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები. სსკ-ის კოდექსის 492-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი (იხ. სუსგ-ები: №ას-596-2020, 29.10.2020წ; №ას-1371-2021. 18.02.2022წ.). რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ მომავალში შემსყიდველს რეალურად მოუწევს იგივე საქონლის შეძენასა თუ მომსახურებაზე ხარჯის გაწევა, რაც როგორც ხარვეზით გამოწვეული ზიანი, მოსარჩელის მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილებას უკავშირდება სახელშეკრულებო თანხის სრული ოდენობით (იხ. გასაჩივრებული გადაწყვეტილება), სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რადგან მოსარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტი), რასაც ვერ გასცდება საკასაციო სასამართლო (სსკ-ის 248-ე მუხლი), ზიანი უნდა იყოს არა აბსტრაქტული და მომავალში გასაწევ ხარჯებთან დაკავშირებული, არამედ სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია სახელშეკრულებო ზიანის ანაზღაურება, რომელიც რეგულირებულია სსკ-ის 408-ე მუხლით, რომლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება (იხ. სუსგ №ას-52-47-2015, 27.03.2015 წ.). „ქონებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია ზიანის არსებობა. სამოქალაქო სამართალში ზიანში მოიაზრება ქონებაზე ან სამართლებრივად დაცულ სხვა სიკეთეზე გარკვეული ზემოქმედებით გამოწვეული უარყოფითი შედეგი. ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი, არც ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს. ზიანი სწორედ რომ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგია. იგი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყო-

ფის შედეგს. ... ზიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით უნდა იყოს მიყენებული. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე ანუ აცნობიერებდა თუ არა მოვალე თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მთავარია, რომ მოვალის ქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. სამოქალაქო სამართალში მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლწინააღმდეგობა მოიცავს როგორც კანონით დადგენილი წესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია. ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს. თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდ და დაკავშირებული დამდგარ ზიანთან. ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია“ (მდრ.სუსგ №ას-155-145-2017, 26.10.2018წ.).

20. საკასაციო სასამართლო ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე არაერთ საქმეზე განმარტავს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შესარულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), 629.2 (თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის მიერ შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება), 408.1 (იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აა-

ნაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 409-ე (თუ ზიანის ანაზღაურება პირვანდელი მდგომარეობის აღდგენით შეუძლებელია ან ამისათვის საჭიროა არათანაზომიერად დიდი დანახარჯები, მაშინ კრედიტორს შეიძლება მიეცეს ფულადი ანაზღაურება) მუხლებიდან გამომდინარეობს (სხვა მრავალთა შორის იხ. სუსგ №ას-1962-2018, 26.03.2019წ.). აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის მიხედვით, ნარდობის ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად ვალდებულებითი ურთიერთობის უკუქცევის თაობაზე მოსარჩელის მოთხოვნა შეიძლება დაეფუძნოს სსკ-ის 644-ე (ნაკეთობის ნაკლის გამო შემკვეთს შეუძლია 405-ე მუხლის მიხედვით უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ამ შემთხვევაში მენარდე ვალდებულია აუნაზღაუროს შემკვეთს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ხარჯები), სსკ-ის 405.1 (თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი) და სსკ-ის 352.1 (თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება) მუხლების წინაპირობებს. ეს უკანასკნელი ნორმა განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის (ხელშეკრულებაზე უარის თქმის) სამართლებრივ შედეგს. იგი გამოიხატება მხარეებისათვის მიღებული შესრულებისა და სარგებლის დაბრუნებაში. სსკ-ის 644-ე მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე უარის თქმის წინაპირობებია: მხარეთა შორის ნარდობის ხელშეკრულების არსებობა; მენარდის მიერ შეთანხმებული სამუშაოს ნაკლიანი შესრულება; ვალდებულების დარღვევისათვის მენარდე მთლიანად ან უმთავრესად არ არის პასუხისმგებელი (შეად. სუსგ-ებს №ას-1003-924-2017; 01.12.2017წ; №ას-601-2020, 13.04.2022წ.).

21. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეს არ დაუდასტურებია შერეული ხელშეკრუ-

ლების – ნასყიდობისა და ნარდობის – არც ერთი წინაპირობის არსებობა, რაც მოპასუხისათვის სარჩელით მოთხოვნილი ხელშეკრულების სრული ღირებულების, როგორც ხელშეკრულების არა-ჯეროვნად შესრულების გამო, დაკისრებას გამოიწვევდა (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 2.9 ქვეპუნქტი).

22. საკასაციო სასამართლომ მოპასუხის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების გზით, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება და, ახალი გადანყვეტილების მიღებით, არ დააკმაყოფილა შემსყიდველი კომპანიის სარჩელი მიმწოდებელი კომპანიის წინააღმდეგ.

23. სსსკ-ის 199¹-ე მუხლის თანახმად სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო საკასაციო სასამართლო თავისი გადანყვეტილებით აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ნ-ი“-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 24 სექტემბრის გადანყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადანყვეტილება;
3. შპს „თ-ის ჯ-ი“-ს სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 21 ივლისის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც მოპასუხე, შპს „ნ-ს“ (ს.ნ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებების, მდებარე გარდაბანი, სოფელი ..., ს.კ. ... და ქ. თბილისი, ... ქ. №..., სართული ..., ს.კ. ..., გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა.
5. საკასაციო სასამართლოს გადანყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-740-2021

22 ივნისი, 2022 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ვ. კაკაბაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
გ. მიქაუტაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიამ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, კასატორი, შემკვეთი, შემსყიდველი ან მერია) გამოაცხადა ტენდერი დმანისის ქუჩების მოასფალტების, სოფლებში ... და ... რ/ზ არხების გაყვანის სამუშაოების შესრულების მიზნით.

2. აღნიშნულის საფუძველზე, 2018 წლის 12 ოქტომბერს, მოპასუხესა და შპს „ნე... ს. ს-იო ს-ოს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, მონინალმდეგე მხარე, მიმწოდებელი ან მენარდე) შორის №... ხელშეკრულება (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები) დაიდო. ხელშეკრულების ღირებულება – 561 350 ლარით განისაზღვრა (იხ. შეთანხმების მე-2 მუხლი), (სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი; საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 629-ე მუხლის პირველი ნაწილი).

3. გათვალისწინდა წინასწარი ანგარიშსწორებაც (ავანსი), (იხ. შეთანხმების მე-6 მუხლი), თუმცა შემსყიდველს ავანსი არ გადაუხდია და მენარდემ სამუშაოები საკუთარი ხარჯით დაიწყო.

4. 2018 წლის 3 ოქტომბერს სს „სადაზღვევო კომპანია ...“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც სადაზღვევო კომპანია ან გარანტი), ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, გასცა საბანკო გარანტია – 28070 ლარის ფარგლებში.

5. 2018 წლის 7 ნოემბერს შპს „ჩ-სა“ და შპს „ა-ს“ შორის მომსახურების ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის საგანს 400 ნაცრისფერი, კომპოზიტიური მასალისგან ჩამოსხმული ცხაურის (სიგრძე 1მ, სიგანე 0,5მ, სისქე 0.04მ) დამზადება წარმოადგენდა, მიმწოდებელმა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა და დამ-

კვეთმა ჯამურად – 14018 ლარი გადაიხადა.

6. 2018 წლის 1 ნოემბერს შპს „ჩ-მ“ ინდემნარმე ნ. ლ-თან – 2400 გრძივი მეტრი ანაკრეფ რ/ბ არხების (დაახლოებით 400 ცალში ჩატანებული იქნება 50*50*4მ კუთხოვანა ცხაურების ჩასალაგებლად) გაყვანის მიზნით მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა, სადაც ბეტონი იქნებოდა (B25) 350 – მარკიანი, 1 გრძივ მეტრზე 0.14 მ.3 და არმატურა 1 გრძივ მეტრში 19 მეტრი. კერძოდ, დ-8მმ-იანი, ვერტიკალურად – 8.55 გრძ/მ, დ-6 მმ-იანი. დამკვეთმა ჯამურად 30 000 ლარი გადაიხადა.

7. 2018 წლის 16 ოქტომბრის წერილით, მოსარჩელემ მოპასუხეს აცნობა, რომ საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გაცნობისას უზუსტობები და სირთულეები აღმოჩნდა, სახელდობრ, ფოლადის ცხაურის ნახაზზე მითითებული იყო „გალავანი-ზირებული ფოლადის ცხაურის“ მოწყობა, თუმცა ცხაურის შემოფარგვლა (გალავანიზირება) ან შეღებვა, ხარჯთაღრიცხვაში მითითებული არ იყო.

ნახაზზე მოცემული იყო ცხაურის დეტალების სპეციფიკაცია, სადაც ფოლადის ზოლის ზომაც და არხში ჩასატანებული კუთხოვანას ზომისა და დრენაჟის ღია არხის არმირების დეტალებიც არასწორად იყო მითითებული. რ/ბ არხების 10 მმ დიამეტრის არმატურით დამზადება საჭიროებდა სპეცშეკვეთას და მათი დამზადების ვადებიც იმატებდა.

აღნიშნულის გათვალისწინებით მენარდემ საჭირო ზომების მიღება და პროექტში დაშვებული მცირე უზუსტობების აღმოფხვრა ითხოვა.

8. შპს „ახალი ს-ის“ დასკვნის მიხედვით, თავდაპირველი პროექტით გათვალისწინებული მონაცემები გრუნტის კატეგორიასთან მიმართებით მცდარია, ნაცვლად III კატეგორიისა იგი შეესაბამება IV-V კატეგორიას. გრუნტის კატეგორიის განსაზღვრისთვის მოსარჩელემ – 1770 ლარი გადაიხადა.

9. მოსარჩელემ და შპს „ა-რა და პ-მა“ 2019 წლის 20 და 29 ოქტომბერს, იმავე წლის 27 ნოემბერსა და 4 დეკემბერს ფარული სამუშაოების აქტი შეადგინეს, რომელიც მენარდის მიერ დმანისის ქუჩების მოასფალტების, სოფლების ... და ... რკინა-ბეტონის არხების მოწყობის სამუშაოების შესრულებას ადასტურებდა.

10. 2018 წლის 19 ნოემბრის წერილით, მენარდემ შემკვეთს აცნობა, რომ სამუშაოების წარმოებისას უზუსტობები და სირთულეები გამოვლინდა, კერძოდ, არხების (კიუვეტების) ამოჭრისას რამდენიმე ათეულ ადგილას აღმოჩნდა წყლის მილები და კაბელები 20-30 სმ სიღრმეზე. ხოლო ტექნიკური ნორმით წყლის მილები და კაბელები უნდა ყოფილიყო 80 სმ სიღრმეზე, რის გამოც მილები და

კაბელები დაზიანდა და მენარდემ შეაკეთა.

პროექტით არ ყოფილა გათვალისწინებული წყლის მილები და კაბელები და შესაბამისად – არც მათი გადატანა. ასევე, ზოგიერთ ადგილებში გრუნტი მე-3 კატეგორიის ნაცვლად მე-4 და მე-5 კატეგორიის აღმოჩნდა, რაც, მენარდის მტკიცებით, სამუშაოებს მიმდევრად 5-ჯერ ართულებდა.

ზოგიერთ ადგილას კიუვეტების სიგრძე არ ემთხვეოდა რეალურ ზომას და პროექტით გათვალისწინებულ 3.5 მეტრი სიგანის ბეტონის გზაზე არ ეტეოდა. მენარდის აზრით, აღნიშნულ მონაკვეთებში ბეტონის კიუვეტის მოწყობა საერთოდ არ იყო საჭირო. მენარდემ შემკვეთს მიუთითა, რომ პროექტში, ზოგ შემთხვევაში, ზედმეტად იყო გათვალისწინებული სამუშაო მასალა.

წყლის მილებისა და კაბელების გადატანის საჭიროების, ასევე – კლდოვანი გრუნტის არარსებობის პირობებში, ერთი მექანიზმით 10 დღეში იყო შესაძლებელი კიუვეტების გაჭრა, ხოლო მოცემულ პირობებში ორი მექანიზმით 1 თვეში შესასრულებელი სამუშაოებიც ვერ შესრულებოდა.

მენარდის მითითებით, მუშაობის პროცესში მოსალოდნელი იყო სხვა სახის უზუსტობების აღმოჩენაც, რაც საჭიროებდა სასწრაფო გადაწყვეტას. მენარდის მტკიცებით, პროექტი უნდა დაკორექტირებულიყო ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მიხედვით, რომლებიც ტექნიკურად იქნებოდა გამართული და შეთანხმებული შემკვეთთან. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მენარდემ საჭირო ზომების მიღება ითხოვა.

11. 2018 წლის 4 დეკემბერს მოსარჩელემ მოპასუხეს წერილობით აცნობა, რომ პროექტით გათვალისწინებული სანიაღვრე არხებზე ფოლადის გალავანიზირებული ცხაურის მოწყობის ნაცვლად, მიზანშეწონილად მიაჩნდა მისი კომპოზიტური მასალისაგან დამზადებული ცხაურით ჩანაცვლება. ამის თაობაზე შემკვეთს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნაც წარედგინა და ზომების მიღებაც ეთხოვა.

12. 2018 წლის 7 დეკემბრის წერილით, მენარდემ შემკვეთს აცნობა, რომ სამუშაოების შესრულებისას გამოვლენილი უზუსტობების გამო, გარკვეულ სირთულეებთან გამკლავება მოუხდათ, სახელდობრ, შეკეთდა და ჩანაცვლდა სამუშაოების წარმოებისას დაზიანებული სასმელი წყლის მილები. შემკვეთს მოსალოდნელი სირთულეების/დანახარჯების შესახებაც ეცნობა და განემარტა, რომ აღნიშნული აფერხებდა და აძვირებდა სამუშაოებს და შესაბამისი ზომების მიღებას საჭიროებდა.

13. მენარდემ 2018 წლის 17 დეკემბერს შემკვეთს აცნობა, რომ

შესრულებული სამუშაოს ღირებულება – 94226 ლარია, გარდა ამისა, დამზადდა – 38000 ლარის რკინა-ბეტონის არხები და 17000 ლარის ცხაურები.

იმავე წერილით, მოსარჩელემ მოპასუხეს თანხის ჩარიცხვა სთხოვა, რისი შეუსრულებლობაც მენარდისა და ქვემენარდეების საქმიანობის შეჩერებას გამოიწვევდა. ამასთან, განემარტა, რომ მუშაობის პროცესში გამოიკვეთა შესასრულებელი სამუშაოების თუნდაც ერთი სახეობის, ერთი პუნქტის, პროექტის მიხედვით შესრულების შეუძლებლობა.

მოსარჩელის განმარტებით, სამუშაოები ტექნიკური და ტექნოლოგიური ნორმების დაცვით – 50 დღეში შესრულდებოდა, ამასთან, უსარგებლო სამუშაოების ამოკლებითა და საჭირო სამუშაოების დამატებით, სამუშაოების პარალელურად, პროექტი უნდა დაკორექტირებულიყო. შესაძლებელი იყო, საჭირო გამხდარიყო 10%-ით საპროექტო ღირებულების გაზრდა, რაც შეთანხმებითაც იყო გათვალისწინებული.

14. 2018 წლის 17 დეკემბერს მენარდემ შემკვეთს დმანისის ქუჩების მოასფალტების, სოფლების ... და ... რ/ზ არხების მოწყობის სამუშაოების ნაწილობრივ შესრულების თაობაზე აცნობა, მიღება-ჩაბარების აქტი წარუდგინა და შესაბამისი ანაზღაურებაც მოსთხოვა.

15. 2018 წლის 24 ოქტომბერს შემკვეთმა შპს „ო...-ლ გ...-პ -სს“ მიმართა და მენარდის 2018 წლის 16 ოქტომბრის წერილში მითითებულ გარემოებებთან მიმართებით მოსაზრების წარდგენა სთხოვა.

16. 2018 წლის 10 დეკემბერს, მოპასუხემ შპს „ა-რა და პ-სა“ და შპს „ო-ლ ...-სს“ ვითარების ადგილზე შესწავლა და დასკვნის მომზადება სთხოვა.

17. 2019 წლის 28 იანვარს მოსარჩელემ შპს „ა-ლ ს-ან“ დმანისში, ... ქუჩაზე 208 მ სიგრძის უბანზე გავრცელებული გრუნტების კატეგორიის განსასაზღვრად ხელშეკრულება გააფორმა.

დამუშავების სიძნელის მიხედვით, სამუშაოს ჩაბარების ვადა – 2019 წლის 5 თებერვლით, ხოლო ღირებულება – 1770 ლარით (დღგს ჩათვლით) განისაზღვრა, რაც იმავე წლის 6 მარტს ანაზღაურდა კიდევ.

18. 2019 წლის 7 თებერვლის წერილით, მოსარჩელემ შემკვეთს აცნობა, რომ პროექტის კორექტირებასთან დაკავშირებით ზედამხედველობის სამსახურთან შეუთანხმებლობის გამო, მესამე თვეა სამუშაოები შეჩერდა, რის გამოც ხელშეკრულების შეწყვეტა და შესრულებული სამუშაოების გონივრულ ფარგლებში ანაზღაურებაზე მოლაპარაკება ითხოვა.

19. 2019 წლის 28 თებერვლის საპასუხო წერილით, მოპასუხემ მოსარჩელეს აცნობა, რომ პროექტით გათვალისწინებული ხარისხისა და მასალისგან განსხვავებული ცხაურის ჩანაცვლებას არ დასთანხმდებოდა/ვერ შეითანხმებდა.

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვის თანახმად, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები ძვირდებოდა, რის გამოც მერია შესაბამის ცვლილებას ვერ შეითანხმებდა.

მენარდეს სამუშაოების გაგრძელება ეთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულება შეწყდებოდა და მხოლოდ პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების ღირებულება ანაზღაურდებოდა.

20. 2019 წლის 14 მარტს შპს „ო-ლ გ-ა“ მერიას აცნობა, რომ მენარდეს შესრულებული სამუშაოების აქტი უნდა წარედგინა, სადაც ქუჩის 208 მ. სიგრძის უბანზე სხვადასხვა კატეგორიის გრუნტის დამუშავება ცალ-ცალკე იქნებოდა წარდგენილი. იმავე წლის 15 მარტს შემკვეთმა აღნიშნულის შესახებ მენარდეს აცნობა.

21. 2015 წლის 15 მარტს მოპასუხემ შპს „ა-ა და პ-სა“ და შპს „ო-ლ გ-სს“ აცნობა, რომ მენარდეს პროექტის ხარვეზის შესახებ შეატყობინა, სახელდობრ, აცნობა პროექტით გათვალისწინებული ცხაურების შესახებ.

მენარდის მითითებით საჭირო იყო პროექტით გათვალისწინებულიდან განსხვავებული დამზადება, რაც საჭიროებდა სპეცშეკვეთას და ზრდიდა დამზადების ვადას. აღნიშნულის გამო მოპასუხემ ვითარების ადგილზე შესწავლა და დასკვნის მომზადება ითხოვა.

22. 2019 წლის 22 მარტს მოსარჩელემ მოპასუხეს შესრულებული სამუშაოს აუნაზღაურებლობის მიზეზის განმარტება მოსთხოვა.

23. 2019 წლის 26 მარტს შემკვეთმა მოსარჩელეს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ წერილობით აცნობა, ამასთან, აღნიშნა, რომ ანაზღაურდებოდა შესრულებული სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც საპროექტო/სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გათვალისწინდა.

24. 2019 წლის 29 მარტს შპს „ა-რა და პ-ის“ დირექტორმა მერიას აცნობა, რომ სანიაღვრე არხების კორექტირებასთან დაკავშირებით წინადადება მიუღებელი იყო, რადგან პროექტს გავლილი ჰქონდა ექსპერტიზა.

25. 2019 წლის 11 აპრილს მოსარჩელემ მოპასუხეს შესრულებული სამუშაოების №2 საბოლოო ფორმა წარუდგინა და სათანადო ანაზღაურება ითხოვა, ამასთან, მენარდემ მხარეთა შორის ხელშეკრულების ურთიერთშეთანხმებით შეწყვეტის შესახებ წერილობითი დადასტურებაც ითხოვა.

26. შპს „ე-ტ ჰ-ს“ 2019 წლის 5 ივლისის №... დასკვნის (ინსპექტორების ანგარიშის) თანახმად, დმანისის ქუჩების მოასფალტების, სოფლების – ... და ... რკინა-ბეტონის არხების მოწყობის სამუშაოების, წარდგენილი დოკუმენტაციისა და მასალების შესწავლის, აზომვითი სამუშაოების შედეგად მიღებული მონაცემების შედარებით კორექტირებულ №2 ფორმითა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებით დადგინდა შემდეგი:

შესრულებული სამუშაოების მოცულობები შეესაბამებოდა კორექტირებული ფორმა №2-ის მოცულობას და მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა – 99 851.82 ლარს დღგს ჩათვლით.

ფორმა №2-ში მითითებული მოცულობა და ერთეულის ღირებულება არ შეესაბამებოდა ხარჯთაღრიცხვაში მითითებულ მოცულობას და ერთეულის ღირებულებას.

წარდგენილი დოკუმენტები შეესაბამებოდა „საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №52 და №55 დადგენილებას.

ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ ყველა ხილულ სამუშაოებზე ექსპერტმა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობები აზომა და შეადარა ფორმა №2-სა და ხარჯთაღრიცხვის მონაცემებს, ხოლო ფარული სამუშაოების დადასტურება ვერ მოხერხდა, ვინაიდან არ იყო წარდგენილი ფარული სამუშაოების აქტები, რის გამოც, №2 ფორმებში მოცემული შესაბამისი სამუშაოების მოცულობები ვერ დადასტურდა.

ამავე დასკვნაში აღნიშნულია, რომ გაუთვალისწინებელი სამუშაოების ფორმა №2-ებით მოთხოვნილი იქნა – 42 993.66 ლარი, რაც შეადგენდა სახელშეკრულებო თანხის 7.66%-ს ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული 3%-ისა. გაუთვალისწინებელი სამუშაოების ფორმა №2-ებში მოცემული სამუშაოები მთლიანად შესრულდა და მათი ანაზღაურება დამკვეთის კეთილ ნებაზე იყო დამოკიდებული.

27. მხარეებს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები მოსარჩელემ ნაწილობრივ შეასრულა, სამუშაოს მოცულობა – 105 139,77 ლარით შეფასდა, რაც ინსპექტირების ანგარიშითაც ნაწილობრივ დადასტურდა.

28. 2019 წლის 12 აპრილს მერიამ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიმართა და მოსარჩელის შავ სიაში შეყვანა ითხოვა.

29. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ თანხის დაკისრების მოთხოვნით.

ნით.

30. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი ნაწილობრივ – 14 655,03 ლარის ფარგლებში ცნო.

31. ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა:

მოპასუხეს მოსარჩელის მიერ ფაქტობრივად შესრულებულ სამუშაოთა ღირებულების – 105 139.77 ლარის ანაზღაურება დაეკისრა;

მოპასუხეს შეთანხმების თანახმად, გადასახდელი სამუშაოთა ანაზღაურების ვადაგადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სახით მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა დროულად გადაუხდელი თანხის 0.05% პროცენტი, თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე თანხის სრულ გადახდამდე, რაც – 6847 ლარია;

მოპასუხეს დაეკისრა მისი დავალებით გრუნტის კატეგორიის განსაზღვრისთვის გადასახდელი თანხის – 1770 ლარის ანაზღაურებაც.

სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 630-ე, 629-ე, 394-ე, 408-ე და 409-ე მუხლები გამოიყენა.

32. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

33. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2021 წლის 15 აპრილის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

34. მოპასუხემ საკასაციო საჩივრით გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

34.1. კასატორის მტკიცებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილება 6847 ლარის დაკისრების ნაწილში დაუსაბუთებელია.

34.2. კასატორის მითითებით, შეთანხმება არ ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს 0.05%-ის ფარგლებში.

34.3. გარდა ამისა, კასატორის მითითებით, შეთანხმებით განისაზღვრა ფიქსირებული ხარჯთაღრიცხვა – 561 350 ლარი.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2022 წლის 18 მაისის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაუსაბუთებელია. შესაბამის-

სად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს.

36. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ ნამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხის/კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და არასწორად განმარტა კანონი, რასაც შედეგად მოჰყვა სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები, ნაწილობრივ დასაბუთებულია.

37. განსახილველ შემთხვევაში, ცალსახად დასტურდება კასატორსა და მოსარჩელეს შორის ნარდობის სამართალურთიერთობის არსებობა, რომელიც მიეკუთვნება მომსახურების ტიპის ხელშეკრულებათა რიცხვს (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის 629.1 მუხლი). ნარდობა თავისი ბუნებით ორმხრივ მავალდებულებელი (სინალაგმატური „სინალაგმა“), სასყიდლიანი და კონსენსუალური ხელშეკრულებაა. იგი ანესრიგებს უშუალოდ წარმოების პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს, რადგან დაკავშირებულია მენარდის ვალდებულებასთან – შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო და გადასცეს შემკვეთს შეთანხმებული საზღაურის მიღების პირობით შესრულებული სამუშაოს შედეგი.

38. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ყველა სამართლებრივ სისტემაში ვალდებულების შესრულება ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია. როგორც კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში, საქართველოშიც ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელ ნორმებს ძირითადად დისპოზიციური ხასიათი აქვთ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესრულებაზე ორიენტირებული აქტია. მისი, როგორც ზოგადი, ისე – კერძო ნაწილი შესრულების მექანიზმებზეა აგებული. მთავარია, შესრულება და არა პასუხისმგებლობა. ვალდებულების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული სახის ვალდებულების შინაარსზე. ვალდებულება სრულდება ვალდებულების მხარეების ნებელობითი მოქმედების შედეგად: მოვალე სთავაზობს შესრულებას, კრედიტორი იღებს. უარყოფითი შინაარსის მქონე ვალდე-

ბულებების არსებობა გამოიხატება გარკვეული მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებით (მაგალითად, სამეზობლო თემის ვალდებულებები და ა.შ.). ასეთი უმოქმედობაც მოვალის ძალისხმევითაა, ამიტომაც იურიდიულ ლიტერატურაში ვალდებულების შესრულების აღმნიშვნელ ტერმინად ძირითადად გამოიყენება ტერმინი – ქმედება.

39. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მხარეთა უფლებები, თავისი სამართლებრივი ბუნებით მიეკუთვნება რელატიურ (შეფარდებით) უფლებათა რიცხვს. რელატიური უფლება არის განსაზღვრული პირის მიმართ შესრულების მოთხოვნის უფლებამოსილება. იგი მიმართულია არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ განსაზღვრული პირის მიმართ კონკრეტული ვალდებულების შესასრულებლად. რელატიური უფლება წარმოიშობა ნამდვილი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე.

40. ნარდობის ხელშეკრულებით მენარდის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო 361-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

41. ნარდობის ხელშეკრულებით, შემკვეთის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს, მიიღოს შესრულებული სამუშაო და გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური.

42. ნარდობა ძირითადად მოწესრიგებულია სსკ-ის, 629-ე-656-ე მუხლებით. სსკ-ის 636-ე მუხლი (შემკვეთის უფლება აქვს სამუშაოს დასრულებამდე ნებისმიერ დროს თქვას უარი ხელშეკრულებაზე, მაგრამ მან უნდა აუნაზღაუროს მენარდეს შესრულებული სამუშაო და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი) კი, შემკვეთს ანიჭებს ხელშეკრულების შეწყვეტის თავისუფალ უფლებას. რაც იმას ნიშნავს, რომ კანონი მას არ ავალდებულებს, იმოქმედოს ზოგადი წესების მიხედვით, რომლის თანახმადაც უმეტეს შემთხვევაში, შეწყვეტის მნიშვნელოვანი საფუძველი უნდა არსებობდეს (მაგ. 399-ე მუხლი) ან, კიდევ დაიცვას შეწყვეტის ვადები ან წინასწარ გააფრთხილოს მენარდე (სსკ-ის 405.1 მუხლი), თუმცა იგი ვალდებულია, მენარდეს აუნაზღაუროს ხელშეკრულების შესრულებული ნაწილი.

43. ნორმის დეფინიციით, ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში უპირატესობა ენიჭება შემკვეთს, რომელსაც უპირობოდ, სამუშაოს დასრულებამდე, ნებისმიერ დროს, შეუძლია, ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება. მენარდის ინტერესების დასაცავად და მხარეთა შორის უფლებებისა და მოვალეობების გონივრული ბალანსის შესანარჩუნებლად, შემკვეთს ეკისრება ვალდებულება, ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში, მენარდეს აუნაზ-

ლაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაო.

44. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს სახელმეკრულებო სამართლის ფარგლებში მოწესრიგებულ ურთიერთობათა ცალკეულ ნორმებზე: მაგ. ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველზე (სსკ-ის 484-ე მუხლი), რომელიც გარიგების ყოველი მხარისათვის ადგენს შესაძლებლობას, უარი თქვას თავისი ვალდებულების შესრულებაზე, თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება მეორე მხარის მიერ მოვალეობათა მნიშვნელოვანი ნაწილის შეუსრულებლობისა, იქვეა დათქმა უარის თქმის დაუშვებლობაზე; საგულისხმოა, მაგალითად, სხვა ნორმებიც: ხელშეკრულების მოშლა დამქირავებლის ინიციატივით (სსკ-ის 541-ე მუხლი), დაზღვევის შეწყვეტა ქონების გასხვისებისას (სსკ-ის 835-ე მუხლი), რომელთა მიხედვითაც, ურთიერთობის შეწყვეტამდე გარკვეული წინაპირობები უნდა არსებობდეს და იქნეს დაცული. სამოქალაქო კოდექსის ცალკეულ ინსტიტუტებთან შედარებისას და სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ურთიერთობისათვის ამოსავალი პრინციპის – კონტრაჰენტთა კეთილსინდისიერების გათვალისწინებით (სსკ-ის 8.3 მუხლი), შეიძლება ითქვას, რომ ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაში 636-ე მუხლი არის ის სპეციალური რეგულაცია, რომელსაც არ სჭირდება წინაპირობების დაცვა (მდრ. სუსგ №ას-901-851-2015, 05.02.2016წ).

45. რაც შეეხება თავად ნორმის გამოყენების წინაპირობებს, ამკარა უნდა იყოს: ა) სამუშაოს დასრულებამდე შემკვეთის ინიციატივით ხელშეკრულების მოშლა; ბ) ხელშეკრულების მოშლამდე სამუშაოს ნაწილის შესრულება; გ) ხელშეკრულების მოშლით მენარდისათვის ზიანის მიყენება; დ) მენარდის სასარგებლოდ გადახდის განუხორციელებლობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში მენარდის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 629.1 და 648-ე მუხლების საფუძველზე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე წარმოშობილია, ნამდვილი და განხორციელებადია, კერძოდ:

46. დადგენილია, რომ შემკვეთმა 2019 წლის 26 მარტს ხელშეკრულება შეწყვიტა, ასევე დადგენილია, რომ მენარდმა სამუშაოების ნაწილი შეასრულა, რომლის მოცულობა მოსარჩელემ – 105 139.77 ლარით შეფასა, რაც ინსპექტირების ანგარიშით დადასტურდა, რომლის საწინააღმდეგო მტკიცებულება (გარდა ზეპირსიტყვიერი განმარტებისა) მოპასუხეს/კასატორს საქმეში არ წარუდგენია, შესაბამისად, მოთხოვნის ამ ნაწილში სარჩელი მართებულიად დაკმაყოფილდა.

47. რაც შეეხება ზიანის ანაზღაურებას იგი მოსარჩელის მტკი-

ცების ტვირთია. მხარემ, ამ შემთხვევაში, მენარდემ, სარწმუნოდ უნდა დაადასტუროს, რომ მას ხელშეკრულების მოშლით ზიანი მიადგა. სსკ-ის 408.1 მუხლის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ხოლო სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისათვისაც. მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად კი, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს;

48. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისათვის ზიანის – 6847 ლარის ანაზღაურებას ითხოვდა იმ საფუძველით, რომ ეს თანხა პირველი მიღება-ჩაბარების აქტით მოთხოვნილ – 91 791 ლარზე სარჩელის შეტანამდე (145 დღეზე), დარიცხულ 0.05%-ის (6654) და საბოლოო შესრულების თანხასთან სხვაობის – 13348 ლარის, 29 დღის პერიოდში 0.05%-ის დარიცხვით მიღებული 193 ლარის ჯამია ($6654 + 193 = 6847$).

საკასაციო სასამართლო უარყოფს მოსარჩელის მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მხარეს ხელშეკრულების ვადამდე მოშლის ან სხვა საფუძველით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოემგება მხოლოდ სათანადო და დეტალური დასაბუთების პირობებში. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მოსარჩელის სტადიაზე, მოთხოვნის საფუძვლიანობის დასადასტურებლად მხარეს არ აქვს მითითებული საკმარისი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა გაბათილების და უარყოფის ვალდებულება მოპასუხეს დაეკისრებოდა. მეტიც, სასარჩელო განცხადება მოპასუხისთვის 6847 ლარის დაკისრების ნაწილში მინიმალურ არგუმენტაციასაც კი არ შეიცავს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელის წარუმატებლობას მოთხოვნის ფაქტობრივი წინაპირობების არასაკმარისობა და უსაფუძვლობა განაპირობებს. მოსარჩელემ ვერ დაასახელა, კონკრეტულად რა ქმედებები განხორციელდა, რაში შეეშალა ხელი მოპასუხის მხრიდან, რატომ არ შეეძლო მოპასუხეს ხელშეკრულება შეენწყვიტა და სხვა. საქმეში არც იმგვარი მტკიცებულება წარდგენილა, რაც სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების წინაპირობას შექმნიდა და ასეთ ვი-

თარებაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოსარჩელისთვის ზიანის მიყენების ფაქტობრივი გარემოება არ არის დასაბუთებული, რაც ამ ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის უარყოფის საფუძველია.

49. სსსკ-ის 55.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებით განეული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლის სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილებულია. ამდენად, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 342.35 ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 399-ე, 372-ე, 264.3, 404-ე, 408.3, 409-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის განჩინება გაუქმდეს იმ ნაწილში, რომლითაც უცვლელად დარჩა ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2019 წლის 30 აგვისტოს გადაწყვეტილება მოპასუხისთვის 6847 ლარის დაკისრების შესახებ;

3. შპს „Né... ს-ო ს-ო ს-ოს“ სასარჩელო მოთხოვნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიისთვის 6847 ლარის დაკისრების ნაწილში არ დაკმაყოფილდეს;

4. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 15 აპრილის განჩინება დარჩეს უცვლელად;

5. შპს „Né... ს-ო ს-ო ს-ოს“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 342.35 ლარის გადახდა;

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. დაზღვევა

სადაზღვევო შეთანხმების დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურება

განმარტება საქართველოს სახელით

№ას-1401-2019

7 აპრილი, 2020 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ჯ-ი“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, კომპანია ან დამზღვევი) სადისტრიბუციო კომპანიაა, რომლის საქმიანობის სფერო „ფ. მ-ის“ მიერ წარმოებული სხვადასხვა დასახელების თამბაქოს საქართველოს ტერიტორიაზე განაწილება. კომპანიამ 2017 წლის 6 აპრილს სს „სადაზღვევო კომპანია ...“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, სადაზღვევო კომპანია ან მზღვეველი) დადებული შეთანხმებით დააზღვია ტვირთი და ის ფინანსური ზარალი, რომელიც გამოწვეული იქნებოდა დამზღვევთან შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მომუშავე დისტრიბუტორის (სავაჭრო აგენტის) მიერ იმ თანხის მითვისებით, რომელიც დამზღვევს უნდა მიეღო კუთვნილი პროდუქციის რეალიზაციის შედეგად და რომლის ოდენობაც წინასწარ, საქონლის გადაცემის მომენტში დაფიქსირდებოდა, გარდა ქურდობისა და ტვირთის დანიშნულების ადგილას მიუტანლობის შემთხვევებისა.

2. მზღვეველმა დაზღვეულის სახელზე ტვირთის დაზღვევის ღია პოლისი გასცა. დაზღვეულ რისკებად ტვირთის დაზღვევა და ფინანსური ზარალი, სადაზღვევო პრემია – 18500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი, ხოლო თითოეულ გადაზიდვაზე/სადაზღვევო შემთხვევაზე ანაზღაურების მაქსიმალური ლიმიტი 120 000 ლარით განისაზღვრა. დაზღვევის პერიოდი ვრცელდებოდა 06.04.2017-დან – 05.04.2018 წლამდე დამდგარ სადაზღვევო შემთხვევებზე.

3. 2018 წლის 24 იანვრის დაზარალებულად ცნობის შესახებ დადგენილების მიხედვით, მოსარჩელეს მ. ბ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე კომპანიის თანამშრომელი ან სავაჭრო აგენტი) მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით – 12 070,35 ლარის, ხოლო მ. ჯ-ის (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე კომპანიის თანამშრომელი ან სავაჭრო აგენტი) მოქმედებით – 28 212,95 ლარის ზიანი მიადგა.

4. ზემოაღნიშნულ ფაქტებზე დაყრდნობით 2018 წლის 10 მაისს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ სადაზღვევო შემთხვევის (ფინანსური ზარალის) დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლით სარჩელი არ ცნო; ის ამტკიცებდა, რომ სადაზღვევო შემთხვევა არ დამდგარა, რადგანაც დაზღვეული იყო არა ზოგადად ფინანსური ზარალი ან/და დისტრიბუტორთა მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით დამდგარი ზიანი, არამედ მათ მიერ დამზღვევის კუთვნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული კონკრეტული თანხა.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით – სარჩელი უარყოფილ იქნა; სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში სსკ-ის, 799-ე მუხლი გამოიყენა.

7. მოსარჩელემ სააპელაციო საჩივრით გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 13 ივნისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი უარყოფილ იქნა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

8.1. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ მოთხოვნილი თანხა ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა, რადგან, დაზღვეული რისკების შინაარსის გათვალისწინებით, ვლინდებოდა ის საგამონაკლისო შემთხვევა (ტვირთის ადგილზე მიუტანლობა), რაც მზღვეველს შეთანხმების მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებდა.

9. განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილება.

9.1. კასატორის მტკიცებით, სასამართლომ არასწორად მიიჩნია, რომ სავაჭრო აგენტების ქმედება არ წარმოადგენდა დაფარული რისკის კატეგორიას, რადგან მათ პროდუქცია არ მიუთვისებიანთ და ისინი რეალიზაციის მიზნით მოქმედებდნენ. გარდა ამისა, ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ არასწორად მიიჩნია პროდუქ-

ციის დანიშნულების ადგილზე მიუტანლობა, კომპანიაში პროდუქციის დაუბრუნებლობის შემთხვევად.

10. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 22 იანვრის განჩინებით, სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულია განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

11. სსსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებული პრეტენზია გულისხმობს მითითებას იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურსამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით არ წარმოუდგენია დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

12. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეებისათვის – 40 283,30 ლარის დაკისრების მოთხოვნის უსაფუძვლობას, სსკ-ის 799-ე (დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა, აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად) და 820-ე (ზიანის დაზღვევისას მზღვეველმა ზიანი უნდა აანაზღაუროს ფულით) მუხლების წინაპირობების არარსებობა განაპირობებს. შესაბამისად, პალატა თვლის, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ სათანადოდ გამოიკვლია და დაადგინა, რომ მოთხოვნა არ წარმოშობილა, რადგანაც ზემოაღნიშნული ნორმებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განმაპირობებელი ყველა ფაქტობრივი წინაპირობა არ იყო განხორციელებული. კერძოდ, სარჩელი დაკმაყოფილებადი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ ადგილი ექნებოდა შეთანხმებით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკის, ანუ მოვლენის, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობისა და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა, რეალიზაციის შედეგად დამდგარი სადაზღვევო შემთხვევით (მოვლენა, რომლის დადგომისას სადაზღვევო ხელშეკრულება ითვა-

ლისწინებს სადაზღვევო ანაზღაურების გადახდას) კომპანიისათვის ზიანის მიყენებას.

13. პირველ რიგში საკასაციო სასამართლო კასატორის ყურადღებას მიაქცევს სამოქალაქო საპროცესო სამართალში მტკიცების ტვირთის სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტის არსებობაზე, რომლის თანახმად, მტკიცების ტვირთი უნდა განაწილდეს იმგვარად, რომ მოსარჩელესა და მოპასუხეს დაეკისროთ იმ ფაქტების დამტკიცების ვალდებულება, რომელთა მტკიცება მათთვის ობიექტურად შესაძლებელია. სსკ-ის მე-4 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

14. დადგენილია რომ, სავაჭრო აგენტების ფუნქცია მარშრუტების მიხედვით რეგულარულად დაფარვის უზრუნველყოფა და გემისა და მარშრუტების მიხედვით ვიზიტების განხორციელება იყო; ასევე დადგენილია, რომ სავაჭრო აგენტებმა მათთვის განკუთვნილი ობიექტებში პროდუქციის შეტანის შემდეგ ავტომობილის ბორტში დარჩენილი თამბაქოს პროდუქცია, შემდგომში მისი უფრო მაღალ ფასში გაყიდვის მიზნით მესამე პირს მიაწოდეს და მათივე განმარტებით, ისინი ამონაგები თანხიდან პროდუქციის ღირებულების კომპანიისათვის დაბრუნებას აპირებდნენ. ამ გარემოების გამაბათილებელი დამაჯერებელი მტკიცებულება კი, საქმეზე წარმოდგენილი არ არის, რაც საკასაციო პალატას უქმნის იმ დასკვნის გამოტანის საფუძველს, რომ სავაჭრო აგენტები სახელშეკრულებო ვალდებულების საწინააღმდეგოდ დაეუფლნენ მათთვის გადაცემულ ტვირთს. ამდენად, შეთანხმებით გათვალისწინებული სადაზღვევო რისკით/ფინანსური ზარალით ანუ სავაჭრო აგენტების მიერ დამზღვევის კუთვნილი პროდუქციის რეალიზაციით მიღებული თანხის მითვისებით, კომპანიისათვის ზიანის მიყენებას ადგილი არ აქვს, ასეთ შემთხვევაში კი, ვლინდება ის საგამონაკლისო შემთხვევა, რაც მზღვეველს შეთანხმების მიხედვით, ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებს. ამდენად, მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო მისი მტკიცების საგანში შემავალი გარემოების – დაფარული რისკის არსებობის დამტკიცება, მით უფრო, რომ კასატორს დავის ეს ნაწილი საკასაციო პრეტენზიებში სათანადო დასაბუთებით არ გაუმყარებია. ამდენად, განსა-

ხილველ შემთხვევაში, არ ვლინდება სსკ-ის 799-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების) განმაპირობებელი წინაპირობები (წინამძღვრები).

15. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain [GC]* par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France [GC]*, par. 81); *Boldea v. Romania*, par. 30). ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა დეტალურად აღარ იმსჯელებს განსახილველი საკასაციო საჩივრის ყველა პრეტენზიაზე.

16. სსკ-ის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო არ აკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, ვინაიდან სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ განჩინებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა.

17. კასატორმა სახელმწიფო ბაჟი გადაიხადა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, 264.3, 408.3, 410-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ჯ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 13 ივნისის განჩინება დარჩეს უცვლელად;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

დამზღვავის ბრალი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1091-2022

23 თებერვალი, 2023 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
მ. ერემაძე

დავის საგანი: სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად
გადასახდელი სადაზღვევო თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ვ. გ-ემ (შემდეგში: მოსარჩელე ან აპელანტი ან მოწინააღმდეგე მხარე) სარჩელი აღძრა სს „ს.კ.ე.ჯ-ას“ (შემდეგში: მოპასუხე ან კასატორი) მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხისათვის 9 580 ლარის გადახდის დაკისრება.

2. სარჩელი დაფუძნებულია შემდეგ გარემოებებზე: 2020 წლის 29 ივლისს მხარეთა შორის, გაფორმდა ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება).

3. 2020 წლის 24 აგვისტოს მოსარჩელე კუთვნილი ავტომობილით მოძრაობდა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე. მოსარჩელემ ავტომობილის შემობრუნების მიზნით ციმციმა მაშუქის ჩართვის შემდეგ საჭე აიღო მარცხენა მხარეს. ვინაიდან მანევრის დაწყების შემდეგ მოულოდნელად გამოჩნდა სწრაფად მოძრავი ავტომობილი, შეჯახების თავიდან აცილების მიზნით, მოსარჩელემ მოუმატა სიჩქარეს, რა დროსაც, ავტომობილი მოცურდა და შეეჯახა იქვე მდგომ ორ ავტომობილს.

4. ხელშეკრულება, მოსარჩელის ავტომობილის გარდა, მოიცავდა მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევას. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირთა ავტომობილებისათვის მიყენებულმა ზიანმა (აღდგენითი სამუშაოების ღირებულებამ), მოსარჩელის ავტომობილის აღდგენითი სამუშაოების ჩათვლით, შეადგინა 9580 ლარი. მოპასუხემ 2020 წლის 12 ოქტომბრის წერილით უარი განაცხადა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე.

5. მოპასუხემ მოთხოვნის გამომრიცხველ შედავებაში სადავო

გახდა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საკითხი, იმ საფუძვლით, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა დადგა მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობით (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 829-ე მუხლი) და განმარტა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევაში სამართალდამრღვევ პირად 2020 წლის 24 აგვისტოს ელექტრონული საჯარიმო ქვითრით (ასევე თანდართული პატაკით) მიჩნეულ იქნა მოსარჩელე. 24.08.2020წ. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2021 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით, სარჩელი მოპასუხისათვის თანხის დაკისრების შესახებ, იმ საფუძვლითაა უარყოფილი, რომ 24.08.2020წ. მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზი იყო დამზღვევის (მოსარჩელე) მოქმედება, რომელიც არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტს და რომელთა დაცვის შემთხვევაშიც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

7. მოსარჩელის მიერ „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების დარღვევა შეფასდა სამართალდარღვევად; სამართალდარღვევის ოქმი მოსარჩელემ არ გაასაჩივრა და შესულია კანონიერ ძალაში.

8. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, „მერსედეს ბენცი“ ...-ს მძღოლის, მოსარჩელის მოქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, მე-3 და 33-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მოთხოვნებს, რომელთა დაცვის პირობებში, მოცემულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

9. საქალაქო სასამართლომ მოსარჩელის მიერ 24.08.2020წ. „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაუცველობა შეაფასა „უხეშ გაუფრთხილებლობად“, რაც სსკ-ის 829-ე მუხლის შესაბამისად, მზღვეველს ათავისუფლებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

10. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

11. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 02 ივნისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა საქმეზე გამოტანილი სა-

ქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 9 580 ლარის გადახდა.

12. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2020 წლის 29 ივლისს მხარეებს შორის გაფორმდა ავტოტრანსპორტის და მის მართვასთან დაკავშირებული რისკების დაზღვევის ხელშეკრულება, რომლითაც მოსარჩელის ავტომობილის გარდა, ასევე დაზღვეულ იქნა მოსარჩელის პასუხისმგებლობაც მესამე პირთა წინაშე.

13. 2020 წლის 24 აგვისტოს მოსარჩელე კუთვნილი ავტომობილი მოძრაობდა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე, რა დროსაც ავტომობილის შემობრუნების მიზნით განხორციელებული მანევრს შედეგად მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევა: მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილი მოცურდა და შეეჯახა იქვე მდგომ „SUBARU“-სა და „OPEL“-ის მარკის ავტომობილებს; მოსარჩელისა და მესამე პირთა დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითმა ღირებულებამ ჯამში შეადგინა 9 580 ლარი.

14. მოპასუხემ უარი განაცხადა მოსარჩელის მიერ მოთხოვნილ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითი ღირებულების ანაზღაურებაზე.

15. ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევად (სამართალდამრღვევად) შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ამავე თარიღით შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმით ცნობილ იქნა მოსარჩელე. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

16. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებით, დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა ისეთ სადაზღვევო რისკს წარმოადგენს, რომელიც სადაზღვევო კომპანიის მხრიდან ანაზღაურებას ექვემდებარება.

17. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში – სსკ-ის) 799-ე მუხლის პირველი ნაწილით, 829-ე მუხლით და განმარტა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულებაში აუცილებელია საგამონაკლისო პირობები გარკვევით, ამომწურავად და სტრუქტურირებულად იყოს აღწერილი; კითხვაზე პასუხის გასაცემად, თუ რამდენად შეიძლება, სადაზღვევო კომპანიის მხრიდან, სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურებაზე უარი, სააპელაციო სასამართლომ პირველ რიგში გამოიკვლია დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმებისას, გამოხატული მხარეთა ნება (სსკ-ის 52-ე მუხლი). სააპელაციო სასამართლოს მითითე-

ბით, ნების განმარტება უნდა მოხდეს იმდაგვარად, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებები, გარემოებები, ასევე, მხარეთა განმარტებები ერთ მთლიან ლოგიკურ ჯაჭვს ქმნიდეს და ობიექტური დამკვირვებლისთვის, განვითარებულ ფაქტებსა და გამოხატულ ნების განმარტებას შორის დადგენილი კანონზომიერება, მოულოდნელი/გაუგებარი არ იყოს. ნების განმარტება უნდა განხორციელდეს განსამარტ ტექსტთან მჭიდრო კავშირში, ნების განმარტება ადეკვატური უნდა იყოს ხელშეკრულების დადებისას არსებულ ფაქტებთან, ვითარებასთან და მოვლენათა განვითარებასთან, ასევე, ნების განმარტება გონიერი ადამიანის განსჯის სტანდარტიდან უნდა გამომდინარეობდეს.

18. სააპელაციო სასამართლომ უარყო საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო გარემოება, რომ 24.08.2020წ. მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევი მიზეზი იყო მოსარჩელის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამებოდა „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სტანდარტს და რომელთა დაცვის შემთხვევაში საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

19. სააპელაციო სასამართლომ უარყო საქალაქო სასამართლოს დასკვნა, რომლითაც მოსარჩელის ქმედება შეფასდა „უხეშ გაუფრთხილებლობად“.

20. სააპელაციო სასამართლომ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის პირობებში, მოსარჩელეს დააკისრა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის და ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობის დადასტურების ტვირთი, ხოლო მოპასუხეს – ზიანის ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის ან ზიანის შემცირებული მოცულობით ანაზღაურების გარემოებების ტვირთი.

21. სსკ-ის 829-ე მუხლის (მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით) საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო კანონმდებლობა არ იძლევა უხეში გაუფრთხილებლობის საკანონმდებლო განმარტებას. მისი არსებობა უნდა დადგინდეს ყოველი კონკრეტული შემთხვევის განმაპირობებელი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლივი და ლოგიკური შეფასების შედეგად. მძღოლის უხეში გაუფრთხილებლობა არის მეტი სიმეტი დაუდევრობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელ ყურადღებას არ იჩენს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. ყოველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ შეიძლება ჩაითვალოს უხეშ დარღვევად.

22. მოსარჩელე დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარ-

ღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის დარღვევის გამო, რაც ითვალისწინებს, მძღოლის დაჯარიმებას მანევრირების წესების დაუცველობისას.

23. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზის შედეგად, სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მხრიდან არ ჰქონდა ადგილი უხეში გაუფრთხილებლობის სამართლებრივ კომპონენტს.

24. მოპასუხის უარი ზარალის ანაზღაურებაზე დაეფუძნა 2020 წლის 16 სექტემბრის ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლის მიხედვითაც ირკვევა, რომ შემთხვევის ადგილზე მოცურებისა და მუხრუჭების კვალის არ არსებობის გამო შეუძლებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წინ ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის ექსპერტიზის გზით განსაზღვრა. მოსარჩელემ (აპელანტი) სადავოდ გახადა ექსპერტიზის დასკვნა, იმ მოსაზრებით, რომ დასკვნა სრულად ეყრდნობა ვარაუდებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობას და სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა. მოსარჩელისთვის გაუგებარია, დასკვნის შემდეგ პუნქტში, იმავე მასალებზე დაყრდნობით, ექსპერტის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ ავტომობილი მოძრაობდა დაახლოებით 30-40 კმ/სთ სიჩქარით და მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე. საბოლოოდ ექსპერტი ასკვნის, რომ მის (ექსპერტის) მიერ ნაგარაუდები სიჩქარე 30-40 კმ/სთ აღემატებოდა უსაფრთხო მოძრაობისთვის საჭირო სიჩქარეს.

25. დადგენილია, რომ 17.03.2021წ. საქალაქო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა ექსპერტმა განმარტა, რომ მართალია მუხრუჭების კვალი გადასაადგილებელ ზედაპირზე არ შეიმჩნეოდა, თუმცა მისი პრაქტიკული გამოცდილების, ჩატარებული ცდებისა და სპეციალური ცოდნის გათვალისწინებით ექსპერტმა შესაძლებლად ჩათვალა გადაადგილების სიჩქარის დადგენა. კვალის არსებობის შემთხვევაში ის შეძლებდა გადაადგილების არა სავარაუდო, არამედ ზუსტი სიდიდის დადგენას. ექსპერტმა დასკვნის შედგენის დროს ისარგებლა მისთვის გადაცემული დოკუმენტებისა და სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებით. ავტომობილი პირადად არ უნახავს, არ დაუთვალიერებია. მთავარი გამომწვევი მიზეზი შემთხვევისა იყო არასწორად შერჩეული დასაშვებზე მაღალი სიჩქარე. ზოგადად მსგავს შემთხვევებში 180 გრადუსიანი მოხვევის მანევრის შესრულება დასაშვებია 15-20 კმ/სთ, მაქსიმუმ 25 კმ/სთ სიჩქარით. კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეული იყო მოხვევის მანევრის შესრულების რამდენიმე წინაპირობა:

1. როდესაც მოხვევის წინ მძღოლი შეამჩნევს საპირისპირო ზოლ-

ში მოძრავ ავტომობილს ვალდებულია გზა დაუთმოს მას (ვინაიდან იგი სარგებლობს გავლის უპირატესობით); 2. თუ კი მძღოლი საპირისპირო ზოლში მოძრავი ავტომობილის შემჩნევის მიუხედავად გადანყვეტს მოხვევას, იგი ვალდებულია მანევრი შეასრულოს უსაფრთხოდ – დასაშვები სიჩქარით; 3. ნებისმიერ შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია მის მიერ განხორციელებულ მანევრს არ მოჰყვეს საგზაო შემთხვევა. მანევრის შესრულების დროს მოძრავი ავტომობილის სიჩქარე 30-40 კმ/სთ-ში უნდა ყოფილიყო, რაც დასაშვებზე მაღალია. ხსენებულ პირობათა დარღვევას მოჰყვა საგზაო შემთხვევა.

26. პირველი ინსტანციის სასამართლოში მოსამართლის მიერ დასმული შეკითხვა – მოსარჩელის მიერ განხორციელებული ქმედებების მარტივ თუ უხეშ გაუფრთხილებლობის სტანდარტით შეფასებასთან დაკავშირებით – რომელზეც ექსპერტის პასუხი იყო შემდეგი შინაარსის: საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონი არ ცნობს გაუფრთხილებლობის ცნებას, თუმცა ნებისმიერი სამართალდარღვევა ავტომობილის ექსპლუატაციით გამოწვეული, რასაც საგზაო შემთხვევა მოჰყვება უნდა შეფასდეს როგორც „უხეშში გაუფრთხილებლობა“. ისეთი სამართალდარღვევები, რასაც არ მოჰყვება საგზაო შემთხვევის დადგომა (მაგ. ვიდეოჯარიმებით დასჯადი) წარმოადგენს მარტივ გაუფრთხილებლობას, რამეთუ ზემოაღნიშნული სცილდება ექსპერტის კომპეტენციას და სასამართლოს შეფასების/მსჯელობის საგანს წარმოადგენს, დაადგინოს მოსარჩელის მიერ განხორციელებული ქმედება წარმოადგენს მარტივ გაუფრთხილებლობას თუ შეიცავს უხეში გაუფრთხილებლობის სამართლებრივ კომპონენტს – სააპელაციო სასამართლომ არაღელვანტურად მიიჩნია.

27. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, ქმედების ასეთ კატეგორიებად დაყოფა, უხეში გაუფრთხილებლობის პირობებში გამოირჩეხავს სადაზღვევო ვალდებულებების შესრულებას, ხოლო მარტივი გაუფრთხილებლობა თავისთავად არ წარმოშობს სადაზღვევო შემთხვევას, რაც თავის მხრივ, გაუფრთხილებლობით ჩადენილ მოქმედებებს/აქტებს, ყოველგვარი ბრალის (განზრახვის, გაუფრთხილებლობის), აქცევს მზღვეველის გათავისუფლების ნიშპირობად, რითიც უკარგავს დაზღვევას აზრს.

28. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აპელანტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ გამოიხატება უხეშ გაუფრთხილებლობაში, რადგან მისი მხრიდან ადგილი არ ჰქონია აუცილებელი წინდახედულობის ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას. ამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინ-

დახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, ქარაფშუტულად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრავი ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არდათმობა, ავტომანქანის სამართავედ გადაცემა მართვის უფლების არმქონე, ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ. (სუსგ №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.).

29. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ექსპერტიზის დასკვნა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებს და ვარაუდებს ემყარება და იძლევა მძღოლის მოქმედების მარტივ, და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას. შესაბამისად, დაასკვნა, რომ დამზღვევის მხრიდან ადგილი არ ჰქონდა აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას და არამართლობიერია ამ მოტივით სადაზღვევო კომპანიის უარი ზიანის ანაზღაურებაზე.

30. უდავო გარემოების გათვალისწინებით, რომ 24.08.2020წ. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზიანებულ მოსარჩელისა და მესამე პირთა ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითმა ღირებულებამ ჯამში შეადგინა 9580 ლარი, სააპელაციო პალატის მიხედულებით, სრულად უნდა დაექვემდებაროს ანაზღაურებას მოპასუხის მიერ.

31. ზემოაღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც მოთხოვა გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა.

32. კასატორის მოსაზრებით, ბრალის ხარისხის შეფასებისას სააპელაციო სასამართლოს მხრიდან არ იქნა გათვალისწინებული შემდეგი:

33. ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო მოსარჩელის ბრალით, კერძოდ, „უხეში გაუფრთხილებლობით“, რაც სსკ-ის 829-ე მუხლის მიხედვით წარმოადგენს ისეთ საგამონაკლისო შემთხვევას, რომლის დროსაც მოპასუხე თავისუფლდება ზარალის ანაზღაურების მოვალეობისაგან.

34. მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა დადგენილია, როგორც საქმეში არსებული ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმით (რომელიც არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში), ასევე, საქმეში არსებული სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით. ექსპერტის დას-

კვნა ემყარება საქმეში არსებულ მტკიცებულებებს, ფოტო მასალას, საპატრულო დოკუმენტაციას და არ არსებობდა სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დასკვნის დასაბუთებულობაში ეჭვის შეტანის საფუძელი. დასკვნაში მითითებულია, რომ მოსარჩელემ ვერ დაიმორჩილა საჭე და დაახლოებით 30-40 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის პირობებში შეეჯახა გაჩერებულ ავტომობილებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოძრაობის დაწყების წინ მონინალმდევე მხარე უნდა დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ განხორციელებული მანევრი იქნებოდა უსაფრთხო, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. აგრეთვე, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მოცემულ საგზაო სიტუაციაში, ავტომობილის ფაქტიური სიჩქარე აღემატებოდა უსაფრთხო მოძრაობისთვის საჭირო სიჩქარეს, რასაც მოჰყვა ა/მანქანის მოცურება და სადგომზე გაჩერებულ ავტომანქანებთან შეჯახება. აქედან გამომდინარე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ავტომობილი მერსედეს ბენცი, სახ №... საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევამდე იმყოფებოდა ტექნიკურად გამართულ მდგომარეობაში, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ ასეთ პირობებში, მძღოლის ქმედება არ შეესაბამება „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა („მძღოლს უნდა ჰქონდეს სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის საჭირო აუცილებელი ცოდნა და უნარ-ჩვევები“) და 33-ე მუხლის პირველი (... „შერჩეული სიჩქარე მძღოლს საშუალებას უნდა აძლევდეს, მუდმივად აკონტროლოს სატრანსპორტო საშუალება ისე, რომ დაცულ იქნეს მოძრაობის უსაფრთხოება“) პუნქტების მოთხოვნებს, რომელთა დაცვის პირობებში, მოცემულ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევას ადგილი არ ექნებოდა.

35. კასატორი მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს 17.03.21წ. სხდომაზე ექსპერტის მიერ მიცემულ განმარტების შინაარსზე, რომლის თანახმადაც, მთავარი გამომწვევი მიზეზი შემთხვევისა იყო არასწორად შერჩეული, დასაშვებზე მაღალი სიჩქარე, კონკრეტულ შემთხვევაში, დარღვეული იყო მოხვევის მანევრის შესრულების რამდენიმე წინაპირობა:

35.1. მოხვევის წინ მძღოლი შეამჩნევს საპირისპირო ზოლში მოძრავ ავტომობილს (რაზეც აპელირებს აპელანტი ზეპირად, თუმცა აღნიშნული მითითებული არ არის საპატრულო პოლიციის მიერ შედგენილ დოკუმენტაციაში), ვალდებულია გზა დაუთმოს მას (ვინაიდან სარგებლობს გავლის უპირატესობით). ამის საწინააღმდეგოდ, კასატორი სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს მონინალმდევე მხარის მიერ 2021 წლის 10 მარტის სხდომაზე მიცემულ განმარტებაზე, რომლის მიხედვითაც, მოსარჩელე ადასტურებს, რომ მოძრაობისას მან მოუმატა სიჩქარეს, „... აბა ხომ არ დამეჯახებო-

და მანქანაო“..., ამდენად, მისი სუბიექტური დამოკიდებულება და გადაწყვეტილება იყო სწორედ სიჩქარის მომატება და იმ მანევრის შესრულება, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა;

35.2. თუ კი მძღოლი საპირისპირო ზოლში მოძრავი ავტომობილის შემწნევის მიუხედავად გადაწყვეტს მოხვევას, იგი ვალდებულია მანევრი შეასრულოს უსაფრთხოდ – დასაშვები სიჩქარით;

35.3. ნებისმიერ შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია მის მიერ განხორციელებულ მანევრს არ მოჰყვეს საგზაო შემთხვევა. მანევრის შესრულების დროს მოძრავი ავტომობილის სიჩქარე 30-40 კმსთში უნდა ყოფილიყო, რაც ექსპერტის შეფასებით, დასაშვებზე მაღალია. სწორედ ხსენებულ პირობათა დარღვევას მოჰყვა საგზაო შემთხვევა.

36. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე ექსპერტი ასკვნის, რომ მძღოლი, მოძრაობის დაწყების წინ უნდა დარწმუნებულიყო რომ მის მიერ განხორციელებული მანევრი იქნებოდა უსაფრთხო, რასაც წარმოდგენილი მასალების მიხედვით ადგილი არ ჰქონია; მეტიც, მოსარჩელემ 2021 წლის 10 მარტის სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ მისი შეგნებული გადაწყვეტილება იყო სიჩქარის მომატება (სწორედ ამ ნაწილშიც იყო მნიშვნელოვანი სასამართლოს მხრიდან შეფასებულიყო და დადგენილიყო უხეში გაუფრთხილებლობის შემადგენლობა).

37. კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ დაუსაბუთებლად მიიჩნია დადასტურებულად, რომ კასატორის მოქმედება არ წარმოადგენს „უხეშ გაუფრთხილებლობას“, რასაც შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა.

სამოტივაციო ნაწილი:

38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 23 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2022 წლის 22 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით. ამავე განჩინებით დადგინდა საქმის განხილვა ზეპირი მოსმენის გარეშე, რის შესახებაც მოდავე მხარეებს ეცნობათ კანონმდებლობით დადგენილი წესით.

39. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის

საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

40. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია (შედავება).

41. ვინაიდან მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ წინამდებარე განჩინების პპ: 12-15-ში დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, მათ საკასაციო პალატისათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კერძოდ, დადგენილია, რომ 2020 წლის 24 აგვისტოს მოსარჩელე კუთვნილი ავტომობილით მოძრაობდა ქ. თბილისში, ... ქუჩაზე რა დროსაც ავტომობილის შემობრუნების მიზნით განხორციელებულ მანევრს შედეგად მოჰყვა ავტოსაგზაო შემთხვევა: მოსარჩელის კუთვნილი ავტომობილი მოცურდა და შეეჯახა იქვე მდგომ „SUBARU“-სა და „OPEL“-ის მარკის ავტომობილებს. მოსარჩელისა და მესამე პირთა დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენითმა ღირებულებამ ჯამში შეადგინა 9 580 ლარი, რომლის ანაზღაურებაზე მოპასუხემ უარი განაცხადა სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევად მიჩნევის გამო.

42. დადგენილია, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევად (სამართალდამრღვევად) შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ამავე თარიღით შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმით ცნობილ იქნა მოსარჩელე. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

43. წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის ფარგლებში, პალატის მსჯელობის საგანია სადაზღვევო შემთხვევით გამომწვეული ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის კანონიერება.

44. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეებზე დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღებისა და ზოგადად, მართლმსაჯულების განხორციელების საფუძველს წარმოადგენს, იმ საკითხის სწორად განსაზღვრა, თუ რა სამართლებრივი საფუძველიდან გამომდინარეობს მხარეთა შორის წარმოშობილი დავა. ამ მიზნით, საქმის განხილველმა სასამართლომ პირველყოვლისა, უნდა დაადგინოს მოთხოვნის მატერიალური საფუძველი [მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმა]. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა გამოარკვიოს მოდიებული ნორმის წინაპირობები, მისი აბსტრაქტული შემადგენლობა და შეამოწმოს განხორციელებულია თუ არა განსახილველ

საქმეზე ყველა მათგანი. ამ ასპექტში, ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, სასამართლო შეზღუდულია სარჩელის ფაქტობრივი გარემოებებით: იგი ამონმებს რომელ კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებზე მიუთითებს მოსარჩელე, ქმნიან თუ არა ისინი დამფუძნებელი ნორმის უკლებლივ ყველა წანამძღვარს. ამის შემდეგ მომდება, მოპასუხის პოზიცია რამდენად აქარწყლებს წარმოშობილ წანამძღვრებს (პროცესუალური და მატერიალური თვალსაზრისით).

45. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანია კასატორის შედავების საფუძვლიანობა.

46. კასატორი (მოპასუხე) აღნიშნავს, რომ ავტოსაგზაო შემთხვევა გამოწვეული იყო მოსარჩელის ბრალით – „უხეში გაუფრთხილებლობით“, რასაც ადასტურებდა როგორც საქმეში არსებული ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი (რომელიც არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში), ასევე, საქმეში არსებული სატრანსპორტო ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, რომელშიც მითითებულია, რომ მოსარჩელემ ვერ დაიმორჩილა საჭე და დაახლოებით 30-40 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობის პირობებში შეეჯახა გაჩერებულ ავტომობილებს, რაც ნიშნავს იმას, რომ მოძრაობის დაწყების წინ მოსარჩელე უნდა დარწმუნებულიყო, რომ მის მიერ განხორციელებული მანევრი იქნებოდა უსაფრთხო, რასაც აღნიშნულ შემთხვევაში ადგილი არ ქონია; აგრეთვე, საქალაქო სასამართლოს 17.03.21წ. სხდომაზე მოწვეული ექსპერტის განმარტებით მთავარი გამომწვევი მიზეზი სადაზღვევო შემთხვევისა იყო არასწორად შერჩეული, დასაშვებზე მაღალი სიჩქარე, უშუალოდ მოსარჩელემ კი, 2021 წლის 10 მარტის სასამართლო სხდომაზე თავად განაცხადა, რომ მისი შეგნებული გადაწყვეტილება იყო სიჩქარის მომატება (სწორედ ამ ნაწილშიც იყო მნიშვნელოვანი სასამართლოს მხრიდან შეფასებულიყო და დადგენილიყო „უხეში გაუფრთხილებლობის“ შემადგენლობა).

47. საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზიები წარმოდგენილი იქნა, საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით [სსსკ-ის 105-ე, 407.1 და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

48. სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებული ფაქტობრივი გარემოებების ფარგლებში, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 799-ე და 839-ე მუხლების დანაწესი.

49. ამ ტიპის სარჩელის წარმატებულობა, ბუნებრივია, უნდა შემოწმდეს მისი დამფუძნებელი ნორმის/ნორმების წინაპირობებთან მიმართებაში, რაც იმას ნიშნავს, რომ უპირველესად, სასამართლომ სწორად უნდა განსაზღვროს მოთხოვნის მარეგულირებელი სამართლებრივი საფუძველი – კანონის ნორმა, გამოარკვიოს სარჩელში მითითებული ფაქტების შესაბამისობა დამფუძნებელი ნორმის აბსტრაქტულ ელემენტებთან (ფორმალური გამართულობა), დადებითი პასუხის შემთხვევაში, სარჩელსა და შესაგებელში გამოთქმული პოზიციების ურთიერთშეჯერებით გამოარკვიოს სადავო და უდავო ფაქტობრივი გარემოებები (მტკიცების საგანი) და გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების საგანში შემავალი ფაქტების დადასტურების ტვირთი (მტკიცების ტვირთი).

50. საკასაციო სასამართლოს მიერ არაერთ გადაწყვეტილებაშია აღნიშნული, რომ სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმებისას სასამართლო იკვლევს, რამდენად დგინდება სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების ის ერთობლიობა, რომლებიც სასარჩელო მოთხოვნის, ან მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებლის წარმატებას განაპირობებს. სასამართლო ვალდებულია, განსაზღვროს მოთხოვნის ფარგლები (ისე რომ არ გასცდეს მას), მოძებნოს დავის მომწესრიგებელი შესატყვისი სამართლის ნორმა (სპეციალური ან ზოგადი წესი) და დაადგინოს იმ გარემოებათა არსებობა/არარსებობა (ფაქტობრივი გარემოებები), რომლებიც ამ ნორმის გამოყენებისთვის აუცილებელ წინაპირობებს წარმოადგენენ.

51. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე (სუსგ-ები №ას-535-2020, 5 ოქტომბერი, 2021, პ.11; №ას-1306-1226-2015, 01.07.2016წ.).

52. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების არსისა და მასში მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრის თვალსაზრისით, დამფუძნებელ ნორმას სსკ-ის 799-ე მუხლი წარმოადგენს. იმავდროულად, ხელშემკვერელ მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება და-

მოკიდებულია მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების (არსებობის შემთხვევაში ხელშეკრულების დანართების) პირობებსა და დათქმებზე, იმგვარად, რომ კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს, მხარეების მიერ არსებითი პირობის სახით წინასწარ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში (შდრ: ი. გაგუა, ბიზნესდავეები და სასამართლო პრატიკა, 2017, გვ.119).

53. სსკ-ის 799-ე მუხლის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება. დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი (პრემია). მოცემული ნორმის ანალიზის საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივი, სასყიდლიანი და რეალური ხელშეკრულებაა. დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო შენატანი, ხოლო მზღვეველი მოვალეა აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი.

54. დაზღვევის ხელშეკრულება ალექტორულ, ანუ სარისკო გარიგებას წარმოადგენს. ერთი მხრივ, დამზღვევი მიდის რისკზე იმ გაგებით, რომ იხდის სადაზღვევო პრემიას და სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება არც დადგეს ან მზღვეველმა უარი უთხრას დამზღვევეს სადაზღვევო საზღაურის გადახდაზე ან ვერ შეძლოს მისი ანაზღაურება გადახდისუუნარობის გამო; მზღვეველი რისკავს იმ თვალსაზრისით, რომ შედარებით მცირე სადაზღვევო პრემიის მიღების პირობებში, მსხვილი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, იგი ვალდებული ხდება, გადაიხადოს გაცილებით მეტი თანხა (შდრ: ქ. ირემაშვილი, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, 2016, გვ.85.).

55. სსკ-ის 799-ე მუხლით ერთმნიშვნელოვნადაა განსაზღვრული, რომ დაზღვევის მიზანი ფიზიკური და იურიდიული პირების ინტერესების დაცვაა. დაზღვევის ხელშეკრულების საგანია მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, ხოლო ის, თუ რა შეიძლება იყოს დაზღვევის ობიექტი, მოცემულია სსკ-ის 820-ე-858-ე მუხლებში, კერძოდ, ასეთი შეიძლება იყოს ქონება ან პიროვნება. აქედან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება განვიხილოთ, როგორც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვანი გარანტია (შდრ: სუსგ №ას-663-624-2011, 17 თებერვალი, 2012 წელი).

56. სსკ-ის 839-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა გაათავისუფლოს დამზღვევი იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მას ეკისრება მესამე პირის წინაშე დაზღვევის პერიოდში წარმოშობილი პასუხისმგებლობის გამო.

57. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სადაზღვევო ხელშეკრულების ძირითადი მიზანია, ერთის მხრივ, სადაზღვევო კომპანიამ შემოსავალი მიიღოს და მეორეს მხრივ, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დამზღვევს მიყენებული ზიანი აუნაზღაურდეს. (მდრ: ნ. მოწონელიძე, სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, 2016, გვ.42).

58. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულება მხარეთა ვალდებულების განმსაზღვრელი იმ დებულებებისაგან შედგება, რომელიც ხელშემკვრელთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ასახავს (სსკ-ის 327-ე მუხლი) და კანონის თანახმად, სწორედ ამ ჩარჩოშია მოქცეული მათი პასუხისმგებლობის ფარგლებიც (გარდა კანონის იმპერატიული დანაწესებისა). ვალდებულებითი სამართლის ეს უზოგადესი პრინციპი თანაბრად ვრცელდება ყველა სახელშეკრულებო ურთიერთობაზე, რომელთა შორისაცაა დაზღვევის ხელშეკრულება. მეტი სიცხადისათვის შეიძლება ითქვას, რომ კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმები აზუსტებენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმების ზოგად პრინციპს. ამგვარ ნორმათა რიგს განეკუთვნება სსკ-ის 799-ე მუხლი (იხ. სუსგ-ები №ას-535-2020, 5 ოქტომბერი, 2021 წელი, პ.14; №ას-92-88-2016, 11.03.2016წ.). შესაბამისად, მნიშვნელოვანია თავად სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებების შინაარსი (იხ. სუსგ №ას-1319-1257-2014, 30.10.2015წ.).

59. განსახილველ შემთხვევაში, მხარეთა შორის სადავო არ არის ზიანის არსებობის ფაქტი, ზიანის გამომწვევი სუბიექტი, გადაცდომა და არამართლობიერ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის კავშირი. მხარეთა შორის სადავოა მხოლოდ გასაჩივრებული გადანყევითილებით მძღოლის მართლსაწინააღმდეგო ქმედების „უხეშ გაუფრთხილებლობად“ კვალიფიკაცია. შესაბამისად, სადავო შემთხვევის სწორად გადანყევითისათვის უნდა შეფასდეს მძღოლის (მოსარჩელე) ქმედება, კერძოდ, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა თუ არა „უხეშ გაუფრთხილებლობას“, თუ ვლინდება მარტივი გაუფრთხილებლობისათვის დამახასიათებელი ნიშნები. იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდება უხეში გაუფრთხილებლობა, ეს გამორიცხავს მზღვეველის პასუხისმგებლობას (სსკ-ის 829-ე მუხლი) კანონისა და მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების

პირობების შესაბამისად.

60. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სარჩელისაგან მოპასუხის თავდაცვის ისეთ ეფექტურ საშუალებას, როგორიცაა შესაგებელი.

61. შესაგებელი, როგორც მოპასუხის საპროცესო თავდაცვის საშუალება მნიშვნელოვანი ინსტიტუტია სამოქალაქო სამართალწარმოებაში, მასში ვლინდება წერილობითი შეჯიბრებითობის პრინციპი. იგი ასევე ერთგვარი გამოხატულებაა დისპოზიციურობის (სსსკ-ის მე-3 მუხლი) პრინციპისა, რომელიც უზრუნველყოფს მხარეთა საპროცესო უფლებების ავტონომიურად განკარგვის შესაძლებლობას. საპროცესო ავტონომიის ფარგლებში მოპასუხის გადასაწყვეტია ცნობს თუ არა სარჩელს, დაასრულებს თუ არა საქმეს მორიგებით, ან რა სახის საპროცესო თავდაცვის საშუალებას გამოიყენებს, რაც გარკვეულწილად დავაში შესვლას და სარჩელში მითითებულ გარემოებებზე პასუხის გაცემას გულისხმობს. შესაბამისად, სარჩელის წარმატება იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად კვალიფიციურად დაიცავს თავს მოპასუხე სარჩელისაგან.

62. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ შესაგებლის ზოგადი კლასიფიკაცია შემდეგია: მატერიალური და საპროცესო შესაგებელი; აბსტრაქტული (ზოგადი) და კონკრეტული შესაგებელი; მართივი და კვალიფიციური (არსებითი) შესაგებელი. რა ტიპის შესაგებელს წარადგენს მოპასუხე, სრულად თავსდება ამ უკანაქანელის ნების ავტონომიის ფარგლებში. კონკრეტული შესაგებლის წარდგენის ვალდებულება გამომდინარეობს 201-ე მუხლის მე-4 ნაწილის შინაარსიდან (ივარაუდება, რომ შედავებული უნდა იყოს დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანი ფაქტები და არა სამართლებრივი მოსაზრებები, ე.ი. ისეთი ფაქტები, რომელთა არსებობა წარმოშობენ მოთხოვნას), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტები, დამტკიცებულად ითვლება. მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს პირველ რიგში საპროცესო შესაგებელს, ხოლო ამის შემდეგ მატერიალურ შესაგებელს.

63. მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი – ამ ტიპის შეპასუხების დროს მოპასუხე არ ეთანხმება მოთხოვნის საფუძვლად მითითებულ ფაქტებს (მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს), შესაბამისად, თუ მოსარჩელე ვერ დაამტკიცებს სადავო (დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე) გარემოებებს, სარჩელი არ დაკმაყოფილდება. სარჩელის წარმატება მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის (დამფუძნებელი ნორმა) წინაპირო-

ბების მითითება/დადასტურებაზეა დამოკიდებული, ასეთი შედეგების დროს მოპასუხე სადავოდ ხდის სწორედ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებს, უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც მოთხოვნის არსებობას გამორიცხავენ, საკმარისია მოპასუხის მხრიდან თუნდაც ერთი წინაპირობის გამორიცხვა, რომ სარჩელის წარმატებას საფრთხე შეექმნას.

64. შესაგებლის სახეებიდან განსაკუთრებული დატვირთვა გააჩნია კვალიფიციურ შედეგებს. კვალიფიციური შედეგება იურიდიულ დოქტრინაში განმარტებულია შემდეგნაირად: „მოპასუხე მოსარჩელის მოხსენების ნაცვლად წარმოადგენს მოვლენათა განვითარების მისეულ, განსხვავებულ ვერსიას, რომელიც ცალკეულ საკითხებში სადავოს ხდის მოსარჩელის მოხსენებას“. (მდრ. მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი სამოქალაქო სამართალში, შ. შმიტი, ჰ. რიჰტერი, (GIZ), 2013წ., გვ.19.) კვალიფიციურ შედეგებას არსებით შედეგებადაც მოიხსენიებენ. ამგვარი შედეგება, ერთი მხრივ, შეიძლება გამორიცხავდეს სარჩელის დაკმაყოფილებას უსაფუძვლობის გამო, ხოლო მეორე მხრივ, ცვლიდეს მოსარჩელის მიერ შემოთავაზებული სამართლებრივი ურთიერთობის კვალიფიკაციას, საიდანაც მოსარჩელეს დამატებითი მოხსენების (ფაქტების მითითების) გარეშე გაუჭირდება იმ შედეგის მიღწევა, რომელიც სარჩელით აქვს მოთხოვნილი. კვალიფიციური (არსებითი) შედეგება მოსამართლეს ცალკეულ შემთხვევაში ავალდებულებს მოიძიოს მოთხოვნის სხვა დამფუძნებელი ნორმა, ასევე შეამოწმოს საგამონაკლისო ნორმები.

65. მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს. მას შემდეგ, რაც მოსამართლე მოიძიებს მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, განსაზღვრავს ნორმის ფაქტობრივ ელემენტებს (წინაპირობებს), ამ წინაპირობებს მიუსადაგებს მოსარჩელის მიერ მოხსენებულ ფაქტებს და თითოეულ წინაპირობაზე გასცემს დადებით პასუხს, იგი ამოწმებს რომელ ფაქტებს ხდის მოპასუხე სადავოდ (მოპასუხის სტადია). თუ მოპასუხეს არ აქვს წარდგენილი კვალიფიციური (არსებითი) შედეგება, არამედ მხოლოდ სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტების უარყოფით შემოიფარგლება, მოსამართლე გადადის მტკიცების სტადიაზე, რაც ნიშნავს სადავოდ გამხდარი ფაქტების დადგენის პროცესს. მოპასუხის მხრიდან არსებითი ხასიათის შედეგების შემთხვევაში, მოსამართლემ ასევე უნდა მოიძიოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც გამორიცხავს, წყვეტს ან აფერხებს მოთხოვნის განხორციელებას, ხოლო ნორმის წინაპირობების შემოწმება იმავე წესით ხორციელდება. აქაც მნიშვნელოვანია რას პასუხობს მოსარჩელე

მოპასუხის არსებით შედავებას, არ არის გამორიცხული მოსარჩელემაც კვალიფიციური პასუხი გასცეს მოპასუხის ამგვარ განმარტებას. ამდენად მოსამართლე ასე უნწყვეტად გადადის მოსარჩელის სტადიიდან მოპასუხის სტადიაზე და პირიქით, ვიდრე არ დასრულდება მხარეთა განმარტებების ურთიერთგაცვლის პროცესი, რომლის შედეგადაც უნდა გაირკვეს უდავო და სადავო (მტკიცების საგანში შემავალი) ფაქტები. შესაგებლის შინაარსობრივი მხარე, განსაკუთრებით ფაქტობრივი ნაწილი გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთზე.

66. მოცემულ შემთხვევაში, კასატორი მოითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, იმ საფუძველით, რომ მძღოლის მოქმედება უნდა შეფასებულიყო უხეშ გაუფრთხილებლობად (ბრალის ფორმა), რაც თავის მხრივ, სსკ-ის 829-ე მუხლის საფუძველზე გამორიცხავს სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურების ვალდებულებას (დისპოზიცია: მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობის შესრულებისაგან, თუ დამზღვევმა დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევა გამოიწვია განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით).

67. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე ნამოჭრილი დავის დროს მტკიცების ტვირთი მხარეებს შორის შემდეგნაირად ნაწილდება: დამზღვევმა უნდა ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევასა და მიღებულ ზიანს შორის *causa proxima*-ს არსებობა. მეორე მხრივ, მზღვეველმა უნდა ამტკიცოს, რომ ზიანის გამომწვევი მიზეზი წარმოადგენს კანონის ან ხელშეკრულების გამონაკლისს, რის გამოც, მასზე ვერ გავრცელდება სადაზღვევო დაფარვა.

68. საკასაციო პალატამ არაერთხელ განმარტა სსკ-ის 829-ე მუხლის ნორმატიული შინაარსის კონტექსტში, „უხეში გაუფრთხილებლობის“ დეფინიცია, მაგ, საქმეში №ას-1479-2019, 21.01.2020წ., სადაც სადაზღვევო კომპანია მიუთითებდა მძღოლის უხეშ გაუფრთხილებლობაზე, როგორც ზარალის ანაზღაურების გამომრიცველ გარემოებაზე დადგინდა, რომ მძღოლის ბრალეულობა გამოიხატა სწორედ მარტივ გაუფრთხილებლობაში და არა გაზრახვასა თუ უხეშ გაუფრთხილებლობაში. ამგვარი დასკვნა დაეფუძნა საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტებს: (i) დაზღვეულ ავტომობილს მართავდა უფლებამოსილი მძღოლი; (ii) ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას; (iii) ავტოსაგზაო შემთხვევისას მძღოლი იმყოფებოდა ფხიზელ მდგომარეობაში; (iv) მძღოლი მოძრაობდა დასაშვები სიჩქარით საკუთარ ზოლში; (v) შემთხვევა მოხდა ღამით, უამინდობისას; (vi) ავტოსაგზაო

შემთხვევისას მძღოლს არ ალენიშნებოდა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება. ამ ფაქტების ერთობლიობა, საქმის მასალების გათვალისწინებით, იძლევა დამზღვევის მოქმედების მარტივ და არა უხეშ გაუფრთხილებლობად შეფასების საშუალებას. ამასთან, საქმეში წარმოდგენილი შემთხვევის ადგილის სქემის მიხედვით მძღოლი მოძრაობდა მის სავალ ზოლში. არ იყო წარმოდგენილი რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა შემთხვევის დროს მძღოლის მხრიდან გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობა ან/და მისი ალკოჰოლური თრობის ქვეშ ყოფნა.

69. ერთ-ერთ საქმეში სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველის წინააღმდეგ აღძრულ სარჩელს, დაუპირისპირდა მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი, დამზღვევის მიერ სადაზღვევო შემთხვევის უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვევისა და მაშასადამე, სსკ-ის 829-ე მუხლის საგამონაკლისო შემთხვევის არსებობის შესახებ. საბოლოოდ, მზღვეველისათვის დამზღვევის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრება განაპირობა სსკ-ის 829-ე მუხლის სწორმა, სისტემურმა, ლოგიკურმა და თანმიმდევრულმა განმარტებამ. საკასაციო პალატის მოსაზრებით, პასუხისმგებლობის ფარგლები (უფრო მკაცრი ან მსუბუქი პასუხისმგებლობა), შეიძლება გარიგებით ან კანონით დაწესდეს. დასახელებულ საქმეში, მხარეებს ხელშეკრულებით არ ჰქონდათ დაზუსტებული ეს ფარგლები, მათ არ გაუმიჯნავთ ერთმანეთისაგან უხეში და მარტივი გაუფრთხილებლობის შემთხვევები. შესაბამისად, სსკ-ი 829-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე, მზღვეველის პასუხისმგებლობა მხოლოდ მარტივი გაუფრთხილებლობით მიღებული ზიანისათვის დგება. გამორიცხვის მეთოდით, მარტივ გაუფრთხილებლობად შეფასდება ყველა ის მოქმედება, რომელიც არ წარმოადგენს აუცილებელი წინდახედულების ნორმის განსაკუთრებით მძიმე დარღვევას, როგორიცაა: დაშვებული სიჩქარის 80-100%-ით გადაჭარბება, უმიზეზოდ საპირისპირო მოძრაობის ზოლში გადასვლა, დაუდევრად, სათანადო გათვლების გარეშე, დაკავებული ზოლიდან გამოსვლით იმავე ზოლში თანმხვედრი მიმართულებით წინ მოძრავი ერთი ან რამდენიმე სატრანსპორტო საშუალების გადასწრება, საზოგადოებრივი ტრანსპორტის, ასევე სახანძრო და სხვა სპეციალური ტრანსპორტისათვის გზის არ დათმობა, ავტომანქანის სამართავად გადაცემა მართვის უფლების არმქონე ან არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფი მესამე პირისათვის და ა.შ. (შდრ: სუსგ №ას-1306-1226-2015, 01 ივლისი, 2016 წელი.) სხვა საქმეში დადგინდა, რომ მომხდარ ფაქტზე მოსარჩელის (დამზღვევის) მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, კონკრეტულ შემთხვევა-

ში, მხედველობაში იყო მისაღები, რომ მოსარჩელე მოძრაობდა სწორ, 6.5მ. სიგანის ცალმხრივი მიმართულების მქონე უდევექტორ გზაზე, მშრალ ამინდში, ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ხელისშემშლელი ფაქტორების გარეშე, რა დროსაც სამანქანო გზის გვერდით არსებულ ტროტუარზე ხეს შეეჯახა (მდრ: სუსგ №ას-1217-1146-2012, 22 ოქტომბერი, 2012 წელი). ავტომობილის მძღოლმა, რომელიც მოძრაობდა გადაჭარბებული, 70 კმ/სთ სიჩქარით, მაშინ, როდესაც დასაშვები სიჩქარე 40 კმ/სთ იყო, ვერ უზრუნველყო მოძრაობის უსაფრთხოება, გადაკვეთა უწყვეტი ღერძულა ხაზი, გადავიდა საპირისპირო მიმართულებით სამოძრაო ზოლში და შეეჯახა შემხვედრი მიმართულებით მოძრავ მიკროავტობუსს (მდრ: სუსგ №ას-943-901-2013, 17 თებერვალი, 2014 წელი).

70. საკასაციო სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად, გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას, ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე. აქედან გამომდინარე, უმნიშვნელოვანესია სსკ-ის 829-ე მუხლით გათვალისწინებული დაზღვევის საგამონაკლისო შემთხვევის ვინრო განმარტება, იმგვარად, რომ არ მოხდეს მზღვეველთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების არაკეთილსინდისიერი ნახალისება და ამით, საფრთხე არ დაემუქროს სამართლებრივ სივრცეში დაზღვევის სამართლებრივ დანიშნულებასა და მიზანს.

71. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ბრალის სამართლებრივი კატეგორია განასაკუთრებული იურიდიული მნიშვნელობის მქონეა, როგორც კონტინენტური, ისე საერთო სამართლის სისტემაში.

72. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ბრალის ორ ფორმას: განზრახვა (dolus) და გაუფრთხილებლობა (culpa), რომლებიც პირის ქმედების სუბიექტური შემადგენლობის ელემენტებია.

73. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება განზრახ ბრალის ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სირვილით.

74. ამდენად, განზრახვა – ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. განზრახვა მოიცავს ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის ფაქტობრივი გარემოებების, მხარეთა უფლება-მოვალეობების ცოდნას, ასევე ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას. განზრახვის აუცილებელი კომპო-

ნენგია საკუთარი ქმედების „შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით“ (იხ., Palandt/Heinrichs., §276. Rn.6. Staudinger/Löwisch, §276. Rn.15.).

75. ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება ბრალის ინტელექტუალური (კოგნიტური) ელემენტია, რომელიც სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებას გულისხმობს. სამართლებრივად მნიშვნელოვანი ფაქტებისა და გარემოებების ცოდნა გადამწყვეტია პირის ბრალეულობის განსაზღვრისათვის. ვალდებულების შეუსრულებლობის ეტაპზე სამართლებრივად მნიშვნელოვანი გარემოებების ცოდნას და გაცნობიერებას იურიდიული დოქტრინა პასუხისმგებლობისათვის განსაზღვრულ დატვირთვას ანიჭებს (იხ., Principles of European Contract Law. Part I and II _ Revised 1998, Part III, 2003. www.lexmercatoria.org). განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნებელობითობა, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა.

76. გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. თუ განზრახვასთან მიმართებით ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლობა გულისხმობს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი წინდახედულობისა და ყურადღებიანობის უგულებელყოფას.

77. კერძო სამართალში დამკვიდრებული გაუფრთხილებლობის კონცეფცია ძირეულად განსხვავდება სისხლის სამართალში განმტკიცებული ანალოგიისაგან. „გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას“, რომელიც განისაზღვრება ობიექტური მასშტაბით და არა კონკრეტული ინდივიდის პიროვნებიდან გამომდინარე. სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეს მოეთხოვება მისი პროფესიის „საშუალო წარმომადგენლისათვის“ დამახასიათებელი ჩვეული წინდახედულების დაცვა (იხ., ცვაიგერტი/კიოტცი, შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი II, 2001, 290).

78. გაუფრთხილებლობის არსი გერმანულ სამართალშიც ობიექტურადაა განსაზღვრული. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 276-ე პარაგრაფის II აბზაცის თანახმად, გაუფრთხილებლობით მოქმედებს პირი, რომელიც ვერ იჩენს სამოქალაქო ბრუნვაში აუცილებელ გონივრულ ყურადღებიანობას (Staudinger/Löwisch, §276. Rn. 26. Bamberger/Roth (Hrsg) Grüneberg §276. Bd. 1. Rn.17).

79. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტული მოვალე სუ-

ბიექტურად რამდენად უნარიანია, შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება. მას მოეთხოვება წინდახედულობის ის ხარისხი, რაც ჩვეულებრივ მიღებულია სამოქალაქო ბრუნვაში და მოსალოდნელია მისი პროფესიის საშუალო დონის წარმომადგენლისაგან (იხ., ჩიტაშვილი, ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ იურიდიული ფაკულტეტის „სამართლის ჟურნალი“, №1, 2009, 150).

80. გაუფრთხილებლობისას გამოირიცხება სამოქალაქო ბრუნვისათვის აუცილებელი წინდახედულობა და კეთილგონიერება, რასაც ვალდებულება, კონკრეტული ურთიერთობის ხასიათის გათვალისწინებით, აკისრებს სამოქალაქო ურთიერთობის სუბიექტს. ხშირად გაუფრთხილებლობა გულისხმობს გონივრული მოქმედების განუხორციელებლობას მოსალოდნელი დარღვევის აღსაკვეთად ან ზიანის შესამცირებლად, თუმცა განზრახვისაგან განსხვავებით, გაუფრთხილებლობა ხორციელდება მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის სურვილის გარეშე (იხ., ჭანტურია/ზოიძე/ნინიძე/შენგელია/ხეცურიანი (რედ). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, 2001, გვ. 386).

81. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სახელშეკრულებო შეთანხმებით უმთავრესად რეგულირდება ვალდებულების დარღვევისათვის ზიანის ანაზღაურების საკითხი. კონტრაქტენტებს შეუძლიათ ხელშეკრულების ცალკეული პირობების დაცვა თავიანთი ვალდებულების სფეროდან გამორიცხონ. დაუშვებელია მსგავსი შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე, რომელთა შეუსრულებლობა არსებით დარღვევას აფუძნებს. მხარეთა მიერ განსაზღვრული ან კანონით დადგენილი არსებითი პირობების დაცვა ხელშეკრულების მონაწილეთა ძირითადი ვალდებულებაა.

82. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 1:301-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, „განზრახ ქმედებად ითვლება პირის გაცნობიერებული ქცევა, რომელიც გამიზნულად (შეგნებულად) მიმართულია ქმედების სამართლებრივი შედეგების წარმოშობისაკენ, ასევე, უხეში გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედებაც, რომლის დროსაც, პირი ითვალისწინებს თავისი ქცევის მოსალოდნელ სამართლებრივ შედეგს, მართალია მიზანმიმართულად არ მიისწრაფვის, მაგრამ გულგრილად ეკიდება მის დადგომას. ამის საპირისპიროდ, მარტივი გაუფრთხილებლობისას პირი არ აცნობიერებს თავისი ქცევის შესაძლო სამართლებრივ შედეგს და, შესაბამისად, ეს არ ჩაითვლება განზრახ ქმედებად. ამრიგად, ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები ერთმანეთისაგან განასხვავებს განზრახ და მარტივ გაუფრთხილებლობას. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში განვითარებუ-

ლი პოზიციის მიხედვით, განზრახვა და უხეში გაუფრთხილებლობა აუცილებლად გულისხმობს მხარის გაცნობიერებულ ქმედებას (იხ., სუსგ №ას-1479-2019, 21 იანვარი, 2020 წელი, პ.53).

83. დაზღვევის ხელშეკრულებით შესაძლოა მოხდეს მხარეთა შეთანხმებით სახელშეკრულებო ვალდებულებებთან მიმართებით პასუხისმგებლობის სრულად ან ნაწილობრივ გამორიცხვა ან შეზღუდვა. პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული განსხვავებული მოწესრიგება უპირატესად გამოსაყენებელი დებულებაა და გამორიცხავს კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნათა წარმოშობას. თუმცა, მოცემული საქმის განხილვისას მნიშვნელოვანია სწორად დადგინდეს ვალდებულების წარმომშობი გარემოებების არსებობა, რათა მზღვეველის მხრიდან გამოირიცხოს საგამონაკლისო დებულებებით უსაფუძვლო აპელირება.

84. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს საქმეზე დადგენილ შემდეგ ფაქტობრივი გარემოებებზე:

85. – ავტოსაგზაო შემთხვევის გამომწვევად (სამართალდამრღვევად) შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ ამავე თარიღით შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმით ცნობილ იქნა მოსარჩელე. შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ შედგენილი ელექტრონული სამართალდარღვევის ოქმი არ გასაჩივრებულა და შესულია კანონიერ ძალაში.

86. – მოსარჩელე დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის დარღვევის გამო, რაც ითვალისწინებს, მძღოლის დაჯარიმებას მანევრირების წესების დაუცველობისას.

87. – 2020 წლის 16 სექტემბრის ლ. სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ტექნიკურ-ტრასოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შემთხვევის ადგილზე მოცურებისა და მუხრუჭების კვალის არ არსებობის გამო შეუძლებელია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის წინ ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის ექსპერტიზის გზით განსაზღვრა, თუმცა, დადგენილია, რომ 17.03.2021წ. საქალაქო სასამართლოს სხდომაზე გამოცხადებულმა ექსპერტმა განმარტა, რომ მართალია მუხრუჭების კვალი გადასადგილებელ ზედაპირზე არ შეიმჩნეოდა, თუმცა მისი პრაქტიკული გამოცდილების, ჩატარებული ცდებისა და სპეციალური ცოდნის გათვალისწინებით ექსპერტმა შესაძლებლად ჩათვალა გადაადგილების სიჩქარის დადგენა. კვალის არსებობის შემთხვევაში ის შეძლებდა გადაადგილების არა სავარაუდო, არამედ ზუსტი სიდიდის დადგენას. ექსპერტმა დასკვნის შედგენის დროს ისარგებლა მისთვის გადაცემული დოკუმენტებისა და სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებით. ავტომობილი პირადად არ უნა-

ხავს, არ დაუთვალე რებია. მთავარი გამომწვევი მიზეზი შემთხვევისა იყო არასწორად შერჩეული დასაშვებზე მაღალი სიჩქარე. ზოგადად მსგავს შემთხვევებში 180 გრადუსიანი მოხვევის მანევრის შესრულება დასაშვებია 15-20 კმ/სთ, მაქსიმუმ 25 კმ/სთ სიჩქარით. კონკრეტულ შემთხვევაში დარღვეული იყო მოხვევის მანევრის შესრულების რამდენიმე წინაპირობა: 1. როდესაც მოხვევის წინ მძღოლი შეამჩნევს საპირისპირო ზოლში მოძრავ ავტომობილს ვალდებულია გზა დაუთმოს მას (ვინაიდან იგი სარგებლობს გავლის უპირატესობით); 2. თუ კი მძღოლი საპირისპირო ზოლში მოძრავი ავტომობილის შემჩნევის მიუხედავად გადაწყვეტს მოხვევას, იგი ვალდებულია მანევრი შეასრულოს უსაფრთხოდ – დასაშვები სიჩქარით; 3. ნებისმიერ შემთხვევაში მძღოლი ვალდებულია მის მიერ განხორციელებულ მანევრს არ მოჰყვეს საგზაო შემთხვევა. მანევრის შესრულების დროს მოძრავი ავტომობილის სიჩქარე 30-40 კმ/სთ-ში უნდა ყოფილიყო, რაც დასაშვებზე მაღალია. ხსენებულ პირობათა დარღვევას მოჰყვა საგზაო შემთხვევა.

88. მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ექსპერტის განმარტებას იმასთან დაკავშირებით, რომ ავტომობილი მოძრაობდა დაახლოებით 30-40 კმ/სთ სიჩქარით, რაც აღემატებოდა უსაფრთხო მობრუნებისთვის საჭირო სიჩქარეს და მძღოლმა ვერ დაიმორჩილა საჭე, ასევე, მოსარჩელემ სადავოდ გახადა უშუალოდ ექსპერტიზის დასკვნაც, იმ მოსაზრებით, რომ დასკვნა სრულად ეყრდნობა ვარაუდებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო მსჯელობას და სასამართლოს არ უნდა გაეზიარებინა, თუმცა, ამ დასკვნის საპირწონედ სხვა საექსპერტო დასკვნა ან რაიმე მტკიცებულება მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, მოსარჩელის ძირითადი აქცენტი გაკეთდა მოპასუხის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის შინაარსის კრიტიკაზე.

89. კასატორი აღნიშნავს, რომ საქმეში წარმოდგენილი შსს საპატრულო პოლიციის უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი პატაკი, საექსპერტო დასკვნა და სასამართლო სხდომაზე ექსპერტის მიერ მიცემული განმარტება და მხარეთა მიერ მიცემული ახსნა-განმარტება მათი შინაარსის ერთობლივად შეფასების შედეგად ადასტურებს, რომ გავლის უპირატესი უფლების მქონე პირისათვის სავალი ნაწილის დაუთმობლობითა და შემდგომ დასაშვებზე მაღალი სიდიდის სიჩქარით მანევრის შესრულებით მოსარჩელემ გამოიწვია ავტოსაგზაო შემთხვევა. ამასთან, კასატორი მიუთითებს თავად მოსარჩელის განმარტებაზე, რომელიც არ უარყოფს, რომ მან მანევრირებისას მოუმატა სიჩქარეს.

90. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ „მტკიცებულებას წარმოადგენს მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც საქმის

სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოების არსებობა-არარსებობას ადასტურებს. იმის მიუხედავად, თუ რა ფორმითაა წარმოდგენილი მხარეთა ახსნა-განმარტება – წერილობით თუ ზეპირი ფორმით. ამის ნათელი მაგალითია სსსკ-ის 127-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციური ჩანაწერი: საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების დადგენის პროცესი იწყება მხარეთა (მესამე პირთა, თანამონაწილეთა, კანონისმიერ წარმომადგენელთა) ახსნა-განმარტების მიღებით: მხარეები იძლევიან ახსნა-განმარტებებს მათთვის ცნობილი და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა შესახებ. რაც შეეხება ფაქტის აღიარებას (სსსკ-ის 131-ე მუხლი) კლასიკური გაგებით – ესაა მხარეთა ახსნა-განმარტების ერთ-ერთი სახესხვაობა, მტკიცებულება, რომელიც შესაძლოა საკმარისი აღმოჩნდეს საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად – იურიდიული შედეგის დასადგენად. აღიარების, როგორც მტკიცებულების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ მტკიცებულებით ხდება ისეთი ფაქტის დადასტურება, რომელზეც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას ან შესაგებელს. იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ და ფაქტის ამღიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ. მაშასადამე, ფაქტს, რომელიც უნდა დაედასტურებინა ერთ მხარეს, ვთქვათ მოსარჩელეს თავისი მტკიცების ტვირთის ფარგლებში, ადასტურებს მოპასუხე ან პირიქით. სწორედ ამიტომ, ფაქტის აღიარება სამოქალაქო საპროცესო სამართლით უტყუარ მტკიცებულებადაა მიჩნეული, რადგან იგი ფაქტის ამღიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ და მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდ არის განხორციელებული. შესაბამისად, დავის პროცესში აღიარებული ფაქტი სასამართლომ უნდა ამოირიცხო დავის საგნიდან და როგორც უდავო ფაქტი მტკიცებას არ საჭიროებს. ფაქტის აღიარების ასეთ მტკიცებულებად შეფასება ემყარება რწმენას, რომ იგი ნამდვილად არსებობს და თვით ის მხარეც არ ხდის სადავოდ, რომელსაც ამ და სხვა ფაქტების საფუძველზე მეორე მხარის უფლების დარღვევაში ედავებიან. ამასთან, აღიარების ამა თუ იმ ფაქტის უტყუარად დამდგენ და უდავო მტკიცებულებად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ იგი იმ მხარემ განახორციელოს, რომელთან მიმართებითაც შემდგომში იქნება გამოყენებული“ (იხ., ი. გაგუა, „მტკიცებულებები და მტკიცების პროცესი კერძო ხასიათის სამართლებრივ დავებზე“, 2020 წელი, გვ. 36, 48-49).

91. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ კონცენტრირებულად შეჯიბრებითობის პრინციპი გამოხატულია სსსკ-ის 102-ე მუხლში, რომლის თანახმად თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შე-

საგებელს. შეჯიბრებაში გამარჯვებულად გამოცხადდება მხარე, რომელმაც უკეთ შეძლო დაერწმუნებინა სასამართლო თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივ დასაბუთებულობაში, ანუ მხარე, რომელმაც მიუთითა ფაქტებზე, რომლებიც იურიდიულად ამართლებენ მოთხოვნას (შესაგებელს) და წარმოუდგინა სასამართლოს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ ამ ფაქტებს.

92. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ სამოქალაქო პროცესში დადგენილი უნდა იქნეს სამი სხვადასხვა ხასიათის, შინაარსისა და შედეგების მიხედვით ისეთი ფაქტები, როგორიცაა: 1) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მხოლოდ პროცესუალურ სამართლებრივი შედეგი (სარჩელის მიღება წარმოებაში, ან ასეთ მიღებაზე უარის თქმა); 2) ფაქტები, რომლებსაც უკავშირდება მატერიალურ სამართლებრივი შედეგი, ანუ მთავარი საძიებელი ფაქტები (სარჩელის დაკმაყოფილება, ან მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა); 3) მტკიცებულებითი ფაქტები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება მთავარი, ანუ გადანყვეტილებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამტკიცება – დადასტურება. შესაბამისად, სამოქალაქო პროცესში მტკიცების საგანია მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობის ფაქტები, რომლებზეც მიუთითებენ მხარეები თავიანთი მოთხოვნების (შესაგებლის) დასაბუთება-გამართლების მიზნით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად, გადანყვეტილება ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად, რაც მისი გაუქმების საფუძველია, თუ გადანყვეტილება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული, ხოლო სსსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად კი, საკასაციო სასამართლო მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

93. იმის გათვალისწინებით, რომ სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე სრულად არ შეუფასებია შეჯიბრებითობისა და დისპოზიციურობის პრინციპების გათვალისწინებით საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, საკასაციო პალატა სსსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თვითონ მიიღოს საქმეზე გადანყვეტილება.

94. შესაბამისად, უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადანყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებაში მოცემული მსჯელობების შესაბამისად, უნდა შეამოწმოს მოსარჩელის მოთხოვნის წინაპირობები და საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად,

განსაზღვროს უფლების საკითხი.

95. ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე განჩინებით საქმის წარმოება არ დასრულებულა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ (სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით), რომ ხარჯების საკითხი უნდა გადაწყდეს შემაჯამებელი განწყვეტილების მიღებისას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 412-ე მუხლებით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და,

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს „ს.კ.ე.ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2022 წლის 2 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სააპელაციო სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

7. საბანკო მომსახურება

საბანკო გარანტიის გამოთხოვის დაუშვებლობა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-476-2020

27 ოქტომბერი, 2021 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ერემაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ვ. კაკაბაძე,
ლ. მიქაბერიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2017 წლის 14 სექტემბერს შპს „ე-სა“ (შემდგომში „მოსარჩელე“ ან „მიმწოდებელი“) და ააიპ „თბილისის №... ს. ბ-ბ-ს“ (შემდგომში „მოპასუხე“, „შემსყიდველი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) შორის დაიდო ხელშეკრულება სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვებისთვის კვებითი მომსახურების გაწევის შესახებ. ხელშეკრულების ღირებულება განისაზღვრა 73 540.20 ლარით.

2. ხელშეკრულების მიხედვით, მიმწოდებელმა იკისრა ვალდებულება უზრუნველყო 292 სკოლამდელი აღსაზრდელი ბავშვისთვის დღეში სამჯერადი კვებითი მომსახურების გაწევა 2017 წლის 18 სექტემბრიდან 2017 წლის 22 დეკემბრის ჩათვლით ხელშეკრულების პირობებისა და თანდართული კვების მენიუს მიხედვით.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებდნენ შემსყიდველი და ააიპ „თბილისის ს. ბ-ბ-ების მართვის სააგენტოს“ შესაბამისი სამსახურები.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკის თავიდან აცილების მიზნით დადგინდა უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია ხელშეკრულების ღირებულების 3% – 2243 ლარი.

5. ხელშეკრულებით განსაზღვრული გადახდის ვადის გადაცილებისთვის განისაზღვრა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 0,1% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6. ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით 2017 წლის 14 სექტემბერს გაიცა სს „ბ. ბ-ის“ საბანკო გარანტია №BB.14.09/145, (პრინციპალი – მიმწოდებელი, ბენეფიციარი შემ-

სყიდველი) და საგარანტიო თანხის ზღვრული მოცულობა 2243 ლარით განისაზღვრა.

7. მიწოდებული პროდუქტების (ყველი, კარაქი) ხელშეკრულებით მოთხოვნილ სავალდებულო პარამეტრებთან შეუსაბამობის მოტივით, შემსყიდველმა უარი განაცხადა მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული 2017 წლის დეკემბრის თვის (1 დეკემბრიდან 22 დეკემბრის ათვლით) შედარების აქტის შედგენაზე.

8. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის საქალაქო სამსახურმა ქალაქ თბილისის ს. ბ-ებში მიმწოდებლის მიერ შეტანილი ყველის ეტიკეტირების შემოწმების მიზნით მიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

9. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 15 დეკემბრის №09/13005 მიმართვის თანახმად, მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული პროდუქტი დასახელებით „იმერული“ არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი სურსათის – ყველის – სავალდებულო პარამეტრებს.

10. მოსარჩელის მოთხოვნა

10.1. მიმწოდებელმა სარჩელი აღძრა სასამართლოში შემსყიდველის მიმართ და მოითხოვა განეული მომსახურების ღირებულების 11 574.15 ლარის, საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარსა და პირგასამტეხლოს – 990 ლარის მოპასუხისთვის დაკისრება.

10.2. მოსარჩელის განცხადებით, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში 2017 წლის დეკემბერში მოპასუხეს გაენია 11 574.15 ლარის მომსახურება, წარედგინა შედარების აქტი და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, თუმცა მოპასუხემ უარი განაცხადა შედარების აქტის ხელმოწერაზე და აცნობა მოსარჩელეს, რომ, თითქოს, მისი მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევას, რაც გამოიხატებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მახასიათებლების არმქონე სურსათის – ყველისა და კარაქის მოპასუხისთვის მიწოდებაში. აღნიშნული არ შეესაბამება სიმართლეს – მიწოდებული პროდუქტი თავისი თვისებებით აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს. ამასთან, ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე რისკების თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული საბანკო გარანტიის თანხა უზრუნველყოფდა მოსარჩელის მხრიდან მოპასუხისთვის მიყენებული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურებას. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, თუ რა სახის ზიანი მიაღწა მოპასუხეს, რის გამოც გადახდილი საბანკო გარანტიის თანხა ექვემდებარება მოსარჩელის-

თვის დაბრუნებას. მოპასუხეს ასევე უნდა დაეკისროს პირგასამტეხლოს, შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულების (11574.15 ლარის) 0,1%-ის, ანუ 990 ლარის გადახდა.

11. მოპასუხის პოზიცია

12. მოპასუხემ წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

13. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

13.1. მოპასუხემ შეგებებული სარჩელი აღძრა მოსარჩელის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებიდან გამომდინარე ზიანის, 19 212 ლარის ანაზღაურება.

13.2. შეგებებული სარჩელის ავტორის განცხადებით, მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები – მის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული ყველი და კარაქი არ შეესაბამება ხელშეკრულებით მოთხოვნილი – სურსათის – (ყველი, კარაქის) – სავალდებულო პარამეტრებს, რითაც ზიანი მიადგა შემსყიდველს და იგი ექვემდებარება ანაზღაურებას.

14. შეგებებული სარჩელის მოპასუხის პოზიცია

14.1. შეგებებულ სარჩელზე შესაგებელი წარადგინა მოსარჩელემ, რომლითაც შეგებებული სარჩელი არ ცნო.

15. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

15.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განუღივლი მომსახურების ღირებულების – 11 574.15 ლარის, ასევე პირგასამტეხლოს, 990 ლარის გადახდა; საბანგო გარანტიის თანხის დაკისრების ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა; ასევე, არ დაკმაყოფილდა მოპასუხის შეგებებული სარჩელი ზიანის ანაზღაურების შესახებ.

16. მოპასუხის სააპელაციო საჩივარი

16.1. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ორივე მხარემ: მოპასუხემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა და შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო მოსარჩელემ მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

17. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

17.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქალაქო სასამართლოს

2019 წლის 28 იანვრის გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა სრულად: მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა საბანკო გარანტიის თანხის – 2243 ლარის გადახდა.

17.2. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში ასახული ფაქტობრივი გარემოებები.

17.3. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 487-ე, 488-ე, 490-ე-492-ე მუხლებით და გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა იმის შესახებ, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული პროდუქტი არ აკმაყოფილებდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროდუქტის სავალდებულო პარამეტრებს, თუმცა ვინაიდან მოპასუხეს არც პროდუქტის მიღებისას და არც შემდგომში მისი მოხმარებისას სადავოდ არ გაუხდია მიწოდებული პროდუქციის ნივთობრივი ხარისხი (მიუხედავად ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხზე კონტროლის მექანიზმისა და მათ მიერვე აპელირებული მიღებული პროდუქტის მომხმარებელი სპეციფიკური სემენტისა), სურსათის – ყველის – ეტიკეტზე არსებული ინფორმაცია ამ პროდუქტის აღდგენილი რძისგან დამზადების შესახებ, არ შეიძლებოდა განხილულიყო იმგვარ არსებით ნაკლად, რაც მთლიან შესრულებას გახდიდა ნაკლიანს და გაათავისუფლებდა მოპასუხეს ანაზღაურების ვალდებულებისაგან. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ მოპასუხეს მართებულად დაეკისრა 2017 წლის დეკემბერში მიწოდებული პროდუქტის ღირებულების ანაზღაურება.

17.4. პროდუქტ „კარაქთან“ დაკავშირებით საპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის უნდა მიენიღებინა კარაქი, რომელშიც რძის ცხიმის შემცველობა არანაკლებ 80%-ია. სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული კარაქის ეტიკეტზე ცხიმის შემცველობად მითითებულია 80% (+/- 0.5). შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ვინაიდან მოსარჩელეს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებულ კარაქში ცხიმის შემცველობა 80%-ზე ნაკლებია, მიწოდებული პროდუქტი შესაბამისობაში იყო ხელშეკრულებით დადგენილ მახასიათებლებთან, რაც გულისხმობს იმას, რომ კარაქის მიწოდების ნაწილში მიმწოდებელმა სახელმეკრულებო ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა.

17.5. სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 417-ე-418-ე, 420-ე მუხლებით, გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მსჯელობა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს თანხის

დაკისრების მართებულობის შესახებ და ვალდებულობის მოცულობისა და ვადაგადაცილების ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გონივრულად მიიჩნია მოპასუხისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა – 990 ლარი.

17.6. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს დასკვნა საბანკო გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრებაზე უარის თქმის ნაწილში, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 879-ე-880-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ, განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების ნაკლიანი შესრულების შედეგად, მისი უმნიშვნელო ხასიათიდან გამომდინარე, მოპასუხეს რაიმე ზიანი არ მისდგომია. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, მოპასუხე მიღებული საგარანტიო თანხით კომპანიის მხრიდან არაჯეროვანი შესრულებით გამოწვეული ზიანის კომპენსირებას ვერ მოახდენდა, ზიანის არარსებობის გამო.

17.7. პალატის მოსაზრებით, მხოლოდ მოთხოვნის უფლების არსებობა იმგვარი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, როგორიც საბანკო გარანტიაა, არ აძლევს ბენეფიციარს უფლებას, უპირობოდ აინაზღაუროს თანხა, ამ შემთხვევაში მას ეკისრება მეორე მხარის ქონებისადმი გულისხმიერი დამოკიდებულების გამოჩენა (სკ-ის 316-ე მუხლის მე-2 ნაწილი). არაჯეროვანი შესრულების შეფასების დროს მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების მოცულობა, შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობა, შესრულების მიერ ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და, რა თქმა უნდა, შესრულების ნაკლის სიმძიმე.

17.8. განსახილველ შემთხვევაში, შესრულების ნაკლი (ფულად გამოხატულებაში რამდენიმე ათეული ლარი) იმდენად უმნიშვნელოა ძირითად შესასრულებელ ვალდებულებასთან მიმართებით, რომ ვალდებულების არაჯეროვან შესრულებად მისი განხილვა სასამართლებრივად დაუსაბუთებელია. შესაბამისად, პალატამ არამართებულად მიიჩნია კონკრეტულ შემთხვევაში საბანკო გარანტიის გამოყენება.

17.9. სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლით და აღნიშნა, რომ გარანტიის საფუძველზე ბენეფიციარის მიერ მიღებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის სასამართლებრივი საფუძველი სწორედ მითითებული ნორმიდან გამომდინარეობს. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე გამდიდრდა მოსარჩელის ხარჯზე, რადგანაც ამ უკანასკნელმა გარანტს რეგრესის წესით გადაუხადა მოპასუხისათვის – (ბენეფიციარი) სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ანაზღაურებული საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა (სკ-ის 890.1 მუხლი) 2 243 ლარი. შესაბამისად, სააპელაციო პალატამ დაასკვნა, რომ იგი უნდა დაუბრუნ-

დეს მოსარჩელეს.

18. მოპასუხის საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და საფუძვლები

18.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული განჩინების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

18.2 კასატორის მოსაზრებით, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით, მართალია, სასამართლომ დაადგინა, რომ რძეზე დამზადებული პროდუქტის გამოყენებით მომსახურების განწევის მოთხოვნის თვითნებური ჩანაცვლება აღდგენილ რძეზე დამზადებული პროდუქტით წარმოადგენს არაჯეროვან შესრულებას, თუმცა სასამართლომ არ განაწვრივ აღნიშნული მსჯელობა და ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ თუ ზემოთ დადგენილი გარემოება ერთიანი ხელშეკრულების ჩრდილში უნდა განიხილოს ხელშეკრულების არაჯეროვან შესრულებად, კონკრეტული პროდუქტის მიწოდების ჩრდილში წარმოადგენს ვალდებულების შეუსრულებლობას. დადგენილია, რომ მოსარჩელეს მოპასუხისთვის არ მიუწოდებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პარამეტრების მქონე პროდუქტი „ყველი“, შესაბამისად, შემსყიდველს არ წარმოშობია ყველის საფასურის გადახდის ვალდებულება.

18.3 ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე წარმოადგენდა მეწარმე სუბიექტს, იგი ვალდებული იყო სცოდნოდა ქვეკონტრაქტორებისგან მიღებული პროდუქტის მახასიათებლები. მოპასუხეზე კი მსგავსი სამართლებრივი ბოჭვა არ ვრცელდება. სსკ-ის 495-ე მუხლის მეორე ნაწილი გამორიცხავს მოპასუხის პასუხისმგებლობას გონივრულ ვადაში პარამეტრებისგან განსხვავებული პროდუქტის აღმოჩენაზე, რადგან მოსარჩელე შეგნებულად დუმდა სახელშეკრულებო ვალდებულების ნაკლიანი შესრულების შესახებ. ეს კი დასტურდება საქმეში თავად მონიშნულ დედამისის მიერ წარმოდგენილი ყველის ნაცვლად გამოყენებული პროდუქტის მწარმოებელი კომპანია შპს „ნ“-ის წერილით, რომელშიც ავტორი ადასტურებს, რომ მის მიერ წარმოებული პროდუქტი მოსარჩელისთვის მიწოდების მანძილზე მუდმივად მზადდებოდა აღდგენილი რძისა და ნაღების კარაქისაგან. შესაბამისად, მოსარჩელის მხრიდან განზრახი დუმილით შემსყიდველი შედიოდა შეცდომაში და ეთანხმებოდა ისეთ შესრულებას, რომელიც რეალურად არ განხორციელებულა. ეს კი ცხადყოფს, რომ მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარებები აქტის გაფორმების მიუხედავად, მონიშნულ დედამისს მხარე არ თავისუფლდება ნაკლიანი შესრულებიდან გამომდინარე შესრულების პასუხისმგებლობისგან. შე-

საბამისად, შესრულების მიღება არ წარმოადგენს ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობის საფუძველს.

18.4 რეალურად, მოსარჩელის მხრიდან განხორციელებული შესრულების ნაკლი მდგომარეობს ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურებისას ყველისა და კარაქის გამოუყენებლობაში. ანუ, ამ ორი პროდუქტის ნაწილში ნაკლის ღირებულებად მიჩნეული იქნა იმ პროდუქტის შესაბამისი საფასური, რომელიც მომსახურების განევისას არ გამოუყენებია მოპასუხეს. ამ არგუმენტით კი, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით მოპასუხემ მოსარჩელეს დაუკავა დეკემბრის თვის ანაზღაურება ნაკლიანი შესრულებით გამოწვეული ზედმეტად, ვალდებულების გარეშე გადახდილი თანხის უკან დაბრუნებამდე. სააპელაციო სასამართლომ კი, დასაბუთების გარეშე, ლეგიტიმურ სანქციად არ მიიჩნია ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობით გამოწვეული ნაკლის არსებობისას შეუსრულებელი ნაწილის ღირებულების გადაუხდელობა. ამრიგად, ვინაიდან მოსარჩელეს მოპასუხისთვის არ მიუწოდებია ხელშეკრულებით განსაზღვრული პროდუქტი „ყველი“, „ყველის“ საფასურის გადახდის ვალდებულებაც არ წარმოშობილა, რაც წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 385-ე მუხლის რეგულირების საგანს.

18.5 სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ მიწოდებულ კარაქთან მიმართებით ხელშეკრულება არ დარღვეულა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ აიღო ვალდებულება მოპასუხისთვის მიეწოდებინა კარაქი არანაკლებ 80% ცხიმის შემცველობით, თუმცა ფაქტობრივად მიაწოდა პროდუქტი $\pm 0.5\%$ -იანი ცდომილებით. შესაბამისად, მომსახურების განევისას ხელშეკრულების მახასიათებლებისგან განსხვავებული პროდუქტის ღირებულება არ ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

18.6 სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორად შეაფასა მოპასუხისთვის პირგასამტეხლოს დაკისრების საკითხიც და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მიზნით თანხების დაკავება.

18.7 სააპელაციო პალატამ არასწორად განიხილა ასევე, საბანკო გარანტიის საკითხი და არასწორად დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრების შესახებ. საქმის მასალებით დადასტურებულია, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულების ნაწილი შეასრულა არაჯეროვნად, რაც მთლიან შესრულებას ხდის არაჯეროვნას. საბანკო გარანტია კი, თავისი ბუნებით არის გამოუთხოვადი და მოიცავს როგორც ვალდებულების შეუსრულებლობას, ასევე არაჯეროვან შესრულებას. ამ საკითხის

ზიანის ანაზღაურებასთან და ზიანის არსებობასთან დაკავშირება კი სრულიად კანონსაწინააღმდეგოა.

19. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

19.1 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 9 სექტემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად.

19.2 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2021 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

20. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

21. საკასაციო სასამართლოს შეფასებით, კასატორს ნაწილობრივ დასაბუთებული შედავება აქვს წარმოდგენილი. საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, ჩამოთვლის იმ ძირითად პრეტენზიებს, რაზეც მოპასუხე მიუთითებს საკასაციო საჩივარში და შემდგომ თანმიმდევრობით შეაფასებს მათ.

22. კერძოდ, კასატორის მოსაზრებით: 1) მოსარჩელის მიერ მიწოდებული პროდუქტის, „ყველი იმერულის“ საფასურის გადახდის ვალდებულება მოპასუხეს არ გააჩნია, ვინაიდან ამ ნაწილში ადგილი აქვს ხელშეკრულების იმგვარ არაჯეროვან შესრულებას, რაც ვალდებულების შეუსრულებლობას უთანაბრდება; 2) მოსარჩელის მხრიდან ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებას აქვს ადგილი, ასევე, მის მიერ მოპასუხისთვის მიწოდებული პროდუქტის,

„კარაქის“ შემთხვევაში, რაც გამორიცხავს აღნიშნული პროდუქტის ღირებულების ანაზღაურებასაც; 3) სასამართლომ არასწორად დააკისრა შემსყიდველს პირგასამტეხლოს თანხა და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მხარეს უფლება ჰქონდა განეხორციელებინა ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის მიზნით თანხების დაკავება; 4) სასამართლომ არასწორად დააკისრა მოპასუხეს საბანკო გარანტიის თანხა, 2243 ლარი.

23. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ ზემოთ ჩამოთვლილ პრეტენზიათაგან სამი მათგანი უსაფუძვლოა და არ არსებობს მათი გაზიარების ფაქტობრივ-სამართლებრივი წინაპირობა.

24. სასამართლო განმარტავს, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, განსახილველი დავა შეიცავს, როგორც ნასყიდობის, აგრეთვე ნარდობის სამართლებრივი ურთიერთობების ელემენტებს. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ წინამდებარე შემთხვევაში, მოთხოვნის საფუძვლების სამართლებრივი შეფასებისა და გამოყენებისათვის ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელ წესებს ენიჭება უპირატესობა, ვინაიდან მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების გათვალისწინებით, ხელშეკრულების საგნის დამზადება/შესყიდვა ხდებოდა მიმწოდებლის მიერ, ხოლო შემდგომი მიღება/შესყიდვა კასატორის (მოპასუხის) მიერ (იხ. სსკ-ის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

25. კასატორის პირველ პრეტენზიასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, განსახილველ შემთხვევაში, უდავოდ დადგენილია მიმწოდებლის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება – კერძოდ, პროდუქტი „ყველის“ მიწოდება, რომელიც, ნაცვლად პასტერიზებული რძისა, დამზადებული იყო აღდგენილი რძისგან. სასამართლო მიუთითებს „რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილების მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, აღდგენილ რძის ნაწარმს წარმოადგენს რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის მშრალ ან შესქელებულ/კონცენტრირებულ ნაწარმზე იმ რაოდენობის წყლის დამატებით, რომ მასში აღდგენილ იქნეს რძის ნაწარმისთვის დეკლარირებული სტანდარტით დადგენილი, დამახასიათებელი სინესტისა და მშრალი ნივთიერების მასური წილის შესაბამისი თანაფარდობა. ამავე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მშრალი რძე (რძის ფხვნილი) არის რძის ნაწარმი, რომელიც მიიღება რძის ნაწილობრივ გაუწყლოებით. იმავე პუნქტის „უ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, პასტერიზებულ რძეს (მაღალი ტემპერატურით დამუშავებული) წარმოადგენს უვნებლობის მიკრობიოლო-

გიური მაჩვენებლების დადგენილი მოთხოვნების დაცვის მიზნით, თერმულად (თბურად) დამუშავებული სასმელი რძე. მე-4 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად კი, სასმელი რძე არის რძე, რომელიც გამიზნულია ადამიანის მიერ უშუალოდ მოხმარებისათვის, შემდგომი გადამუშავების გარეშე.

26. ამდენად, მითითებული დებულებების შესაბამისად, ცალსახად დგინდება, რომ აღდგენილი და პასტერიზებული რძე განსხვავებული პროდუქტებია.

27. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიერ მოპასუხისთვის ნაკლიანი პროდუქტის (პასტერიზებულ რძეზე დამზადებული ყველის ნაცვლად, აღდგენილი რძით დამზადებული ყველის) მიწოდებისა, აღნიშნული პროდუქტი მოპასუხემ მიიღო და გამოიყენა დანიშნულებისამებრ, ისე, რომ პრეტენზია არ განუცხადებია მიმწოდებლისთვის. კასატორი აცხადებს, რომ მას პროდუქტის საფასური ვალდებულების გარეშე აქვს გადახდილი.

28. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებულ პრეტენზიას და განმარტავს, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ერთმანეთისგან ორი სამართლებრივი ინსტიტუტი – ვალდებულების გარეშე შესრულება (შემსყიდვლის მიერ) და ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება (მიმწოდებლის მიერ). როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სადავო პროდუქტი „ყველი“ ფაქტობრივად მიწოდებულია, თუმცა ხელშეკრულებით გათვალისწინებულიგან განსხვავებული ნედლეულითაა დამზადებული (იხ. წინამდებარე განჩინების მე-9 პუნქტი).

29. ამდენად, იმის გათვალისწინებით, რომ, განსახილველ შემთხვევაში, ნასყიდობისსამართლებრივი ნორმების საფუძველზე უნდა შეფასდეს მხარეთა ურთიერთმოთხოვნების სამართლებრივი მდგომარეობა, უდავოა, რომ ნაკლიან შესრულებას (იხ. სსკ-ის 488-ე „1. ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. 2. ნაკლს უთანაბრდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს, სულ სხვა ნივთს, მცირე რაოდენობით ან, თუ ნივთის ერთი ნაწილი ნაკლი მქონეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე“ (მუხლი) აქვს ადგილი.

30. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 490.1 („თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ

აუცილებელ ვადაში“), 491-ე („მყიდველს შეუძლია ნივთის ნაკლის გამო მოითხოვოს ხელშეკრულების მოშლა 352-ე მუხლის მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები“) და 492-ე („თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი“) მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ უდავოდ დგინდება ვალდებულების ნაწილობრივ, არაჯეროვანი შესრულება, რის გამოც, დასახელებული სამართლებრივი მექანიზმით უნდა ესარგებლა მხარეს ნაკლის გამოსწორების, ხელშეკრულების მოშლის ან ფასის შემცირების მოთხოვნით, რაც საქმის მასალებით არ დგინდება. კასატორის პრეტენზია, რომ ერთიანი ხელშეკრულების კონტექსტში არ უნდა მოხდეს ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების შეფასება, რადგან, კონკრეტულად „ყველის“ მიზნების ნაწილში ვალდებულება საერთოდ არ შესრულებულა, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელია. ერთიანი ვალდებულების ამგვარი დაყოფის შემთხვევაში, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება ყოველთვის ვალდებულების შეუსრულებლობად იქნება განხილული, რაც ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართლებრივ წესრიგს (მდრ. იხ. სუსგ საქმე №ას-174-2020, 17 ივნისი, 2020 წელი, საქმე №ას-108-2020, 3 ივნისი, 2020 წელი).

31. საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ საკითხის სამართლებრივი შეფასებისთვის უმნიშვნელოვანესია იმის გარკვევა, თუ რა სახის ურთიერთობაში იმყოფებოდნენ მხარეები. დადგენილია, რომ მხარეთა შორის სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებაა დადებული. ამგვარი ხელშეკრულების შესრულებაზე წარმოშობილი მხარის პრეტენზიებს, სასამართლო უპირველესად სახელშეკრულებო ურთიერთობათა მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად შეაფასებს და მხოლოდ მას შემდეგ ხდება ე.წ. „სუბსიდიური წესით“ უსაფუძვლო გამდიდრების ნორმების (კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობის სამართლებრივი საფუძვლების) შესაბამისად საკითხის მოწესრიგება. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ სახეზეა არა ვალდებულების შეუსრულებლობა, არამედ ვალდებულების ნაკლიანი შესრულება, კასატორის მითითება, სსკ-ის 385-ე მუხლზე, რომლის მიხედვითაც, ვალდებულების გარეშე გადახდის საკითხი, უსაფუძვლო გამდიდრების ნორმებით რეგულირდება, დაუსაბუთებელია (დამატ. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების შემოწმე-

ბის რიგითობის თაობაზე იხ. სუსგ. №ას-1681-2018; 1 მარტი, 2019 წელი).

32. კასატორის მორიგ პრეტენზიასთან დაკავშირებით, პროდუქტ „კარაქთან“ დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მსჯელობასა და დასკვნებს (იხ. წინამდებარე განჩინების 16.4 ქვეპუნქტი) და აღნიშნავს, რომ სამოქალაქო სამართალწარმოებაში დამკვიდრებული მტკიცების ტვირთის განაწილების გათვალისწინებით, იმ პირობებში, როდესაც, მოპასუხეს არ წარუდგენია არანაირი მტკიცებულება, უშუალოდ პროდუქტის კვლევასთან დაკავშირებით, რომლითაც დადასტურდებოდა პროდუქტის ხარისხის შეუსაბამობა შეთანხმებულ პირობებთან, ან მარეგულირებელი კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებთან, მხოლოდ ეტიკეტირების წესებზე მითითებით, პროდუქტის ნაკლიანად მიჩნევა უსაფუძვლოა. უდავოა, რომ კომპანიის მიერ ბ-ებისთვის მიწოდებულ კარაქის ეტიკეტზე ცხიმის შემცველობად მითითებულია 80% (+/-0,5), ამ მოცემულობასა და სანინაალმდეგო მტკიცებულების არარსებობის პირობებში კი, ვრცელდება პრეზუმფცია, რომ პროდუქტის თვისებები შესაბამისობაშია მის ეტიკეტზე დატანილ მახასიათებლებთან.

33. საკასაციო სასამართლო ასევე ვერ გაიზიარებს კასატორის მორიგ პრეტენზიას პირგასამტეხლოს არამართებულად დაკისრების შესახებ და განმარტავს, რომ მოპასუხის მითითება ფულადი თანხების ურთიერთგაქვითვის თაობაზე დაუსაბუთებელია. საქმის მასალებით დადგენილია, რომ შემსყიდველმა მიწოდებული პროდუქციის თანხა სრულად არ გადაიხდა (დეკემბრის თვის მიწოდების საფასური საერთოდ არ გადაუხდია), ამასთან, უდავოა, რომ შემსყიდველის პრეტენზიები მიწოდებული საქონლის საფასურის უკან დაბრუნების თაობაზე, როგორც ვალდებულების გარეშე გადახდილზე, დაუსაბუთებელია. შესაბამისად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მართებულადაა დაკისრებული პირგასამტეხლო. ამასთან, მისი გაქვითვის მოთხოვნა ვერ მოხდება სანაცვლო მოთხოვნის არარსებობის გამო (იხ. სუსგ საქმე №ას-174-2020, 17 ივნისი, 2020 წელი).

34. რაც შეეხება საკასაციო საჩივრის ავტორის პრეტენზიას, რომელიც საგარანტიო თანხის გამოთხოვის არამართებულობას შეეხება, საკასაციო სასამართლო ამ ნაწილში იზიარებს კასატორის მოსაზრებას და, პირველ რიგში, საჭიროდ მიიჩნევს, შეეხოს თავად საბანკო გარანტიის, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალების, არსსა და მისი გამოყენების წინაპირობებს.

35. სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლის მიხედვით, საბანკო გარანტიის ძალით ბანკი, სხვა საკრედიტო დაწესებულება ან სა-

დაზღვევო ორგანიზაცია (გარანტი) სხვა პირის (პრინციპალის) თხოვნით კისრულობს წერილობით ვალდებულებას, რომ ნაკისრი ვალდებულების შესაბამისად გადაუხდის პრინციპალის კრედიტორს (ბენეფიციარს) ფულად თანხას გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამავე კოდექსის 881-ე მუხლით, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული გარანტის ვალდებულება ბენეფიციარის წინაშე მათ შორის ურთიერთობისას არ არის დამოკიდებული იმ ძირითად ვალდებულებაზე, რომლის შესრულების უზრუნველსაყოფადაც არის ის გაცემული, მაშინაც კი, როცა გარანტია შეიცავს მითითებას ამ ვალდებულებაზე. 882-ე მუხლის მიხედვით კი, საბანკო გარანტია არ შეიძლება უკან იქნეს გამოთხოვილი გარანტის მიერ, თუ გარანტიაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

36. საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საბანკო გარანტიის თანხის ანაზღაურების მოთხოვნის კვლევისას, მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების მოცულობა, შესასრულებელი სამუშაოს კომპლექსურობა, შემსრულებლის მიერ ვალდებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში შესრულება და შესრულების ნაკლის სიმძიმე. საკასაციო პალატა თვლის, რომ მითითებული მსჯელობა ეწინააღმდეგება თავად საბანკო გარანტიის არსს და აღნიშნულ საკითხზე საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ერთგვაროვან სასამართლო პრაქტიკას.

37. უზენაესი სასამართლოს არაერთ გადაწყვეტილებაშია (განჩინებაშია) მითითებული, რომ საბანკო გარანტია სხვა უზრუნველყოფის საშუალებებისგან განსხვავდება თავისი დამოუკიდებლობით – არააქცესორულობით, რაც გულისხმობს იმას, რომ ძირითადი ვალდებულება – ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფადაც საბანკო გარანტია გაიცა, გავლენას ვერ ახდენს ამ უკანასკნელზე. საბანკო გარანტია შესასრულებელია გაცემული პირობების ფარგლებში ბენეფიციარის მოთხოვნისთანავე, მიუხედავად იმისა, არსებობს თუ არა ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესაგებელი. სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის ეს დანაწესი უზრუნველყოფს საბანკო გარანტიის საიმედოობას და იმავდროულად, კრედიტორის მოლოდინს ვალდებულების შესრულებასთან მიმართებით, მაგრამ მხოლოდ საბანკო გარანტიით გარანტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების ფარგლებში. ამასთან, კრედიტორის (ბენეფიციარის) მიერ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად წარდგენილი პირობებით საბანკო გარანტიის არჩევა, ნიშნავს მის თანხმობას ამ პირობებზე, ვინაიდან, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ნების გამოვლენა, რომელიც მო-

ითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

38. რაც შეეხება ძირითად ვალდებულებასთან დაკავშირებულ შემთხვევებს, როგორიცაა: საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილი ძირითადი ვალდებულების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულება, მისი სხვა საფუძვლებით შეწყვეტა ან ბათილად აღიარება, კანონი მათ გარანტიის ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად არ განიხილავს. ასეთ შემთხვევებში გარანტი უფლებამოსილია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბენეფიციარსა და პრინციპალს, თუმცა, მიუხედავად ამ შეტყობინებისა, ბენეფიციარის განმეორებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებას ექვემდებარება (სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის მე-2 ნაწილი) (იხ. სუსგ საქმე №ას-781-996-08, 2009 წლის 17 მარტი). ბენეფიციარი, საგარანტიო თანხის მოთხოვნისას, გარანტორის წინაშე არაა ვალდებული დაასაბუთოს პრინციპალის მიერ ხელშეკრულების დარღვევის ან არაჯეროვანი შესრულების უტყუარობა. მხოლოდ საგარანტიო პირობებთან შესაბამისობის კუთხით მოწმდება ბენეფიციარის მოთხოვნა (იხ. სუსგ საქმე №ას-1189-1149-2016).

39. ამდენად, პრინციპალის მიერ ვალდებულების დარღვევის სახის და ხარისხის კვლევა გარანტიის მხრიდან გონივრული წინდახედულობის ფარგლებში შესაძლებელია მხოლოდ საბანკო გარანტიით შეთანხმებული მოთხოვნის ან თანდართული დოკუმენტების წარდგენის პირობების დაცვის კვლევის ფარგლებში ანუ ფორმალური სახით (დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენა). სწორედ ამიტომ უწოდებენ კომერციულ პრაქტიკაში საბანკო გარანტიას ე.წ. დოკუმენტურ ოპერაციას (იხ. სუსგ №ას-782-739-2015, 2015 წლის 19 ოქტომბერი).

40. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, გამომდინარე იქიდან, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა ექვემდებარება მხოლოდ ფორმალური საფუძვლით შემოწმებას და პრინციპალის ძირითადი ვალდებულების გაბათილება, შეწყვეტა ან სამართლებრივი ვითარების სხვაგვარი შეცვლა თავისთავად არ იწვევს საბანკო გარანტიის მოქმედების შეწყვეტას, საბანკო გარანტიაში მკაფიოდ უნდა აისახოს მისი დაკმაყოფილების წინაპირობები (სუსგ №ას-749-709-2015, 2015 წლის 25 სექტემბერი).

41. შესაბამისად, საბანკო გარანტიებით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სწორედ დოკუმენტების გარეგნული შესაბამისობის დადგენას, რაც სამართლის დოქტრინაში ცნობილია „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპით (Principle of Strict Compliance). აღნიშნული პრინციპის თანახმად, ბენეფიციარის მოთხოვნა ზუსტად შესაბამისი უნდა იყოს

საბანკო გარანტიის პირობებთან და მასვე უნდა დაერთოს გარანტიაში გათვალისწინებული დოკუმენტები (ასეთის არსებობის შემთხვევაში). „ზუსტი შესაბამისობის“ პრინციპი გათვალისწინებულია დამოუკიდებელი გარანტიების შესახებ (The Uniform Rules for Demand Guarantees) საერთაშორისო სავაჭრო პალატის №458 უნიფიცირებული წესების მე-9 მუხლით, რომლის თანახმად, „ყველა დოკუმენტი, რომელიც გათვალისწინებულია ან წარდგენილია საბანკო გარანტიიდან გამომდინარე, მათ შორის მოთხოვნა, შემოწმებული უნდა იქნეს გარანტის მიერ გონივრული წინდახედულობის გათვალისწინებით, შეესაბამება თუ არა ისინი საბანკო გარანტიის პირობებს. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტები არ შეესაბამება პირობებს, გარანტია უნდა იქნას უარყოფილი“. (საბანკო გარანტიის თავისებურებებთან დაკავშირებით ყურადსაღებია გერმანიის საკანონმდებლო და პრაქტიკული მიდგომები, საქართველოსათვის, როგორც რომანულ-გერმანული სამართლებრივი სისტემის ქვეყნისათვის, შესაბამისად, დამატებით ამ საკითხზე იხილეთ: MüKo HGB/ Welter, Zahlungsverkehr, Rn.3; Sorgel/Heuser Vorb. zu §765-778 BGB, Rn.64; MüKo BGB, Habersack Vorb. zu §765-778 BGB, Rn.20; BGH WM 1999, 73; Graf von Westphalen/Jud/Westphalen, Die Bankgarantie im internationalen Handelsverkehr, S.166; Staudinger/ Horn Vorb. zu zu §765-778 BGB, Rn.320; Goode, Guide to the ICC Uniform Rules for Demand Guarantees, S.55).“ (დამატ. იხ. სუსგ-ები.: №ას-1633-2019; 9.03.2020; №ას-562-871-09; 20.10.2009; №ას-950-886-2017; 3.11.2017;)).

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ როგორც წინამდებარე საქმის მასალებით დგინდება, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, 2017 წლის 14 სექტემბერს სს „ბ-ის“ მიერ გაიცა უპირობო, გამოუთხოვადი საბანკო გარანტია №BB.14.09/145, რომლითაც გარანტმა (ბანკმა) პრინციპალის (მიმწოდებლის) თხოვნით იკისრა წერილობითი ვალდებულება პრინციპალის კრედიტორისთვის (შემსყიდველისთვის) (ბენეფიციარისთვის) გადაეხადა ფულადი თანხა, 2 243 ლარი გადახდის შესახებ ბენეფიციარის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. დადგენილია ასევე, რომ მოსარჩელემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა არაჯეროვნად (მოპასუხეს მიაწოდა პროდუქტი ყველი, რომელიც ნაცვლად შეთანხმებით განსაზღვრული პასტერიზებული რძისა, დამზადებული იყო აღდგენილი რძისგან), რის გამოც, მოპასუხემ გამოითხოვა გარანტიით გათვალისწინებული მოსარჩელის კუთვნილი თანხა.

43. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან წინამდებარე საქმეზე დადგენილია მოსარჩელის მიერ ვალდებულების დარღვევის ფაქტი, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ

აღნიშნული გამორიცხავს გამოყენებული საბანკო გარანტიის თანხის მოპასუხისთვის დაკისრების შესაძლებლობას. შესაბამისად, ამ ნაწილში არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების ფაქტობრივ-სამართლებრივი საფუძველი.

44. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში განსახილველად დაბრუნების საფუძველები. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი არ არსებობს, რადგან საჭირო არაა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა.

45. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

46. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, კერძოდ, სარჩელის ფასი განსაზღვრული იყო 14 807.15 ლარით, გადახდილი იყო სახელმწიფო ბაჟი – 445 ლარი, ხოლო, მოთხოვნა დაკმაყოფილდა 12 564.15 ლარის ნაწილში. სააპელაციო საჩივარი წარდგენილი იყო ორივე მხარის მიერ, საიდანაც, სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა შემსყიდველის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმებისა (12 564.15 ლარი) და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო, მიმწოდებლის სააპელაციო საჩივარი სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში (2 243 ლარი) გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლისა და ახალი გადაწყვეტილებით, სარჩელის სრულად დაკმაყოფილების შესახებ დაკმაყოფილდა. საკასაციო სასამართლოს წინამდებარე გადაწყვეტილებით, შემსყიდველის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გასაჩივრებული გადაწყვეტილება გაუქმდა და მიმწოდებლის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – მიმწოდებლის სარჩელი შემ-

სყიდველის მიმართ საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა.

47. ამდენად, კასატორს უნდა დაეკისროს, მოწინააღმდეგე მხარის მიერ სარჩელზე გადახდილი, მისი დაკმაყოფილებული სასარჩელო მოთხოვნის – 12 564.15 ლარის 3% – 377.58 ლარი, ხოლო მიმწოდებლის მიერ სარჩელზე გადახდილი – 67.42 ლარი და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი – 150 ლარი დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად. ასევე, მიმწოდებელს დაეკისროს, კასატორის მიერ, საკასაციო სასამართლოში გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან – 741 ლარიდან, მისი დაკმაყოფილებული მოთხოვნის პროპორციულად – 112.15 ლარის გადახდა, ხოლო, კასატორის მიერ საკასაციო სასამართლოში საქმის განხილვისთვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის დარჩენილი ნაწილი ჩაითვალოს ბიუჯეტში გადახდილად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8 მუხლით, 53-ე, 408-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. ა(ა)იპ „თბილისის ... ს.ბ.ბ-ის“ საკასაციო საჩივარი, დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 14 იანვრის გადაწყვეტილება გაუქმდეს და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

1. ა(ა)იპ „თბილისის №... ს.ბ.ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

1. შპს „ე-ის“ სარჩელი ა(ა)იპ „თბილისის №... ს.ბ.ბ-ის“ მიმართ საბანკო გარანტიის თანხის 2 243 ლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდეს;

3. ა(ა)იპ „თბილისის №... ს.ბ.ბ-ის“ დაეკისროს შპს „ე-ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი 377.58 ლარი;

4. შპს „ე-ის“ მიერ სარჩელზე გადახდილი 67.42 ლარი და სააპელაციო საჩივარზე გადახდილი 150 ლარი დარჩეს ბიუჯეტში გადახდილად;

5. შპს „ე-ის“ დაეკისროს, ა(ა)იპ „თბილისის №... ს.ბ.ბ-ის“ მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 741 ლარიდან 112.15 ლარის გადახდა;

6. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
www.supremecourt.ge